



სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებელი“

წლიური ანგარიში

თბილისი

2012

სარჩევი

○ 2012-2013 წლის პროგრამული პრიორიტეტები-----	1
○ ნაციონალურ ენებზე მაუწყებლობა-----	8
○ საზოგადოებრივი რადიო-----	9
○ საზოგადოებრივი მაუწყებლის II არხი -----	11
○ აქცენტები -----	15
○ დიალოგი დავით პაიჭაძესთან ერთად-----	30
○ საჯარო პოლიტიკა-----	45
○ ტექნიკური დეპარტამენტი-----	48
○ სპორტული მიმართულება-----	64
○ საერთაშორისო პროექტები-ევროვიზია-----	74
○ შემეცნებითი მიმართულება -----	78
○ მუსიკალური მიმართულება(სი ბემოლი, უცნობი მუსიკა)-----	80
○ საბავშვო მიმართულება -----	84
○ დილა-----	86
○ დოკუმენტური ფილმების სტუდია-----	89
○ თოქ-შოუ „ჩვენი ეზო“-----	91
○ „ეტალონი“-----	93
○ გადაცემა „ეკონომ-მენიუ“-----	95
○ მარკეტინგისა და გაყიდვების სამსახური, ვებ-გვერდი, რეკლამა-----	102
○ პრომოუშენის სამსახური-----	114
○ ადმინისტრაციული დეპარტამენტი(PR, იურიდიული, კანცელარია)-----	115
○ არქივის სამსახური-----	123
○ წარმოების სამსახური-----	124
○ ადამიანური რესურსების მართვის სამსახური-----	125
○ ფინანსური დეპარტამენტი-----	126

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ 2012-2013 წლის პროგრამული პრიორიტეტები

დამტკიცებულია სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სამეურვეო საბჭოს მიერ 2012 წლის 12 სექტემბერს გადაწყვეტილება #235 (ოქმი #214)

ზოგადი დებულებები

საზოგადოებრივი მაუწყებელი კანონით შექმნილი სამაუწყებლო ინსტიტუციაა, რომლის ვალდებულებაცაა გადასცეს სამოქალაქო აქტივობის, სოციალური სოლიდარობის და სხვა სამოქალაქო ღირებულებების, კულტურისა და განათლების ხელშეწყობი, პოლიტიკური და კომერციული გავლენისაგან თავისუფალი, მრავალფეროვანი პროგრამები საქართველოს ყველა მოქალაქისათვის, ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე. მაუწყებელი მოქმედებს საჯარო დაფინანსებით, ხელისუფლებისაგან დამოუკიდებლად და ანგარიშვალდებულია საზოგადოების წინაშე.

საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭო "მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-16, მე-20, 21-ე, 30-ე, 33-ე და 55(1) მუხლებიდან გამომდინარე მისთვის მინიჭებული უფლებამოსილებებისა და ვალდებულებების საფუძველზე საზოგადოებას საჯარო განხილვისათვის წარუდგენს საზოგადოებრივი მაუწყებლის პრიორიტეტების პროექტს.

2009-2010 წლებში საზოგადოებრივმა მაუწყებელმა დაიწყო ახალი პროგრამული პროდუქტების სპეციალიზებულ სამაუწყებლო არხებზე განთავსება. შესაბამისად, სამეურვეო საბჭო განსაზღვრავს პროგრამულ და საბიუჯეტო პრიორიტეტებს ახალი რეალობის გათვალისწინებით. პროგრამული და საბიუჯეტო პრიორიტეტების განსაზღვრისას სამეურვეო საბჭო ხელმძღვანელობს ამ სფეროში არსებული საერთაშორისო გამოცდილებით და საქართველოს კანონმდებლობით. პრიორიტეტები წარმოდგენილია სამაუწყებლო არხების მიხედვით და მაუწყებელს ავალდებულებს დაიცვას გაზომვადი ხარისხობრივი და რაოდენობრივი კრიტერიუმები (პროგრამულ ნაწილში დროითი მასშტაბები, ხოლო საბიუჯეტო ნაწილში დაფინანსების წყაროები და ფინანსირების პარამეტრები).

პროგრამული პრიორიტეტების დროითი მასშტაბებით წარმოდგენა გულისხმობს საეთერო დროის ამ დოკუმენტით განსაზღვრულ განაწილებას საზოგადოებრივ-პოლიტიკურ, შემეცნებით-საგანმანათლებლო და გასართობ პროგრამებს შორის არხების მიხედვით. პროგრამული პრიორიტეტები განისაზღვრება იმ არხებისა და პროექტებისათვის, რომელთა საყოფაცხოვრებო ანტენებით მიღების საშუალება არსებობს საქართველოს ტერიტორიაზე:

1. „პირველი არხი“,
2. „მეორე არხი“,
3. „რადიო-1“,
4. „საქართველოს ენებზე მაუწყებლობა“

ბიუჯეტის პრიორიტეტების განსაზღვრისას სამეურვეო საბჭო ხელმძღვანელობს იმ მოსაზრებით, რომ საზოგადოებრივი მაუწყებლის ბიუჯეტის სახელმწიფო სუბსიდიის ნაწილი მთლიანად უნდა მოხმარდეს პრიორიტეტებით ზემოთ განსაზღვრული არხებისა და პროექტების, ასევე, მაუწყებლის ტექნიკური ბაზისა (მათ შორის მაუწყებლის ვიდეო-აუდიო არქივის) და ადმინისტრირების ფინანსურ უზრუნველყოფას.

საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ წარმოებული დროებითი ან გრძელვადიანი პროდუქტები და პროექტები, რომელთა საყოფაცხოვრებო ანტენებით მიღების საშუალება საქართველოს ტერიტორიაზე არ არსებობს, ან მათი მიღება შეუძლებელია (მაგ: „პირველი კავკასიური არხი“, „რადიო-2“, IP ტელევიზია და სხვა) უნდა იქმნებოდეს

მხოლოდ ორგანიზაციის ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლების ნაწილის ხარჯზე. საკუთარი შემოსავლებიდან მიღებული სახსრებით მაუწყებელმა შესაძლებელია დამატებით დააფინანსოს პრიორიტეტებით განსაზღვრული არხები და პროექტები, გააუმჯობესოს ორგანიზაციის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და ადმინისტრირება (უფრო დაწვრილებით, იხ. სარეკომენდაციო ნაწილი).

„1 არხი“

პირველი სატელევიზიო არხი მაუწყებლობს საერთო მაუწყებლობის პრინციპით: წარმოდგენილია საზოგადოებრივ-პოლიტიკური (ახალი ამბების ჩათვლით), შემეცნებით-საგანმანათლებლო და გასართობი მიმართულებები. პროგრამები ვრცელდება მაუწყებლის საკუთარი გადაცემების მეშვეობით და მოიცავს საქართველოს მოსახლეობის 85%-ს. არხი ტრანსლირდება ინტერნეტით. საეთერო დრო არის არანაკლებ 18 საათი დღეღამეში. საერთო მაუწყებლობის პრინციპიდან გამომდინარე არხისათვის აუცილებელია „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 და 55 (1) მუხლებით განსაზღვრული უკლებლივ ყველა შინაარსობრივი ვალდებულება (იხ. დანართი 1).

1. საზოგადოებრივ-პოლიტიკური მიმართულება

ზოგადი პრიორიტეტი:

- საზოგადოებრივ-პოლიტიკური მიმართულებისათვის განკუთვნილი საეთერო დრო გაიზარდოს არანაკლებ 33%-მდე. მათ შორის ახალი ამბებისათვის (საქართველოს ენებზე ახალი ამბების ჩათვლით) არანაკლებ 25%.

რეკომენდაცია :

- რეგულარული საზოგადოებრივ-პოლიტიკური თოქშოუები და პროექტები ხორციელდებოდეს ყოველდღიურად, სასურველია ერთსა და იმავე საეთერო ზოლში. შეიქმნას სპეციალური პროექტი ჟურნალისტური გამოძიების ფორმატში, სიხშირით არანაკლებ 24 გადაცემა წელიწადში.
- გაიზარდოს საინფორმაციო გამოშვებების სიხშირე, შემცირდეს ცალკე აღებული გამოშვების ქრონომეტრაჟი (ეუთოს მედიამონიტორინგის მისიის რეკომენდაცია).
- განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდეს ინფორმაციაზე რეგიონებიდან: გაძლიერდეს რეგიონული ბიუროების მუშაობა, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროგრამებსა და „თოქშოუებში“ გაიზარდოს რეგიონებზე, რეგიონების წარმომადგენელთა მონაწილეობით და რეგიონებიდან გადმოცემული გადაცემებისა და სიუჟეტების ხვედრითი წილი;

1.1. ახალი ამბები (საეთერო დრო არანაკლებ 25%)

- სიუჟეტები, რომლებშიც აქცენტირებულია საქართველოში პიროვნების და საკუთრების ხელშეუხებლობის, გამოხატვისა და სინდისის თავისუფლების მიმართულებით არსებული პრობლემები;
- ხელისუფლებაზე საზოგადოებრივი მონიტორინგი შინაარსის მატარებელი პუბლიცისტური - საგამომიებო სიუჟეტები;
- საქართველოს რეგიონებში მიმდინარე პოლიტიკური და სოციალური პროცესების სრულყოფილად ასახვა
- სიუჟეტები პესიონრების, უნარშეზღუდული ადამიანების, უმუშევრებისა და საზოგადოების სხვა დაუცველი ფენების პრობლემების შესახებ;
- საინფორმაციო პროგრამებში მკაფიოდ გაშუქდეს ევროკავშირისა და რეგიონში მიმდინარე პროცესები, NATO-სა და ევროსტრუქტურების საქმიანობა;

- საქართველოში არსებული სხვადასხვა რელიგიური და ეთნიკური ჯგუფების ცხოვრებისა და ყოფის, მათი ეთნოკულტურული ტრადიციების ამსახველისიუჟეტები;
- საინფორმაციო მაუწყებლობაში განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მიმდინარე პროცესებს.

1.2. საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროგრამები და პროექტები (საეთერო დრო არანაკლებ 8%)

- პროგრამები, რომლებშიც აქცენტირებულია საქართველოში პიროვნების და საკუთრების ხელშეუხებლობის, გამოხატვისა და სინდისის თავისუფლების მიმართულებით არსებული პრობლემები;
- პროგრამები პენსიონრების, უნარშეზღუდული ადამიანების, უმუშევრებისა და საზოგადოების სხვა დაუცველი ფენების პრობლემების შესახებ;
- ეკონომიკური, სოციალური, სამართლებრივი, საგანმანათლებლო და ჯანდაცვის რეფორმების არსის ამსახველი პროგრამები. შემეცნებითი და პუბლიცისტური პროგრამები საზოგადოების საფუძვლების შესახებ;
- განხორციელდეს ინტერმედიული პროექტი (ტელევიზიის, რადიოს, ინტერნეტისა და პრესის საშუალებების გამოყენებით), რომელშიც რეგულარულად გაშუქდება საზოგადოებრივი მაუწყებლის საზოგადოებრივი საბჭოების საქმიანობა.
- საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროგრამებში მკაფიოდ გაშუქდეს ევროკავშირის ახალი სამეზობლო პოლიტიკა, NATO-სა და ევროსტრუქტურების საქმიანობა;
- საქართველოში არსებული სხვადასხვა რელიგიური და ეთნიკური ჯგუფების ცხოვრებისა და ყოფის, მათი ეთნოკულტურული ტრადიციების ამსახველი პროგრამები;
- მეზობელი და პარტნიორი სახელმწიფოების საზოგადოებრივი, პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების ამსახველი პროგრამები.

2. საგანმანათლებლო და კულტურის მიმართულება

ზოგადი პრიორიტეტი:

- იმის გათვალისწინებით, რომ ქართულ ტელესივრცეში არ არსებობს სპეციალიზებული შემეცნებითი ან კულტურაზე ორიენტირებული არხები, ხოლო კერძო სამაუწყებლო არხები, კომერციული ინტერესებიდან გამომდინარე, თითქმის არ ათავსებენ ამ მიმართულების პროგრამულ პროდუქტებს საკუთარ ეთერში, საზოგადოებრივი მაუწყებელმა საგანმანათლებლო და კულტურის მიმართულებისათვის განკუთვნილი საეთერო დრო გაზარდოს არანაკლებ 42%-მდე.
- გაძლიერდეს საბავშვო და ახალგაზრდული პროგრამების მიმართულება ყველა ასაკობრივი (სკოლამდელი, უმცროსი სასკოლო, უფროსი სასკოლო, სტუდენტობა) ჯგუფისათვის.
რეკომენდაცია :
- პროგრამირებაში აქცენტის მაქსიმალურად გამახვილება შემეცნებით კომპონენტზე. შემეცნებით პროგრამებში გამოყენებულ იქნას მეცნიერულად დადასტურებული და მეცნიერულ ცოდნაზე დაყრდნობილი ინფორმაცია;
- გათვალისწინებულ იქნას ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული რეგიონების მოსახლეობის ინტერესები - პროგრამული პროდუქტების ძირითადი ნაწილი ითარგმნოს შესაბამის ენებზე და განთავსდეს ადგილობრივი სამაუწყებლო კომპანიების ეთერში;

- იმ მხატვრული კინოპროდუქციისათვის განკუთვნილი საეთერო დრო, რომელიც წარმოადგენს მსოფლიო ლიტერატურის კლასიკის ან ცნობილი ადამიანების ცხოვრების მაღალმხატვრულ და ხარისხიან ეკრანიზაციას გათვალისწინებული იქნება მიმართულების საეთერო დროში.

2.1. მეცნიერება (საეთერო დრო არანაკლებ 20 %)

- ეკონომიკური, სოციალური, სამართლებრივი, საგანმანათლებლო და ჯანდაცვის რეფორმების არსის ამსახველი პროგრამები. შემეცნებითი პროგრამები საბაზრო ეკონომიკის საფუძვლების შესახებ;
- ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებისა და ტექნოლოგიების პოპულარიზაციისაკენ მიმართული სპეციალური პროგრამები;
- ცხოვრების ჯანსაღი წესის დანერგვის ხელშეწყობი პროგრამები;
- ისტორიული პუბლიცისტიკა. პროგრამები საქართველოს კულტურულ საგანძურზე საარქივო მასალების გამოყენებით.
- უცხოური ტელეკომპანიების მიერ დამზადებული მაღალი ხარისხის შემეცნებითი და საგანმანათლებლო პროდუქციის ხვედრითი წილის ზრდა.

2.2. კულტურა (საეთერო დრო არანაკლებ 22 %)

- კინოზე, თეატრზე, მუსიკაზე და ხელოვნების სხვა დარგებზე მომზადებული პროგრამების ხვედრითი წილის ზრდა;
- საქართველოში არსებული სხვადასხვა რელიგიური და ეთნიკური ჯგუფების ცხოვრებისა და ყოფის, მათი ეთნოკულტურული ტრადიციების ამსახველი პროგრამები და სიუჟეტები;
- პროგრამები, რომლებიც ხელს უწყობს ინტერკულტურულ და ინტერრელიგიურ დიალოგს, კულტურული მრავალფეროვნების მიმღებლობასა და პატივისცემას.
- სპეციალური პროგრამები დიასპორების შესახებ;
- საქართველოს გეოპოლიტიკური, ისტორიული და გეოგრაფიული თავისებურებების ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებთან და ფასეულობებთან კავშირის ამსახველი პროგრამები;
- ყოფითი კულტურის ამაღლებისაკენ მიმართული გადაცემები.

3. გართობისა და სპორტის მიმართულება

ზოგადი პრიორიტეტი:

- მიმართულების საეთერო დრო განისაზღვროს არაუმეტეს 25%-ით.
 - მაუწყებლობაში "საპნის ოპერების" ჩანაცვლება მხატვრული და შემეცნებითი სატელევიზიო ფილმებით; უნდა გამოიკვეთოს ადგილობრივი წარმოების პროდუქციის ზრდის ტენდენცია.

რეკომენდაცია :

- სპორტული ასპარეზობების ტრანსლაციის დაგეგმვისას აქცენტი გამახვილდეს მხოლოდ განსაკუთრებული საზოგადოებრივი ინტერესის მქონე ასპარეზობებზე.
- მასობრივი მუსიკალური, ან ქორეოგრაფიული კონკურსების (მაგალითად „ევროვიზია“) ორგანიზებისას გამოყენებულ იქნას დაფინანსების საკუთარი (და არა სახელმწიფო სუბსიდიის) წყაროები.

„რადიო -1“

პირველი რადიო არხი მაუწყებლობს საერთო მაუწყებლობის პრინციპით: წარმოდგენილია საზოგადოებრივ-პოლიტიკური (ახალი ამბების ჩათვლით), შემეცნებით-საგანმანათლებლო და გასართობი მიმართულებები. პროგრამები ვრცელდება მაუწყებლის საკუთარი გადამცემების მეშვეობით და მოიცავს საქართველოს

მოსახლეობის 70%-ს. არხი ტრანსლირდება ინტერნეტით. საეთერო დრო 24 საათი დღე-ღამეში. საერთო მაუწყებლობის პრინციპიდან გამომდინარე არხისათვის აუცილებელია „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 და 55 (1) მუხლებით განსაზღვრული უკლებლივ ყველა შინაარსობრივი ვალდებულება (იხ.დანართი 1).

ზოგადი პრიორიტეტი:

- არხმა განახლებული ფორმატით დაიწყო მაუწყებლობა 2010 წლის 23 მაისს. ახალ საეთერო სეზონში არხზე, როგორც საერთო მაუწყებლობის პრინციპით მომუშავე მედიაზე, ვრცელდება ყველა ის პროგრამული პრიორიტეტი და რეკომენდაცია, რომელიც მიღებულია პირველი სატელევიზიო არხის მიმართ.

რეკომენდაცია :

- განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ინტერმედიული პროექტების (რადიო ტელევიზიასთან ერთად) განხორციელებას.
- პროგრამირებაში აქცენტირება ინტერაქტიულ პროექტებზე

„2 არხი“

მეორე სატელევიზიო არხი ასახავს საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს სარედაქციო ჩარევის გარეშე (განახლებული ფორმატით მაუწყებლობა დაიწყო 2010 წლის 1 მარტიდან) და ფარავს მოსახლეობის 65%-ს. არხი ტრანსლირდება ინტერნეტით. საეთერო დრო 15 საათი დღე-ღამეში. მაუწყებლობის სპეციალიზებული ფორმიდან გამომდინარე, არხისთვის სავალდებულოა მხოლოდ „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის ა) ბ) ე) ვ) კ) და მ) მუხლებით განსაზღვრული შინაარსობრივი ვალდებულება (იხ. დანართი 1).

პრიორიტეტები:

- საზოგადოებრივ-პოლიტიკური მაუწყებლობისათვის (მათ შორის საქართველოს ენებზე ტრანსლირებული ახალი ამბების გამოშვებისათვის) განკუთვნილი საეთერო დრო არანაკლებ 80%. საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მაუწყებლობაში არხის პრიორიტეტებს განსაზღვრავს 2010 წლის 22 თებერვალს, საქართველოს პარლამენტს, საზოგადოებრივ მაუწყებელსა და პოლიტიკურ პარტიებს შორის ამერიკის ეროვნული დემოკრატიული ინსტიტუტის პატრონაჟით გაფორმებული შეთანხმება (იხილეთ დანართი 3);
- საგანმანათლებლო და კულტურული მიმართულებისათვის გამოყოფილი საეთერო დრო არაუმეტეს 20%. მიმართულება უნდა ასახავდეს არხის ძირითად ფუნქციას და მან უნდა წარმოაჩინოს პოლიტიკური აზროვნების ჩასახვისა და განვითარების ეტაპები შემეცნებითი და საგანმანათლებლო თოქშოუებისა და ფილმების ფორმით.

რეკომენდაცია :

- არხის ეთერში შენარჩუნდეს საქართველოს ენებზე ახალი ამბების გამოშვებები.
- საგანმანათლებლო და კულტურის მიმართულების წარმოჩენა სასურველია შემეცნებითი და საგანმანათლებლო თოქშოუებისა და ფილმების ფორმით.

„საქართველოს ენებზე მაუწყებლობა“

პროექტი არსებობს 2003 წლიდან და მისი მიზანია საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების კულტურული და ლინგვისტური საჭიროებების მომსახურება და იმავდროულად ქართულ სახელმწიფოში მათი

ინტეგრაციის ხელშეწყობა. 2010 წლამდე საქართველოში და მსოფლიოში მიმდინარე პროცესების შესახებ ინფორმირების მიზნით ყოველი ეთნიკური უმცირესობისათვის მზადდებოდა ყოველკვირეული საინფორმაციო კოლაჟი „პირველი არხის“ დღის მაცურებლისათვის მოუხერხებელ დღის ეთერში. 2010 წლიდან პროექტის მიერ ახალი ამბების 4 სხვადასხვა ენაზე ყოველდღიურად წარმოებული გამოშვება ტრანსლირდება „პირველი არხის“ (დილით), „მეორე არხის“ (დილით და ღამით) და 4 რეგიონული არხის საღამოს ეთერში („პრაიმთაიმში“).

პრიორიტეტები:

- პროექტის გაფართოება მონაწილე ადგილობრივი ტელეკომპანიების რიცხოვნების გაზრდის ხარჯზე
- საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ წარმოებული საგანმანათლებლო და კულტურის მიმართულების პროდუქტების (სეზონზე არანაკლებ 2 პროდუქტისა) გახმოვანება საქართველოს ენებზე და მათი ტრანსლაცია რეგიონული ქსელით

რეკომენდაციები საფინანსო-საბიუჯეტო და სამეურნეო სფეროში

- ბიუჯეტის პრიორიტეტების განსაზღვრისას სამეურნეო საბჭო ხელმძღვანელობს იმ მოსაზრებით, რომ საზოგადოებრივი მაუწყებლის ბიუჯეტის სახელმწიფო სუბსიდიის ნაწილი მთლიანად უნდა მოხმარდეს პრიორიტეტებით ზემოთ განსაზღვრული არხებისა და პროექტების, ასევე, მაუწყებლის ტექნიკური ბაზისა (მათ შორის მაუწყებლის ვიდეოაუდიო არქივის) და ადმინისტრირების ფინანსურ უზრუნველყოფას. კერძოდ:
 1. „პირველი არხი“ - სუბსიდიის არანაკლებ 40%
 2. „მეორე არხი“ - სუბსიდიის არანაკლებ 5%
 3. „რადიო-1“ - სუბსიდიის არანაკლებ 5%
 4. „საქართველოს ენებზე მაუწყებლობა“ - სუბსიდიის არანაკლებ 5%
 5. მაუწყებლის არქივი - სუბსიდიის არანაკლებ 3%
 6. მაუწყებლის ტექნიკური უზრუნველყოფა და ადმინისტრირება - სუბსიდიის არაუმეტეს 42%
- ორგანიზაციის ინსტიტუციონალური მდგრადობის განვითარების პროგრამის შემუშავება, რაც პირველ რიგში გულისხმობს: მაუწყებლის განვითარების გრძელვადიანი გეგმის, ტექნიკური გადაიარაღების გრძელვადიანი პოლიტიკის, შესყიდვების პოლიტიკის, ადამიანური რესურსების პოლიტიკის, ფინანსური ანგარიშგების სისტემის შექმნას. ყველა ხსენებული დოკუმენტის მიღებით შეიქმნება მაუწყებლის საქმიანობის ერთგვარი კოდექსი, რომელიც სრულად ასახავს ზემოაღნიშნულ ასპექტებს.
- ორგანიზაციის რესურსების გადანაწილება საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი სატელევიზიო და პირველი რადიოარხის გავრცელების მაქსიმალური უზრუნველყოფის მიზნით.
- საზოგადოებრივი მაუწყებლის ტელე და რადიოარქივების ახალ, ციფრულ მატარებლებზე გადატანის პროექტის გაგრძელება „მაუწყებლობის შესახებ“ კანონის მე-19 მუხლის მოთხოვნების განუხრელი შესრულების მიზნით.
- გენერალური დირექტორის მიერ პროგრამული ანგარიშის წარმოდგენა სამეურნეო საბჭოს მიერ დამტკიცებული შესაბამისი ფორმით, ხოლო წლიური ბიუჯეტისა და ფინანსური ანგარიშგების წარდგენა სამეურნეო საბჭოს მიერ დამტკიცებული „სააღრიცხვო პოლიტიკის სრულყოფილი საფუძვლების“ ბაზაზე.
- დოკუმენტურად დასაბუთებული კრიტერიუმების განსაზღვრა, რომელთა მიხედვითაც ხდება სატელევიზიო პროექტების შიდა, ან გარე წარმოებად გამოიჯენა.

- ორგანიზაციის რესურსების (მატერიალურ-ტექნიკური, ადამიანური) გამოყენების ტარიფების მკაფიოდ განსაზღვრა გარე და შიდა წარმოებისას.
- რეგულარულად, საეთერო წლის დაწყებამდე ორგანიზაციის წლიური სამოქმედო გეგმის მომზადება და დამტკიცება.
- მენეჯმენტმა მაუწყებლის ბიუჯეტის 1%-ზე მეტი ოდენობით დამატებითი სახსრების მოძიებისას სამთავრობო და სხვა წყაროებიდან, საქმის კურსში უნდა ჩააყენოს სამეურვეო საბჭო.

ნაციონალური უმცირესობების ენებზე მაუწყებლობა

საზოგადოებრივი მაუწყებელი უზრუნველყოფს ნაციონალური უმცირესობების უფლებას ქართული ენის არცოდნის შემთხვევაში მიიღონ ინფორმაცია მათ მშობლიურ ენაზე. აქედან გამომდინარე, დიდი ყურადღება ექცევა ყოველდღიურ მაუწყებლობას აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე. მაყურებლების ინტერესის გათვალისწინებით და მეტი ეფექტურობისათვის, საზოგადოებრივი მაუწყებლის ნაციონალური „მოამბე“ გამოშვება ვრცელდება 2 სხვადასხვა ეთერის მეშვეობით. 1 არხის (დილის საათებში), მე-2 არხის (საღამოს საათებში და გამეორება დილის საათებში) და ასევე რეგიონალური ტელეკომპანიების ეთერით. ამისთვის შეძენილი იქნა 2011-12 წწ სატელევიზიო სეზონისთვის საუკეთესო საეთერო დრო (ე. წ. „პრაიმ თაიმი“ 20:00 სთ-დან- 23:00- სთ-მდე) მარნეულის „მარნეული ტვ“-ზე და ბოლნისის „ბოლნელ“-ზე (მიეწოდება აზერბაიჯანური „მოამბე“), ზუგდიდის „ოდიშ“-ზე (მიეწოდება აფხაზურ ენაზე „მოამბე“) და ნინოწმინდას „მე 9-არხზე“ და ახალქალაქის „ატვ 12“-ზე (მიეწოდება სომხურ ენაზე „მოამბე“). ეს პროდუქცია მათ მიეწოდებათ სპეციალური ინტერნეტ-სერვისის მეშვეობით.

ყოველდღე მზადდება საინფორმაციო ბლოკი რომელიც 8-10 სიუჟეტს მოიცავს; თითოეული სიუჟეტის ქრონომეტრაჟი საშუალოდ 1 წუთია. (ერთ ენაზე გამოშვება საშუალოდ 9-10 წუთია). სადგურებს აქვთ უფლება დამატებით გაიმეორონ გადაცემები დილისა და საღამოს საათებში. ეროვნული უმცირესობების რედაქციებს თავად აქვთ საშუალება დაამზადონ რეპორტაჟი მათთვის საინტერესო თემებზე.

რადიომაუწყებლობა

მიმდინარეობს ასევე „პირველი რადიოს“ ეთერით ნაციონალური უმცირესობების ენებზე რადიო მაუწყებლობაც. ამჟამად საზოგადოებრივი მაუწყებლის რედიოეთერში გადის „ნაციონალური მოამბის“ ახალი ამბების კოლაჟის აუდიოვერსია. საინფორმაციო გამოშვებებს აფხაზურ, ოსურ, აზერბაიჯანურ და ოსურ ენებზე კვირაში ერთხელ ემატება ასევე რადიოპროგრამები ქურთულ ენაზეც.

რადიოგადაცემა „ჩვენი საქართველო“

რადიოგადაცემა „ჩვენი საქართველო“ არის ორიენტირებული ეროვნული და რელიგიური უმცირესობებზე, მათ სოციალურ ეკონომიკურ კულტურულ-საგანმანათლებლო პრობლემებზე. ეთნიკურ უმცირესობებს აძლევს საშუალებას მედიასივრცეში მილიონობით მსმენელის წინაშე გამოთქვან თავიანთი მოსაზრებები ამა თუ იმ მოვლენისა და პრობლემის თაობაზე, გააკეთონ კომენტარები ზოგადად ქვეყნისთვის მნიშვნელოვან საკითხებზე. გადაცემაში მუდმივად მონაწილეობენ სტუმრები, რომლებიც საქართველოში მაცხოვრები სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფს წარმოადგენენ.

გადაცემას ყავს ორი წამყვანი კობა ჩოფლიანი და გიორგი გუგუშვილი. გადაცემის წამყვანები ახდენენ იმ გამოცდილებისა და ცოდნის რეალიზაციას, რაც მათ დაუგროვდათ თავიანთ ანალოგიურ პროექტებზე მუშაობის დროს და სიღრმისეულად შლიან დისკუსიას ეროვნული და რელიგიური უმცირესობების თემაზე. გადაცემის ქრონომეტრაჟი 45 წ. პერიოდულობა – კვირაში ერთხელ (ხუთშაბათი)

პროექტს ანხორციელებს დემოკრატიისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ცენტრი, ფონდი `ღია საზოგადოება-საქართველოს` მხარდაჭერით

საზოგადოებრივი რადიო

საანგარიშო პერიოდში განსაკუთრებით აღსანიშნავია საარჩევნო მართონის გაშუქება და მედია-მონიტორინგის შეფასებები, რომელიც საზოგადოებრივმა რადიომ მიიღო. საზოგადოებრივმა რადიომ გააგრძელა ახალ პროექტებზე მუშაობა, საგრანტო და სასპონსორო დაფინანსების მოზიდვა, ასევე მულტიმედიური მაუწყებლობის პროექტის იმპლიმენტაცია.

არჩევნების გაშუქება

საანგარიშო პერიოდში ჩატარდა საპარლამენტო არჩევნები და „რადიო 1“-მა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო როგორც საარჩევნო ასევე არჩევნების შემდგომი პერიოდის გაშუქებას. საარჩევნო თემატიკას ეძღვნებოდა, როგორც საინფორმაციო გამოშვებები ასევე საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემები.

საზოგადოებრივი რადიოს მუშაობის შეფასების მხრივ, განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია საარჩევნო მედია მონიტორინგის შედეგები. მონიტორინგი ხორციელდება ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის მიერ დაფინანსებული პროექტის "პროფესიონალური მედია არჩევნებისთვის" ფარგლებში.

ეს მონიტორინგი უპრეცედენტოა როგორც თავისი დაკვირვების ხანგრძლივობით (ის არჩევნებამდე 7 თვით ადრე დაიწყო) ასევე მასშტაბებით (ტელე, რადიო, ბეჭდური და ონლაინ მედია-საშუალებების მონიტორინგი).

საზოგადოებრივი რადიოს კოლექტივის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მედიამონიტორებმა თავიანთ ანგარიშში ხაზგასმით აღნიშნეს „რადიო 1“-ის სამაგალითო მუშაობა. შეფასების ყველა კრიტერიუმის მიხედვით „რადიო 1“-მა საუკეთესო და ხშირად სხვა რადიოებისაგან გამორჩეული შეფასებები მიიღო.

პროგრამული ბადე

ქართულ მედიასივრცეში „საზოგადოებრივი რადიო 1“ კვლავ გამოირჩევა თავისი პროგრამების მრავალფეროვნებით, ხარისხით და რაოდენობით. რადიო 1-ის პროგრამული ბადე მოიცავს ყველა იმ პრიორიტეტს, რომელიც მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს მიერ არის განსაზღვრული. გადაცემათა უმრავლესობა ინტერაქტიულია.

საზოგადოებრივი რადიოს პროგრამებში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია „ოქროს ფონდის“ მასალებს. აღსანიშნავია, რომ ამ ოქროს ფონდის შემქნელების ნაწილი დღესაც მუშაობს რადიო 1-ის პროგრამებზე. რადიო 1-ი დღესაც აგრძელებს კლასიკური მუსიკის კონცრეტების და სპექტაკლების გარე ჩაწერას, ასევე საკუთარი რადიოსპექტაკლების მომზადებას.

ახალ პროექტებს შორის განსაკუთრებით გამოვყოფდით, პროგრამას „ხაზის რადიო“. ევროპის საზოგადოებრივ მაუწყებელთა ექსპერტებმა საზოგადოებრივი რადიოსათვის შეიმუშავეს შემდეგი რეკომენდაციები:

- უნდა შეივსოს დილის პრაიმ-ტაიმი 11:00-12:00-სთ-ებში;
- საზოგადოებრივმა რადიომ ევრო მეგად უნდა გააკეთოს აქცენტი ოქროს ფონდზე და მის საფუძველზე შექმნილ ნოსტალგიური ჟანრის გადაცემებზე.

ახალი გადაცემის კოლექტივი დაკომლექტდა რადიოში არსებული ადამიანური რესურსების ხარჯზე, რამაც მნიშვნელოვნად შეამცირა ახალ პროექტთან დაკავშირებული დამატებითი ხარჯები.

პროექტი წარმატებული გამოდგა და მსმენელთა მოწონება მოკლე პერიოდში დაიმსახურა. გადაცემა არის ორიგინალური და თავის ჟანრში ერთადერთი ქართულ რადიოსივრცეში.

ერთობლივი პროექტები და დაფინანსების მოზიდვა

„საზოგადოებრივი რადიო 1“ პროექტების ნაწილს ახორციელებს მოზიდული დაფინანსებით. მათ შორისაა როგორც საგრანტო ასევე სასპონსორო დაფინანსება. ასევე გვაქვს რამდენიმე ხელშეკრულება, რომლითაც ხდება საეთერო დროის მიყიდვა. ყველა ეს პროექტი სრულიად შეესაბამება სამეურვეო საბჭოს მიერ დასახულ პრიორიტეტებს.

მულტიმედიური მაუწყებლობის პროექტი



საზოგადოებრივი რადიო ახორციელებს განვითარების პროექტს, რომელიც მაუწყებლობის

ხასიათს და აუდიტორიას თვისობრივად შეცვლის. IREX-თან გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად პროექტის „საზოგადოებრივი რადიოს მულტიმედიური მაუწყებლობა“ ფარგლებში მომზადდა და აღიჭურვა ახალი სტუდია. ამ სტუდიის ამუშავების შემდეგ აუდიტორიას შესაძლებლობა ექნება მოისმინოს და იხილოს საზოგადოებრივი რადიო 1-ის პირდაპირი ეთერი.

ინტერნეტ მხარდაჭერა

„საზოგადოებრივი რადიო 1“-ის ანონსების ჯგუფმა შეითავსა ვებ-გვერდისა და ფეისბუქის სარედაქციო ფუნქციები, რის შემდეგაც რადიოს ინტერნეტმხარდაჭერა გაცილებით აგრესიული და მრავალფეროვანი გახდა.

საზოგადოებრივი მაუწყებლის II არხი

1. ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების გაშუქება, აქცენტით საპარლამენტო ცხოვრებაზე
2. საპარლამენტო სხდომების ტრანსლირება
3. მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოვლენების ტრანსლირება
4. სამოქალაქო ცნობიერების ამაღლება
5. სახელმწიფოს მართვის, კანონშემოქმედებითი პროცესების გამჭვირვალობისა და მათში მოქალაქეთა ჩართულობის ხელშეწყობა
6. დისკუსიების, დებატების სტიმულირება, პოლიტიკური კულტურის დანერგვა
7. მოწინავე დასავლური ქვეყნების გამოცდილების გაზიარება

მიგვაჩნია, რომ არხმა თავისი სამაუწყებლო სტრატეგიით, განვლილი საანგარიშო წლის განმავლობაში, ხელი შეუწყო ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრების, შეძლებისდაგვარად, სრულყოფილ ასახვას.

იმ მემორანდუმის ფარგლებში, რომელიც გაფორმდა პოლიტიკურ პარტიებს, პარლამენტსა და საზოგადოებრივ მაუწყებელს შორის, კვალიფიციური პარტიების აბსოლუტური და პოლიტიკური ძირითადი აქტორების უმრავლესობას საშუალება ჰქონდა ესარგებლა არხის ეთერით.

გადაცემა „თავისუფალი ტრიბუნა“ შაბათ-კვირის გარდა ყოველდღე, მორიგეობით, მასპინძლობდა მემორანდუმზე ხელმოწერ 23 პარტიას, ხოლო რუბრიკით „ბრიფინგის დრო“ - მაყურებელს საშუალება ჰქონდა დაუმონტაჟებლად ეხილა ყველა ის ბრიფინგი, პრესკონფერენცია, თუ მნიშვნელოვანი საზოგადოებრივ- პოლიტიკური მოვლენა, რომელიც საზოგადოების ინტერესს წარმოადგენდა.

განსაკუთრებული დატვირთვით არხმა საპარლამენტო არჩევნების წინ იმუშავა.

გადაცემა „თავისუფალი ტრიბუნა“ წინასაარჩევნოდ დღეში სამჯერ გადიოდა ეთერში, რათა მემორანდუმზე ხელმოწერ პარტიებთან ერთად, არჩევნებში მონაწილე ყველა პოლიტიკური ძალისა თუ გაერთიანების წარმომადგენლებს საშუალება ჰქონოდათ საკუთარი ხედვა მაყურებლისათვის წარმოედგინათ.

ჩვენი ეთერით რუბრიკით „ბრიფინგის დრო“ შუქდებოდა ყველა წინასაარჩევნო აქტივობა

1 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ არჩევნების საბოლოო შედეგების გამოცხადებამდე ჩვენ განვაგრძობდით ამ რეჟიმით მუშაობას.

არჩევნების შემდეგ დღის წესრიგში დადგა არხის პროგრამული განვითარება კერძოდ,

დაიგეგმა “თავისუფალი ტრიბუნის“ დაფორმატება და გადაწყდა, რომ მას წამყვანი წარუძღვება

მე-2 არხის პროგრამაში დაიგეგმა ახალი პროექტების განხორციელება

თავისუფალი ტრიბუნა

- გადაცემის ფორმატი – თოქ-შოუ
- ქრონომეტრაჟი – 60 წუთი
- ეთერში გასვლის დრო 19:00-20:00
- სუფთა საეთერო დრო 3 წუთიანი საანონსო ბადით – 56 წთ.

გადაცემის ბლოკების ქრონომეტრაჟი 10 – 35 –11

გადაცემის ბადე:

გადაცემის ქული

19:00 – პირველი ბლოკი

19:10 – საანონსო ჭრა 1წთ.

19:11 – მეორე ბლოკი

19:46 – საანონსო ჭრა 1წთ.

19:47 – მესამე ბლოკი

19:59 –გადაცემის ქული

პირველი ბლოკი

სტუდიაში წამყვანი წარადგენს გადაცემას, პარტიის წარმომადგენლებს და მათ სტუმრებს (მოწვეულ ექსპერტებს, არასამთავრობო ორგანიზაციის, მედიის წარმომადგენლებს, მოქალაქეებს)

გადაცემის პირველ ბლოკში პარტიის წარმომადგენლები წარადგენენ იმ თემას,რომელიც მათი აზრით აქტუალურია და რომლის შესახებაც საკუთარი აზრის დაფიქსირება და საზოგადოებისათვის გაზიარება მათ აუცილებლად მიიჩნიეს

მეორე ბლოკი

მეორე ბლოკის განმავლობაში წამყვანი, რომელთანაც თემა წინასწარ დამუშავებულია, დისკუსიას გამართავს,როგორც პარტიის წარმომადგენლებთან ასევე მოწვეულ სტუმრებთან.

იმისათვის, რომ გადაცემა მრავალფეროვანი და ყურებადი იყოს სასურველია სტუდიაში ის მხარეც იყოს მოწვეული, რომელიც პარტიის მიერ წარმოდგენილი მოსაზრების ოპონენტი იქნება.

მესამე ბლოკი

მესამე ბლოკში უკვე მაყურებელიც ერთვება თემასთან დაკავშირებული სატელეფონო ზარებით თუ სოციალური ქსელით დასმულ კითხვებით

არგუმენტების დრო...თოქ-შოუ

გადაცემის ფორმატი-დებატები

ქრონომეტრაჟი –60 წუთი

პერიოდულობა –კვირაში ორჯერ

ეთერში გასვლის დრო – 22:00–23:00

სუფთა საეთერო დრო 2 საანონსო ჭრით – 56 წუთი

თოქ-შოუს ფორმატი “არგუმენტების დრო” ითვალისწინებს დებატებს ტელესტუდიაში საზოგადოებისთვის საინტერესო და აქტუალურ თემაზე ან იმ კანონპროექტების განხილვას, რომლებიც საპარლამენტო კომიტეტებში უკვე დამუშავდა, მაგრამ პარლამენტის სესიაზე ჯერ არ განხილულა.

წინმსწრები სატელევიზიო დებატები ხელს შეუწყობს საზოგადოების ინფორმირებას ამა თუ იმ კანონის არსის, მნიშვნელობისა და საჭიროების თვალსაზრისით.

ჟურნალისტის მიერ წინასწარ მომზადებული რეპორტაჟი უშუალოდ წარმოაჩენს იმ სფეროსა, თუ სუბიექტებს, რომელთაც ეხება კონკრეტული განსახილველი კანონპროექტი. სტუდიაში მოწვეული სტუმრები იქნებიან კონკრეტული კანონპროექტის ავტორი და ოპონენტი, რომლებიც განიხილავენ ხსენებული კანონპროექტის დადებით და უარყოფით მხარეებს.

სატელევიზიო დისკუსია აქტუალურ თემაზე კი წარმოაჩენს ამა თუ იმ პარტიის დამოკიდებულებას საზოგადოებისათვის აქტუალური პრობლემისადმი და მისი გადაჭრის გზების ძიებას

თოქ-შოუ ეთერში გავა კვირაში ორჯერ, 60 წუთის ხანგრძლივობით

შენიშვნა: სტუდიაში კანონპროექტზე ან აქტუალურ თემაზე სასაუბროდ იმ პარტიების წარმომადგენლები მოიწვევიან, ვინც წერილობით რეზიუმეს გადმოაგზავნის რედაქციაში მათთვის წინასწარ შეთავაზებულ კანონპროექტზე ან აქტუალურ თემაზე

ეპიცენტრი

გადაცემის ფორმატი –პრესსტუდია

ქრონომეტრაჟი – 60 წუთი

პერიოდულობა –ყოველკვირეული

ეთერში გასვლის დრო –19:00–20:00 (შაბათი)

სუფთა საეთერო დრო 2 საანონსო ჭრით – 56 წუთი

აღმასრულებელი ხელისუფლების მოწვეული წარმომადგენლები პასუხობენ სტუდიაში მყოფი ჟურნალისტების შეკითხვებს, ამავე დროს მაყურებელს საშუალება აქვს ინტერნეტითა და ტელეფონით დასვას შეკითხვები

თვეში ერთხელ ამავე ფორმატით შეკითხვებს უპასუხებენ რეგიონის გუბერნატორები, სხვა რეგიონალური მმართველობითი რგოლების წარმომადგენლები მაჟორიტარი დეპუტატის თანხმებით

გადაცემის სტრუქტურული ელემენტები: წამყვანი, სტუმრები, მოწვეული ჟურნალისტები, დისპლეი, სადაც გამონჩდება ინტერნეტით დასმული შეკითხვები პირდაპირი ჩართვა სკაიპით რეგიონებიდან

საპარლამენტო ქრონიკა

გადაცემის ფორმატი საინფორმაციო დაიჯესტი(კადრსინქრონი,გადაფარვა)

ქრონომეტრაჟი-20-24წთ.

ყოველდღე შაბათ-კვირის გარდა

ეთერში გასვლის დრო –21:35

გადაცემის კომპონენტები-ინტერვიუ პარლამენტარებთან, დისკუსიის მნიშვნელოვანი ფრაგმენტები, ინფორმაცია კანონპროექტების შესახებ, საპარლამენტო დელეგაციების შეხვედრები

ამჟამად უკვე ჩატარებულია ტენდერი და 15 აპრილიდან იგეგმება ახალი ეთერი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური თოქ-შოუ

„აქცენტები“

გადაცემის ავტორი და წამყვანი - ეკა კვესიტაძე

თოქ-შოუ ეძღვნება კვირის მთავარი პოლიტიკური მოვლენების განხილვასა და შეფასებას - პოლიტიკოსებთან, ექსპერტებთან და საზოგადოების წარმომადგენლებთან ერთად.

გადაცემის თემა შეიძლება იყოს შიდაპოლიტიკური საკითხები, საგარეო ურთიერთობები, კონფლიქტების პრობლემა, მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი მოვლენები.

„აქცენტები“ ანალიტიკური გადაცემაა, სადაც გადაცემის წამყვანი მწვავე შეკითხვებს დასვამს და ყველაზე რთულ და მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით ამომწურავი პასუხების მიღებას შეეცდება.



22 იანვარი

პარტიათა დაფინანსების გამკაცრებული წესები. ბოლო საკანონმდებლო ცვლილებებით უკეთესობისკენ შეიცვალა საარჩევნო გარემო თუ უარესობისკენ - გადაცემის პირველ ნაწილში

თამარ ჩუგოშვილი - ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თავმჯდომარე

ზურაბ ჯაფარიძე - „სუფთა პოლიტიკის“ თანადამფუძნებელი

მეორე ნაწილში

თამარ ჩერგოლეიშვილი - ტაბულას რედაქტორი

ნინო ჯანგირაშვილი - ტელეკომპანია „კავკასიის“ დირექტორი

29 იანვარი

საკავშირის ვიზიტი ამერიკაში და შეხვედრა ობამასთან. მთავარი საკითხები, რომელიც ორი პრეზიდენტის შეხვედრისას განიხილება და რა მოლოდინები უკავშირდება ამ ვიზიტს საქართველოში.

პირდაპირი ჩართვა ვაშინგტონიდან

თემური იაკობაშვილი - საქართველოს ელჩი ამერიკაში

სტუდიაში

გია ნოდია - პროფესორი

შორენა შავერდაშვილი - ლიბერალის რედაქტორი

კორნელი კაკაჩია - პოლიტოლოგი

5 თებერვალი

რუსეთში მიმდინარე აქციები

მოსკოვიდან ჩართვა

კონსტანტინ ბარავოი - რუსეთის დუმის ყოფილი წევრი, პოლიტიკოსი

თორნიკე შარაშენიძე - ჯიჰას პროფესორი

ალექსი პეტრიაშვილი - „თავისუფალი დემოკრატები“

ვიზიტი ამერიკაში

გიორგი თარგამაძე - ქრისტიან დემოკრატები

12 თებერვალი

რამ შეარყია ლეიბორისტული პარტიის რეტინგი - როგორ აპირებს შალვა ნათელაშვილი ერთგული მხარდამჭერების დაბრუნებას

შალვა ნათელაშვილი - ლეიბორისტული პარტიის ლიდერი

როგორ აისახება საპატრიარქოს პოზიცია საქართველოსა და თურქეთის შორის არსებულ მოლაპარაკებებზე, რომელიც ორი ქვეყნის ტერიტორიაზე კულტურული და რელიგიური ძეგლების აღდგენა ეხება.

გიორგი ანდრიაძე - ეროვნულ-ქრისტიანული მოძრაობის ლიდერი

გიორგი ოთხმეზური - ისტორიკოსი

ბექა მინდიაშვილი - ტოლერანტობის ცენტრის ხელმძღვანელი

19 თებერვალი

დებატები

გიორგი ბარამიძე - ვიცე პრემიერი

ირაკლი ალასანია - თავისუფალი დემოკრატების ლიდერი

რა აერთიანებს ივანიშვილის გუნდის ახალ წევრებს, რითა არიან ეს ადმიანები გამორჩეული. როგორ შეხვდა საზოგადოება მათ გამოცენას პოლიტიკაში

მერაბ ზასილაია - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მკვლევარი

სოსო გალუმაშვილი - პიარის სპეციალისტი

26 თებერვალი

მომავალ კვირას პარლამენტი პრეზიდენტის დასახვედრად ემზადება - რას ელოდებიან პრეზიდენტის გამოსვლიდან და რა პრეტენზიები ექნება ქვეყნის პირველ პირთან უმცირესობის წარმომადგენლებს

დავით დარჩიაშვილი - საპარლამენტო უმრავლესობა

ლევან ვეფხვაძე - საპარლამენტო უმცირესობა

სირიაში შექმნილი ჰუმანიტარული კრიზისი. არის თუ არა ირანთან ომი გარდაუვალი

ალექსანდრე რონდელი - პოლიტოლოგი

დავით სიხარულიძე - თავდაცვის ყოფილი მინისტრი

4 მარტი

პრეზიდენტის ანგარიში პარლამენტს

ნუგზარ წიკლაური - პარლამენტის წევრი

გია ცაგარეიშვილი - პარლამენტის წევრი

გია ნოდია - პოლიტოლოგი

რატი ამალლობელი - პოეტი

მაია ორჯონიკიძე - მხატვარი

ლაშა ტულუში - რეზონანსის რედაქტორი

11 მარტი

როგორ განვითარდება რუსეთში მოვლენები პუტინის არჩევის შემდეგ და როგორ შეიძლება იყოს ქართულ -რუსული ურთიერთობები მომავალი 6 წლის მანძილზე

თენგიზ ფხალაძე - პოლიტოლოგი

კორნელი კაკაჩია - პოლიტოლოგი

უნდა აღინიშნებოდეს თუ არა 8 მარტი, უნდა ოყოს თუ არა დასვენების დღე და ზოგადად რას აღვნიშნავთ

თათა ცოფურაშვილი - ფილოსოფიის დოქტორი

მაგდა ანიკაშვილი - პარლამენტარი

მძმა თავხელიძე ტაბულას მიმომხილველი

ლელა გაფრინდაშვილი პროფესორი

18 მარტი

ცდება თუ არა კონტროლის პალატის მიერ ორგანიზებული მასობრივი დაკითხვები კანონის ფარგლებს

ლევან ბეჟაშვილი - კონტროლის პალატის თავმჯდომარე

თამარ ჩუგოშვილი - ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თავმჯდომარე

ირაკლი ალასანიას განცხადება, სადაც მან სამოქალაქო ომის შესაძლებლობებზე ილაპარაკა

პაატა ვეშაპიძე - 24 საათის რედაქტორი

ზვიად ქორიძე - ჟურნალისტი

25 მარტი

როგორი წინასაარჩევნო გარემო ყალიბდება საპარლამენტო არჩევნების წინ და ამ არჩევნების ხარსხი იქნება თუ არა გადამწყვეტი საქართველო-ევროკავშირის ურთერთობებში

ფილიპ დიმიტროვი - ევროკავშირის ელჩი

დებატები ირაკლი ალანსანიას განცხადებასთან დაკავშირებით (დასავლეთ საქართველოში ბანდფორმირების არსებობის შესახებ)

ალექსი პეტრიაშვილი - თავისუფალი დემოკრატები

დავით დარჩიაშვილი - პარლამენტარი

1 აპრილი

NDI-კვლევის შედეგები

ირაკლი ალასანია - თავისუფალი დემოკრატების ლიდერი

ემზარ ჯგერენაია - სოციოლოგი, პროფესორი

გიგა ბოკერია - უშიროების საბჭოს მდივანი

8 აპრილი

სახალხო დამცველის 2011 წლის ანგარიში

გიორგი ტულუში - სახალხო დამცველი

საკონსტიტუციო ცვლილებები მოქალაქეობის მიღების თაობაზე

ლევან ვეფხვაძე - ქრისტიან-დემოკრატები

უნდა იყოს თუ არა კანონით რეგულირებული იდენტობის საფუძველზე ადამიანების შეურაცხყოფა და დისკრიმინაცია

თათა ცოფურაშვილი - ფილოსოფიის დოქტორი

თამარ ჩერგოლიშვილი - ჟურნალ ტაბულას რედაქტორი

ქეთი დევდარიანი - სცენარისტი

22 აპრილი

ჯანდაცვის სიტემა - რეფორმები, პრობლემები და გამოწვევები

ზურაბ ჭიაბერაშვილი - ჯანდაცვისა და სოც.უზრუნველყოფის მინისტრი

დევი ხეჩინაშვილი - სადაზღვევო ასოციაციის თავმჯდომარე

29 აპრილი

ერთ-ერთ ტელეკომპანიის ეთერში გასულმა გადაცემამ, დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია. იქ სუბკულტურის წარმომადგენელი მოზარდები სატანისტებად იყვნენ მოხსენიებული. იყო თუ არა ეს გადაცემა ძალადობის მარპოვოცირებელი იმ ახალგაზრდების მიმართ, რომლებიც განსახვავებულად გამოიყურებიან და რატომ წევრიანდებიან მოზარდები საქართველოში არსებულ სუბკულტურებში და როგორი უნდა იყოს ასეთი მოზარდების მიმართ ოჯახის და საზოგადოების დამოკიდებულება

მაია ცირამუა - ფსიქოლოგი

მიშა მშვილდაძე - პროდიუსერი

თამარ ხორბალაძე - მედია ექსპერტი

ნინო ტეფნაძე - მწერალი

5 მაისი

ალასანიას გადასვლა ზუგდიდში და მისი განცახდება ბომბის შესახებ რომ ყველაფერი საქართველოს ხელისუფლების კვალზე მიუთითებს

ირაკლი ალასანია - კოალიცია ქართული ოცნება ჩართვა ზუგდიდიდან

IRI-ის ბოლო კვლევა

სოციოლოგები

იაგო კაჭკაჭიშვილი

ლევან თარხნიშვილი

პატიმარ დელიანძის გარდაცვალება საპრობილეში

ნათია იმნაძე - ომბუდსმენის ოფისის მონიტორინგისა და პრევენციის დეპარტამენტის ხელმძღვანელი

გიორგი არსოშვილი - სასჯელთაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის მოადგილე

13 მაისი

როდის და როგორ იწყებენ პარტიები წინასაარჩევნო კამპანიას

გუბაზ სანიკიძე - ქართული ოცნება

ფიქრია ჩიხრაძე - ახალი მემარჯვენეები

ნიკა ლალიაშვილი - ქრისტიან-დემოკრატები

ნატოს ჩიკაგოს სამიტი

კორნელი კაკაჩია - პოლიტოლოგი

დავით სიხარულიძე - თავდაცვის ყოფილი მინისტრი

20 მაისი

რა გახდა მიზეზი დავით გარეჯის გარშემო ატეხილი აჟიოტაჟის და რა ეტაპზეა აზერბაიჯანულ მხარესთან მოლაპარაკებები.

ნიკა ვაჩიშვილი - კულტურული მემკვიდრეობის და ძეგლთა დაცვის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელი

ჰომოფობიის წინააღმდეგ გამართული მანიფესტაცია მართმადიდებელ მშობელთა კავშირმა ჩაშალა. მანიფესტაციის მონაწილეებს სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს. რა იყო ამ მანიფესტაციის მიზანი და რატომ გამოიწვია ამ აქციამ გაღიზიანება

ზურა ჯაფარიძე - კოალიცია ევროპული საქართველოსთვის

ეკა აღდომელაშვილი - ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფის“ დირექტორი

გიორგი ანდრიაძე - ტელეკომპანია ივერიის ხელმძღვანელი

27 მაისი

კოალიცია „ქართული ოცნების“ წინასაარჩევნო კამპანიის დაწყება, აქცია თბილისში თავისუფლების მოედანზე

დავით უსუფაშვილი - კოალიცია ქართული ოცნება

გია ნოდია - პოლიტოლოგი

გიორგი მარგველაშვილი - GIPA- ს რექტორი

3 ივნისი

საკონსტიტუციო ცვლილებები

პავლე კუბლაშვილი - საპარლამენტო უმრავლესობა

ბიძინა ივანიშვილის დამოკიდებულება ტელევიზიებისა და ჟურნალისტების მიმართ

თამარ ჩერგოლეიშვილი - ტაბულას რედაქტორი

ზვიად ქორიძე - ჟურნალისტი

6 ივნისი

ექსკლუზიური ინტერვიუ აშშ სახელმწიფო მდივანთან ჰილარი კლინტონთან

8 ივლისი

ვინ როგორ აფასებს ვანო მერაბიშვილის პრემიერ-მინისტრის პოსტზე დანიშვნას; როგორია მისი სამოქმედო გეგმა; შეცვლის თუ არა ოპოზიცია ტაქტიკას სამთავრობო ცვლილებების შემდეგ

ზურა ჯაფარიძე - ტაბულას მიმომხილველი

ნინო ჯანგირაშვილი - ტელეკომპანია კავკასია

პაატა ვეშაპიძე - გაზეთი 24 საათის რედაქტორი

რამაზ საყვარელიძე - პოლიტოლოგი

15 ივლისი

შეთანხმებიან თუ ვერა წინასაარჩევნოდ პოლიტიკური პარტიები თამაშის წესებზე; რამდენად განსაზღვრავს ეს შეთანხმება პოლიტიკური პროცესების მშვიდობიანად და ცივილურად წარმართვას

სტუმრები: ირაკლი ალასანია - კოალიცია „ქართული ოცნება“;

აკაკი მინაშვილი - ნაციონალური მოძრაობა

22 ივლისი

რამდენად ეფექტურია მთავრობის მიერ შემუშავებული სტიქიით დაზარალებულთა დახმარების გეგმა

ჩართვა კახეთიდან: გიორგი ღვინიაშვილი-კახეთის გუბერნატორი

დავით ონოფრიშვილი- კოალიცია "ქართული ოცნება";

მიშა თავხელიძე-ექსპერტი

2 სექტემბერი

სახელმწიფო დაზღვევის ახალი სისტემა უკვე ამოქმედდა, რა უნდა იცოდნენ დაზღვეულმა პირებმა და არის თუ არა საავადმყოფოები მზად პაციენტთა დიდი ტალღის მისაღებად

ზურაბ ჭიაბერაშვილი - ჯანდაცვის მინისტრი

რატომ გაკეთდა მწავვე განცხადებები ხელისუფლების მისამართით მაშინ როდესაც სპეცოპერაცია სულ რამდენიმე საათის დაწყებული იყო და სრულ ინფორმაციას არავინ ფლობდა. ლაპანყურის დევნის ოპერაციის შეფასება

კორნელი კაკაჩია - პოლიტოლოგი

ჟურნალისტები

მერაბ მეტრეველი

თამარ ჩერგოლიშვილი

16 სექტემბერი

როგორ აპირებს ქართული ოცნების ლიდერი საქართველოში სამაგალით დემოკრატიის აშენებას და როგორია მისი საგარეო და საშინაო პრიორიტეტები

ბიძინა ივანიშვილი - ქართული ოცნების ლიდერი

22 სექტემბერი

წამება პენიტენციულ სისტემაში - გლდანის ციხის ფარული ჩანაწერები

ჩართვა სამინისტროდან

გიორგი ტულუში - სასჯელთადასრულების მინისტრი

პირველ ნაწილში

ლაშა ბუღაძე - მწერალი

გიორგი მაისურაძე - ფილოსოფოსი

ნუკრი ქანთარია - ქართული ოცნება

გიგა ნასარიძე - საქართველო არ იყიდება

სალომე ასათიანი - რადიო თავისუფლების კორესპონდენტი, ბლოგერი

გია ნოდია - პოლიტოლოგი

ზურაბ ჯაფარიძე - ნაციონალური მოძრაობა

ლევან ლორთქიფანიძე - თსუ სტუდენტი

30 სექტემბერი

კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენელთა მიმართვა ამომრჩევლისადმი

ირაკლი ალასანია - კოალიცია "ქართული ოცნება"

გიორგი თარგამაძე - "ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა

შალვა ნათელაშვილი - "ლეიბორისტული პარტია"

სერგო რატიანი-"ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"

რამდენად არის მზად ცესკო ხვალდნელი არჩევნებისთვის

ზურაბ ხარატიშვილი - ცესკოს თავმჯდომარე;

წინასაარჩევნო მდგომარეობის შეფასება

ეკა გიგაური - "საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო"

თამარ ჩუგოშვილი- ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

7 ოქტომბერი

ძალადობა, ასავალ-დასავალტან გამართული აქცია და მწერალ ზაზა ბურჭულაძის ცემა

ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორი გიორგი კეკელიძე

ლიტერატურათმცოდნე, ბლოგერი ზალიკო ანდრონიკაშვილი

ფილოსოფოსი თათა ცოფურაშვილი

ჟურნალისტები – ნინია კაკაბაძე

მერაბ მეტრეველი.

14 ოქტომბერი

ქართული ოცნების მიერ მინისტრების წარდგენა, რატომ გაუხანგ

ჩართვა საგარეჯოდან

თინა ხიდაშელი - კოალიცია ქართული ოცნება

რატომ წამოვიდა გია ხუხაშვილი ქართული ოცნებიდან

გი ხუხაშვილი - ექსპერტი

როგორია საერთაშორისო რეაქცია საქართველოს არჩევნებზე, როგორ გამოეხმაურა ამ

მოვლენას რუსეთი

თენგიზ ფახალაძე - პოლიტოლოგი

კვირის მიმდინარე მოვლენების ანალიზით

ნინო ჯაფიაშვილი - ტაბულა

გიორგი კიკონიშვილი - ბლოგერი

ირაკლი სალინაძე - სტუდია კრეტივის დირექტორი

30 ოქტომბერი

სახალხო დამცველის არჩევა, რატომ ვერ მოხერხდა აქამდე კანდიდატის შერჩევა, რა კრიტერიუმით უნდა შეფასდეს კანდიდატურები

ეკა ბესელია-ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე;

სერგო რატიანი-პარლამენტის წევრი

დავით ზურაბიშვილი-განათლების მინისტრის მოადგილე

ომბუდსმენობის კანდიდატები

გელა ნიკოლეიშვილი, თამარ გურჩიანი, ნათია იმნაზე

ნინია კაკაბაძე-ჟურნალისტი

ლაშა ბაქრაძე-ისტორიკოსი

სატელეფონო ინტერვიუ საქართველოს პატრიარქის მდივანთან მამა მიქაელ ბოტკოველთან

2 ნოემბერი

საქართველო-რუსეთის მომავალი ურთიერთობები, რა რესურსი აქვს ახალ ხელისუფლებას, რომ გააუმჯობესოს ეს ურთიერთობები; სოფელ ნიგვზიანში დაწყებული რელიგიური დაპირისპირება; რუსთავის საპყრობილეში არსებული პრობლემები

ზურაბ აბაშიძე - პრემიერის სპეციალური წარმომადგენელი რუსეთთან ურთიერთობებში;

გიგა ბოკერია - უშიშროების საბჭოს მდივანი;

თენგიზ ფხალაძე - პოლიტოლოგი;

ექსკლუზიურად ნიუ-იორკიდან გადაცემაში ჩაერთო კახა ლომია;

ლია მუხაშავერია და დიმიტრი ლორთქიფანიძე - ომბუდსმენობის კანდიდატები; ბ

ექა მინდიაშვილი - ტოლერანტობის ცენტრის ხელმძღვანელი

6 ნოემბერი

როგორ გამოიყურება მომავალი წლის ბიუჯეტი, რას გაეზარდა დაფინანსება, რომელ უწყებებს შეუმცირდათ და ეკონომიკის რამდენპროცენტისა იზრდა იგეგმება მომავალი წლისთვის; აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნები; ბაჩო ახალაიას დაკითხვის დეტალები

ნოდარ ხადური - ფინანსთა მინისტრი;

ზურაბ ჭიაბერაშვილი - ჯანდაცვის ყოფილი მინისტრი, კახეთში პრეზიდენტის რწმუნებული;

დავით სიხარულიძე - საქართველოს ყოფილი ელჩი ამერიკაში, ასევე ყოფილი თავდაცვის მინისტრი

7 ნომბერი

სპეც.გამოშვება

პაატა ვეშაპიძე-გაზეთ "24 საათის" რედაქტორ-გამომცემელი;

ზურაბ ჯაფარიძე-საპარლამენტო უმცირესობის წევრი

სპეც.გამოშვება

მანანა კობახიძე - პარლამენტის ვიცე-სპიკერი

ნინია კაკაბაძე - ჟურნალისტი

ნინო ლომჯარია - სამართლიანი არჩევნები

თამარ ჩუგოშვილი - ახალგაზრდა იურისტები

9 ნომბერი

სისხლის სამართლებრივი საქმეები;საქართველოში ნატო-ს სამხედრო კომიტეტის ვიზიტის გადადების მიზეზები

გოგა ხაჩიძე-საპარლამენტო უმცირესობის წევრი;

ელენე ხომტარია-საქართველოს რეფორმების ასოციაციის ხელმძღვანელი,

თორნიკე გორდაძე-ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ყოფილი სახელმწიფო მინისტრი;

გია ხუბაშვილი-საქართველოს განვითარების კვლევითი ინსტიტუტი;

მიშა მშვილდაძე-სცენარისტი,პროდიუსერი

13 ნომბერი

პრალაში და ბრიუსელში გაკეთებული განცხადებები; გიორგი კალანდაძის ბრალის დამძიმება

სერგი კაპანაძე- რეფორმების ასოციაციის დამფუძნებელი;

ვიქტორ დოლიძე- საპარლამენტო უმრავლესობის წევრი;

დავით დარჩიაშვილი- საპარლამენტო უმცირესობის წევრი;

ლაშა ტულუში-გაზეთ "რეზონანსის" რედაქტორი;

ანდრო ბარნოვი- თსუ-ს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი; ექსპერტები- სოსო ცისკარიშვილი, გია ნოდია.

16 ნომბერი

დაკავებული მაღალჩინოსნების რიცხვი ძალიან სწრაფად იზრდება, არის თუ არა ეს დაკავება პოლიტიკური ანგარიშსწორება.

დავით უსუფაშვილი - პარლამენტის თავმჯდომარე;

დავით საყვარელიძე - საპარლამენტო უმცირესობის წარმომადგენელი;

ოთარ კახიძე, "პოლიტიკის ანალიზის ცენტრი"

ზვიად დევდარიანი – ასოციაცია "სიდას" დირექტორი;

ეკა ფოფხაძე - ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წარმომადგენელი; ჟურნალისტები – პაატა ვეშაპიძე, მერაბ მეტრეველი.

20 ნომბერი

ირაკლი ოქრუაშვილი დაკავებულია; გაერთიანებული შტაბის ხელმძღვანელს პროკურატურამ დღეს კიდევ ერთხელ დაუმძიმა ბრალი; გენერალური ინსპექციის ყოფილი უფროსი პროკურატურაში უჩივის პოლიციელებს, რომლებმაც, მისი მტკიცებით, იარაღი ჩაუდეს

მამუკა ჭაბაშვილი- ირაკლი ოქრუაშვილის ადვოკატი;

გოგიტა გაბაიძე - გიორგი კალანდაძის ადვოკატი;

გოგა ონიანი - იურისტი;

ზაქარია ქუცნაშვილი - საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენელი;

გოკა გაბაშვილი - საპარლამენტო უმცირესობის ერთ-ერთი ლიდერი;

თამარ ჩუგოშვილი - ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია;

გიორგი მელაძე - "თავისუფლების ინსტიტუტი"

27 ნომბერი

საერთაშორისო პრესაში გამოთქმული კრიტიკა საქართველოს ხელისუფლების მიმართ; ახალი ხელისუფლების ეკონომიკური პოლიტიკა

მანანა კობახიძე-პარლამენტის ვიცესპიკერი;

ხელმძღვანელი,ყოფილი ეკონომიკის მინისტრი;

დიმიტრი ავალიანი-ჟურნალისტი;

სერგო რატინი-საპარლამენტო უმცირესობის წარმომადგენელი.

კახა ბენდუქიძე- თავისუფალი და აგრარული უნივერსიტეტების დამფუძნებელი

30 ნოემბრი

რამდენად ადეკვატურია საერთაშორისო კრიტიკაზე მმართველი გუნდის რეაქცია და როგორ შეიძლება განვითარდეს ურთიერთობების დასავლეთთან. როგორ იმოქმედებს დასავლური პრესის და ლიდერების კრიტიკა ინვესტორებზე

დავით ზურაბიშვილი განათლების მონისტრის მოადგილე

ელენე ხოშტარია რეფორმების ასოციაცია

ზვიად დევდარიანი ასოციაცია სიდა

გორგი კიკონიშვილი - ჟირნალისტი

ვახუშტი მენაბდე - იურისტი

ვახტანგ ლეჟავა - ეკონომისტი

4 დეკემბერი

ხელისუფლების შეცვლილი პოზიცია ომბუდსმენობის კანდიდატთან დაკავშირებით;

უჩა ნანუაშვილი – ომბუდსმენობის კანდიდატი;

რამდენად არის საშიშროება, რომ წლის დასაწყისში მოხდეს ლარის დევალვაცია.

ნოდარ ხადური - ფინანსთა მინისტრი;

ზვიად ძიძიგური - საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენელი

7 დეკემბრი

კანონპროექტი ამნისტიის შესახებ

გიორგი ტულუში - ყოფილი ომბუდსმენი

ეკა ბესელია - ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე

ჩიორა თაქთაქიშვილი-საპარლამენტო უმცირესობის წევრი

დაპირისპირება თეატრალურ წრეებში

ნუკრი ქანთარია-განათლების და კულტურის საპარლამენტო კომიტეტის თეატრალური: ზაალ ჩიქობავა - რუსთაველის თეატრის დირექტორი

ლევან ხეთაგური - თეატრმცოდნე

11 დეკემბერი

თემები - იუსტიციის სამინისტროს მიერ მომზადებული კანონპროექტი სასამართლოების შესახებ;

კოტე კუბლაშვილი-უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე

რატომ მიიჩნევს საგანგაშოდ, შექმნილ ეკონომიკურ სიტუაციას უმცირესობა

გიორგი ვაშაძე პარლამენტის წევრი

რამი ადანაშაულებენ მე-9 არხის ყოფილი დირექტორი კახა ბეაქაური და ჟურნალისტები გაია ხუხაშვილს

გია ხუხაშვილი - საქართველოს განვითარების ინსტუტის დამფუძნებელი

14 დეკემბერი

რას მოგვითხან რუსეთთან პირდაპირი დიალოგის დაწყება და როგორ შეიძლება წარმოვიდგინოთ საქართველო-რუსეთის მომავალი ურთიერთობები;

გრიგოლ ვაშაძე - საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრი;

ალექსი პეტრიაშვილი - ევროინტეგრაციის მინისტრი;

პოლიტოლოგები ვანო მაჭავარიანი და თენგიზ ფახალაძე

საზოგადოებრივ მაუწყებელში მომხდარი ცვლილებები; როგორი უნდა იყოს საზოგადოებრივი მაუწყებელი

გოგი გვახარია – ხელოვნებათმცოდნე, კრიტიკოსი

ლაშა ბაქრაძე – ისტორიკოსი

ჟურნალისტი ნინო ზურიაშვილი

გიორგი მელაძე – საზოგადოებრივი მაუწყებლის ბორდის წევრი.

18 დეკემბერი

როგორ და რის მიხედვით იცვლება საზოგადოების განწყობა; რაზე მეტყველებს ახალი კვლევები; რას ითხოვს ამომრჩეველი პოლიტიკოსებისგან და თავად პოლიტიკოსები რაზე აკეთებენ აქცენტს

გია ნოდია – პოლიტოლოგი;

სოციოლოგები - იაგო კაჭკაჭიშვილი და ემზარ ჯგერენაია

უნდა დაინგრეს თუ არა ჯერ არაშენებული მუსკომედიის თეატრი და რა დაჯდება მისი დემონტაჟი

ხათუნა ხაბულიანი - ხელოვნებათმცოდნე

თეო ხატიაშვილი - კინომცოდნე.

21 დეკემბერი

ყოფილი მაღალჩინოსნების დაკავება და თავდასხმა უმცირესობაზე ქუთაისში

ჩიხრაძე- "ახალი მემარჯვენეების" ერთ-ერთი ლიდერი

გიორგი კანდელაკი-უმცირესობის წარმომადგენელი

ქეთი დევდარიანი-სცენარისტი

ლაშა ბერაია-გამომცემელი

ნათია მეგრელიშვილი- კულტუროლოგი

ზაზა ფირალიშვილი - ფილოსოფოსი

25 დეკემბერი

2012 წლის ყველაზე მნიშვნელოვანი ტენდენციების შეფასება

ზურაბ აბაშიძე- უმრავლესობის წარმომადგენელი

თინა ბოკუჩავა-"ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"

თათა ცოფურაშვილი-ფილოსოფიის დოქტორი

ჯანა ჯავახიშვილი-ფსიქოლოგი

გიორგი ტულუში-უფლებადამცველი,ყოფილი ომბუდსმენი

გიორგი კეკელიძე-ეროვნული ბიბლოთეკის დირექტორი

დათო ბუხრიკიძე-ხელოვნებათმცოდნე

დიალოგი დავით პაიჭაძესთან

გადაცემა „დიალოგი დავით პაიჭაძესთან“ პირდაპირ ეთერში, საღამოს 10 საათზე გადის კვირაში სამჯერ: ორშაბათს, ოთხშაბათს და ხუთშაბათს. გადაცემა მიმდინარეობს ძირითადად ორ ფორმატში: ინტერვიუ და დისკუსია. გრძელდება დაახლოებით ერთ საათს.



„დიალოგის“ მომზადებისას ყოველთვის ვითვალისწინებთ კანონით განსაზღვრულ ნორმას, წარმოვაჩინოთ საზოგადოებაში არსებული მრავალფეროვნება და ნაირგვარი ინტერესი. გადაცემა უპირატესად ორიენტირებულია პოლიტიკურ პრობლემატიკაზე და წვდება როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკის საკითხების ფართო სპექტრს: მათ შორისაა კანონმდებლობა, სისხლის სამართლებრივი და სოციალური პოლიტიკა, სასამართლო სისტემის მუშაობა, პარტიათა ურთიერთობები, მიმართება დასავლურ სამყაროსთან, ოკუპაციის თანამდევი სირთულეები და ა.შ. ვეხებით და განვიხილავთ სხვა რიგის, არაპოლიტიკურ პრობლემებსაც: არასამთავრობო ორგანიზაციათა საქმიანობას, განათლებას და მეცნიერებას, ადამიანის უფლებებს, სხვადასხვა უმცირესობის, ბავშვთა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მდგომარეობას, შედარებით იშვიათად — ბიზნესისა და სახელმწიფოს ურთიერთობის საკითხებს.

„დიალოგის“ მიზანია, მაყურებელმა მიიღოს უფრო ვრცელი და დეტალური ინფორმაცია საკითხზე, გაეცნოს ერთმანეთისგან განსხვავებულ თვალსაზრისებს, დაინახოს საჯარო ფიგურები ახალი ნიუანსებით. გადაცემის ავტორებს გვაქვს სხვა განზრახვაც: ხელი შევუწყოთ რაციონალური დისკურსების გავრცელებას საზოგადოებაში, შევთავაზოთ მას ფაქტებსა და მსჯელობაზე დაფუძნებული საუბრები და არა მხოლოდ ემოციებით, უაპელაციო შეფასებებითა და არაკორექტულობით გაჯერებული დისკუსიები. ეს უკანასკნელი შეიძლება იზიდავდეს გარკვეული კატეგორიის მაყურებლის თვალს, მაგრამ, ვფიქრობთ, საზოგადოებრივ მაუწყებელს აქვს ვალდებულებაც და ფუფუნებაც, საზოგადოებრივად რელევანტურ საკითხებზე ლაპარაკის დროს მომართული იყოს მოქალაქის კრიტიკულ აზროვნებაზე.



31 იანვარი -

ვაშინგტონში პრეზიდენტ ობამასა და პრეზიდენტ სააკაშვილის შეხვედრა.

სტუმრები :ირაკლი ალასანია- თავისუფალი დემოკრატების ლიდერი; პეტრე ცისკარიშვილი - საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი; ბაკურ კვაშილავა -საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის პოლიტიკისა და სამართლის სკოლის დეკანი.

2 თებერვალი -

ქართული ოცნება და დანარჩენი პოლიტიკური ოპოზიცია;

სტუმრები: ირაკლი სესიაშვილი - ქართული ოცნება

გურამ ჩახვაძე - ედპ

მანანა ნაჭყებია - ახალი მემარჯვენეები

კახა კუკავა - თავისუფალი საქართველო

7 თებერვალი

1. პარლამენტის სამუშაო 2012 წლის გაზაფხულის სესიაზე

2. ბიზნესისა და სახელმწიფოს ურთიერთობები

სტუმრები: პავლე კუბლაშვილი, საპარლამენტო უმრავლესობა; გიორგი პერტაია, ბიზნეს ომბუდსმენი.

9 თებერვალი

კონტროლის პალატის ქმედებები , პარტიების ფინანსური დოკუმენტაციის შემოწმება.

სტუმრები : ნინო ლაპიაშვილი- „სუფთა პოლიტიკა“ , თამარ ჩუგოშვილი- საია.

საპატრიარქოს განცხადება აზიზიეს და ახმედიეს მეჩეთების აღდგენასთან დაკავშირებით .სტუმარი: სერგო რატიანი - ილიას უნივერსიტეტის პროფესორი.

არსებობს თუ არა მესამე გზა ქართულ პოლიტიკაში და რა პერსპექტივა აქვთ ამ გზაზე შედგომის მსურველ ძალებს. სტუმარი ედვ-ს ლიდერი ბაჩუკი ქარდავა.

14 თებერვალი

ქართული ოცნების იდეოლოგიური სახე.

სტუმრები: პროფ. იაგო კაჭკაჭიშვილი, ჟურნ. მიშა თავხელიძე, ფილოსოფოსი ლელა გაფრინდაშვილი.

პატიმრების მდგომარეობა და სიკვდილიანობა:

სტუმარი: გიორგი ტულუში, სახალხო დამცველი.

16 თებერვალი

საშინაო და საგარეო პოლიტიკის აქტუალური განზომილებები. სტუმარი გიგა ბოკერია- უშიშროების საბჭოს მდივანი

21 თებერვალი

ნარკოპოლიტიკა და ნარკოდანაშაული

სტუმრები: **გიგი წერეთელი** - ვიცე-სპიკერი, **დათო საყვარელიძე** - მთავარი პროკურორის მოადგილე, **ზურაბ სიხარულიძე** - ნარკოლოგი

II თემა: კოალიცია „ქართული ოცნება“ დაფუძნდა. სტუმარი - **დავით უსუფაშვილი**.

23 თებერვალი

თემა: კულტურის პოლიტიკა, შიდა პოლიტიკა, ქართული კულტურის ძეგლები თურქეთში.

სტუმრები: ნიკა რურუა - კულტურის მინისტრი, მურმან დუმბაძე - მოძრაობა „დემოკრატიული საქართველოსთვის“, ნუგზარ წიკლაური - პარლამენტის წევრი.

1 მარტი

თემა: პრეზიდენტ სააკაშვილის ანგარიში პარლამენტში

სტუმრები: ვიცე-სპიკერი მიხეილ მაჭავარიანი, ქრისტინა-დემოკრატთა ფრაქციის თავმჯდომარე გიორგი ახვლედიანი, „24 საათის“ რედაქტორ-გამომცემელი პაატა ვეშაპიძე, შორენა შავერდაშვილი, „ლიბერალის“ გამომცემელი.

6 მარტი

თემა: სოლომონ ქიმერიძის საქმე

სტუმრები: შოთა უტიაშვილი- შსს-ს ანალიტიკური დეპარტამენტის ხელმძღვანელი . ალექსანდრე გეჯაძე- დამოუკიდებელი სასამართლო ექსპერტიზის ცენტრის, „ვექტორის“ დირექტორს.

13 მარტი

ადამიანის უფლებათა დაცვის პრობლემატიკა საქართველოში სტუმარი გიორგი ტულუში - საქართველოს სახალხო დამცველი

15 მარტი

საარჩევნო სიების დაზუსტება . სტუმრები მამუკა კაციტაძე, ზურაბ ხარატიშვილი- ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე

20 მარტი

უკანონო შეირაღებული ფორმირებების შექმნის შესახებ ირაკლი ალასანიას განცხადების საფუძველი

სტუმრები: *ირაკლი ალასანია* (ქართული ოცნება), *აკაკი მინაშვილი* (ნაციონალური მოძრაობა), *ფიქრია ჩიხრაძე* (ახალი მემარჯვენეები).

22 მარტი

ენდიას კვლევების შედეგების შეჯამება სტუმარი .პროფესორი გია ნოდია

შს-ს არქივის სიახლეები და სამომავლო გეგმები . სტუმარი არქივის დირექტორი დავით აფრასიძე .

27 მარტი

აშშ-ის ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის საზოგადოების განწყობათა კვლევის შედეგების ნაწილი, რომელიც პოლიტიკურ პარტიებს ეხება. სტუმრები საქართველოს ვიცე სპიკერები : გიგი წერეთელი და ლევან ვეფხვაძე.

29 მარტი

საქართველოს სახალხო დამცველმა წლიური ანგარიში პარლამენტს წარუდგინა. სტუმარი საქართველოს სახალხო დამცველი გიროგი ტულუში.

აშშ-ის ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის კვლევის შედეგებს პოლიტიკოსთა ნაწილმა უნდობლობა შეაგება. სტუმრად ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის საქართველოს ოფისის ხელმძღვანელი ლუის ნავარო.

3 აპრილი

„ამომრჩეველთა ლიგა“ . სტუმრად ლიგის თავმჯდომარე კონსტანტინე გუნცაძე .

10 აპრილი

ქრისტიან დემოკრატების ახალი საკონსტიტუციო ინიციატივა.

სტუმრები გიორგი თარგამაძე-ქდმ. დავით დარჩიაშვილი- ნაციონალური მოძრაობა. ეკა ბესელია „ქართული ოცნება“

12 აპრილი

თემა: გორში სტალინის მუზეუმის სტალინიზმის მუზეუმად გადაკეთება

სტუმრები: კულტურის, ძეგლთა დაცვის მინისტრის პირველი მოადგილე დავით ცხადაძე; ლიტერატურის მუზეუმის დირექტორი-ლამა ბაქრაძე.

17 აპრილი

თემა: ცვლილებები გარემოსდაცვით კანონმდებლობაში

სტუმარი: გოგა ხაჩიძე-გარემოს დაცვის მინისტრი.

19 პრილი

თემა: პოლიტიკური პარტიების მესიჯები

სტუმრები: ირაკლი ალასანია-კოალიცია "ქართული ოცნება", დავით გამყრელიძე-ახალი მემარჯვენეები, რამაზ საყვარელიძე-პოლიტოლოგი

24 აპრილი

თემა: საარჩევნო სიების დაზუსტება

სტუმრები: მამუკა კაციტაძე-ამომრჩეველთა სიების დაზუსტების უზრუნველყოფის კომისიის თავმჯდომარე; ვახტანგ ყოლბაია-მომრაობა "დემოკრატიული საქართველოს" გენერალური მდივანი.

26 აპრილი

თემა: მედიის მონიტორინგი საარჩევნო პერიოდში

სტუმრები: ლევან გახელაძე-სსმ-ს სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე; გიგი ბრეგაძე-გაეროს განვითარების პროგრამის ანალიტიკოსი, ნინო ლომჯარია-"სამართლიანი არჩევნების" თავმჯდომარე, ქეთი ჩუბინიშვილი-კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრის მკვლევარი.

1 მაისი

თემა: რა გამოწვევები დაუსახა შეჯიბრებითობის პრინციპმა მოსამართლეებს, ადვოკატებს და პროკურორებს

სტუმრები: კოტე კუბლაშვილი-უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე; ზვიად კორძაძე-ადვოკატი.

3 მაისი

თემა: ოჯახური ძალადობა საქართველოში

სტუმრები: ელისო ამირეჯიბი-ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელი; მარი მესხი-ადამიანთა ვაჭრობის მსხვერპლთა, დაზარებულთა დაცვისა და დახმარების ფონდის დირექტორი; თამარ საბედაშვილი-გაეროს ქალთა ორგანიზაციების მრჩეველი გენდერის საკითხებში, ანა არგანაშვილი-ბავშვისა და ქალის უფლებების ცენტრის ხელმძღვანელი.

8 მაისი

თემები: კომპიუტერული ცოდნის ამაღლება რეგიონებში; რუსეთში მიმდინარე პროცესები.

სტუმრები: გიორგი ვაშაძე-იუსტიციის მინისტრის მოადგილე; თორნიკე შარაშენიძე-პოლიტოლოგი; ზურაბ აბაშიძე-ექსპერტი; ჩართვა მოსკოვიდან მატვეი განაპოლსკი-ჟურნალისტი.

16 მაისი

თემა - წყალდიდობის მიზეზები და პრევენცია

სტუმრები: რეზო გეთიაშვილი-კავკასიის გარემოსდაცვითი ქსელი; ნინო ჩხობაძე-მწვანეთა მოძრაობა-დედამიწის მეგობრები; ანდრია ურუშაძე-თბილისის მერის მოადგილე.

17 მაისი

თემა - დავით გარეჯი

სტუმრები: თემურ ჯოჯუა-ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე ; გიორგი ოთხმეხური-ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი; ნიკოლოზ ვაჩიშვილი-კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორი; ნუგზარ წიკლაური-პარლამენტის წევრი.

22 მაისი

თემა – ჩიკაგოს სამიტის შედეგები; რა აბრკოლებს საქართველოს ნატოში შესვლას

სტუმრები: დავით სიხარულიძე-ატლანტიკური საბჭოს თავმჯდომარე; ირაკლი ალასანია-"ქართული ოცნება"; გიგა ზედანია-ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი.

24 მაისი

თემა – წიგნის ფესტივალი

სტუმრები: ნინო გოგინაშვილი-საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი; ლაშა ბერაია-გამომცემლობა "ლოგოს პრესის" დამფუძნებელი; თინა მამულაშვილი-ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის ხელმძღვანელი.

29 მაისი

პოლიტიკასთან დაკავშირებული საკითხები

სტუმრები: მაია მიმინოშვილი-განათლების ეროვნული ცენტრის ყოფილი ხელმძღვანელი; გიგი თევზაძე-ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი; ინტერვიუ განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილესთან კოკა სეფერთელაძესთან და პარლამენტის კულტურისა და განათლების საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარესთან გოკა გაბაშვილთან.

31 მაისი

თემა - რას ცვლის შეცვლილი კონსტიტუცია ქართულ პოლიტიკაში

ჩართვა-ავთანდილ დემეტრაშვილი-კონსტიტუციონალისტი, პროფესორი; სტუმრები: თინათინ ხიდაშელი-"ქართული ოცნება"; ნინო ლაპიაშვილი-კოალიცია "ევროპული საქართველოსთვის".

5 ივნისი

თემა - ჰილარი კლინტონის ვიზიტი საქართველოში

ჩართვა - უშიშროების საბჭოს მდივნის პირველი მოადგილე ბათუ ქუთელია; "ქართული ოცნების" წარმომადგენელი თეა წულუკიანი; სტუდიაში სტუმრად – გეოპოლიტიკურ კვლევათა საერთაშორისო ცენტრის ხელმძღვანელი თენგიზ ფხალაძე.

7 ივნისი

თემა - "ფრიდომ ჰაუსის" კვლევა - სახელმწიფო მმართველობის; თვითმმართველობის; საარჩევნო სისტემის; სამოქალაქო საზოგადოების; მედიისა და სასამართლოს დამოუკიდებლობის შესახებ

სტუმრები: პროფესორები მარინა ჩიტაშვილი და გაია ნოდია

10 ივლისი

თემა - აშშ-ს ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის კვლევა - ეროვნული და ადგილობრივი მნიშვნელობის პრობლემები; დასაქმება; დემოკრატია; რეფორმები; არჩევნები; მედიისა და რწმენისადმი მოქალაქეთა დამოკიდებულება

სტუმრები: თათა ცოფურაშვილი - ილიას უნივერსიტეტის პროფესორი; იაგო კაჭკაჭიშვილი - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

12 ივლისი

თემები: სასამართლოს მიერ ტელეკომპანია „მეესტროს“ სატელიტური ანტენების დაყადაღების საკითხი; კოალიცია „ქართული ოცნების“ მაჟორიტარობის კანდიდატები

სტუმრები: მამუკა ღლონტი - ტელეკომპანია „მეესტროს“ თანამესაკუთრე; ნინო ლაპიაშვილი - არასამთავრობო ორგანიზაცია „სუფთა პოლიტიკის“ თანათავმჯდომარე; ლევან იზორია და მანანა კობახიძე - კოალიცია „ქართული ოცნების“ წევრები

17 ივლისი

თემა - აშშ-ს ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის კვლევის შედეგები

სტუმრები - ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის ხელმძღვანელი საქართველოში ლუის ნავარო; სოციოლოგი, პროფესორი იაგო კაჭკაჭიშვილი და ჟურნალ "ტაბულას" მთავარი რედაქტორი თამარ ჩერგოლეიშვილი

19 ივლისი

თემა - "ნაციონალური მოძრაობის" დეკლარაცია თავისუფალი; სამართლიანი და მშვიდობიანი საარჩევნო კამპანიისთვის

სტუმრები: მამუკა კაციტაძე - "ახალი მემარჯვენეები"; ლევან ვეფხვაძე - პარლამენტის ვიცე-სპიკერი, "ქრისტიან-დემოკრატები", გურამ ჩახვაძე - "ეროვნულ-დემოკრატიული პარტია"; გიორგი კანდელაკი - უმრავლესობის წარმომადგენელი; ნინო ლომჯარია - საზოგადოება სამართლიანი არჩევნების თავმჯდომარე

24 ივლისი

თემა - რა მოტივი აქვს სამღვდელოებას პოლიტიკოსთა მხარდასაჭერად; რას უქადის ეკლესიას პოლიტიკაში ჩარევა

სტუმრები: ლევან აბაშიძე - თეოლოგი; ბასილ კობახიძე - რელიგიათმცოდნე; დავით ჩიკვაძე - სამართლის დოქტორი; ზაქარია ქუცნაშვილი - კოალიცია „ქართული ოცნება“

26 ივლისი

თემა - მედია წინასაარჩევნო პერიოდში

სტუმრები: შალვა რამიშვილი - ტელეკომპანია "მასტროს" ჟურნალისტი; ლუბა ელიაშვილი - ჟურნალისტი; პაატა ვეშაპიძე - გაზეთ "24სათის" რედაქტორი; ლევან გახელაძე - საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე

14 აგვისტო

თემები: მედიამონიტორინგი; საარჩევნო კამპანიის დასაწყისი; პოლიტიკური პარტიები; ლიდერები

სტუმრები: მამუკა ანდლულაძე - მედიის ანალიტიკოსი; პოლიტოლოგი; გია ნოდია - პროფესორი

16 აგვისტო

თემა - ქალთა მონაწილეობა პოლიტიკაში

სტუმრები: ჩიორა თაქთაქიშვილი - "ნაციონალური მოძრაობის" წარმომადგენელი; მაგდა ანიკაშვილი - "ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა"; თათა ცოფურაშვილი - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი; თამარ ბაგრატი - ექსპერტი გენდერულ საკითხებში

23 აგვისტო

თემა - "ახალი მემარჯვენეებისა" და "ქრისტიან-დემოკრატების" პროგრამები და წინასაარჩევნო დაპირებები

სტუმრები: დავით გამყრელიძე - "ახალი მემარჯვენეების" ლიდერი; ლევან ვეფხვაძე - "ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის" წევრი; პარლამენტის ვიცე-სპიკერი

30 აგვისტო

თემები: ლოპოტას ხეობაში შექმნილი ვითარება; კოალიცია "ქართული ოცნების" ლიდერის მიმართვა საერთაშორისო თანამეგობრობას

სტუმრები: დავით დარჩიაშვილი - პარლამენტის წევრი; ალექსი პეტრიაშვილი - კოალიცია "ქართული ოცნება"

4 სექტემბერი

თემები: "ლეიბორისტული პარტიის" პროგრამული დებულებები; წინასაარჩევნო გარემო

სტუმრები: იოსებ შატბერაშვილი - "ლეიბორისტული პარტია"; ნინო ლომჯარია - "სამართლიანი არჩევნები"; თამარ ჩუგოშვილი - "საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია"

6 სექტემბერი

თემები: NDI -ის კვლევა საქართველოში; "ქართული ოცნების" ზუგდიდის მაჟორიტარობის კანდიდატის წინასაარჩევნო კამპანიის, კოალიციის კონფლიქტებთან და საგარეო პოლიტიკასთან დამოკიდებულებების განხილვა

სტუმრები: ლუის ნავარო - "ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის საქართველოს წარმომადგენლობის ხელმძღვანელი; ირაკლი ალასანია - კოალიცია "ქართული ოცნება", ზუგდიდის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი

13 სექტემბერი

თემები: პოლიტიკოსთა "მესიჯები" საარჩევნო კამპანიისას; ცალკეულ სამოქალაქო ჯგუფთა ძალისხმევა მიაღწიოს Must Carry-ს და Must Offer-ის გაგრძელებას არჩევნების შემდეგ; "თეფშების" ყადაღის საკითხი

სტუმრები: აკაკი მინაშვილი - "ნაციონალური მოძრაობის" წარმომადგენელი; ლაშა ტულუში - გაზეთ "რეზონანსის" მთავარი რედაქტორი

20 სექტემბერი

თემები: მსჯავრდებულთა წამების ფაქტები; რა ელით პატიმრებს მომავალში; რა შეიძლება შეიცვალოს პენიტენციურ სისტემაში; რას სთავაზობენ სამოქალაქო ჯგუფები საზოგადოებას კრიზისული ვითარების დასაძლევად

სტუმრები: გიორგი ტულუში - სასჯელალსრულების, პრობაციის და იურიდიულ საკითხთა დახმარების ახალი მინისტრი. თამარ ჩუგოშვილი - საია -ს თავმჯდომარე; ეკა გიგაური - "საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს" აღმასრულებელი დირექტორი.

25 სექტემბერი

თემა - ჟურნალისტების ქცევის რეგულირება არჩევნების დღეს; ეზღუდებათ თუ არა ჟურნალისტებს პროფესიული საქმიანობის განხორციელება პირველ ოქტომბერს

სტუმრები: ლევან დოლიძე - პროექტ "სამოქალაქო მონიტორინგი ინფორმაციის ხელმისაწვდომობისთვის" ხელმძღვანელი; ლაშა ტულუში - გაზეთ "რეზონანსის" მთავარი რედაქტორი

27 სექტემბერი

თემა - წინასაარჩევნო პროცესი და მისი მიმდინარეობა; რა რისკები შეიძლება ახლდეს არჩევნების დღეს

სტუმრები: ზურაბ ხარატიშვილი - საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე; ნინო ლომჯარია - ორგანიზაცია "სამართლიანი არჩევნების" ხელმძღვანელი; ქეთევან ჩაჩავა - "ახალი თაობა - ახალი ინიციატივის" გამგეობის თავმჯდომარე; ლელა ტალიური - "საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია"

2 ოქტომბერი- არჩევნების პირველადი შედეგების შეჯამება. სტუმრად სოციოლოგები ემზარ ჯგერენაია და იაგო კაჭკაჭიშვილი.

4 ოქტომბერი- სამომავლო საგარეო-პოლიტიკური ორიენტირები არჩევნების შემდეგ. 2 პოლიტიკური ძალის თანაარსებობის შესაძლებლობა. სტუმრები: ქართლი ოცნების წარმომადგენელი დავით ბერძენიშვილი და პოლიტოლოგი გია ნოდია.

9 ოქტომბერი- სასულიერო პირების დიად გამოხატული პოლიტიკური სიკმათიები წინასაარჩევნო პროცესში. სასულიერო წოდების წარმომადგენელთა როლი ქართულ პოლიტიკაში. სტუმრები- ქართული ოცნების წევრი ზაქარია ქუცნაშვილი და უფლებადამცველი ბექა მინდიაშვილი.

11 ოქტომბერი ხელისუფლების გადაბარების პროცესი. სტუმრად მინისტრობის კანდიდატები კოალიცია ქართული ოცნებიდან ირაკლი ალასანია და თეა წულუკიანი.

15 ოქტომბერი- როგორ შეიძლება იყოს კულტურის პოლიტიკა საქართველოში , რა ფუნქცია უნდა ქონდეს კულტურის სამინისტროს საქართველოში . სტუმრები: სცენარისტი ქეთი დევდარიანი, ჟურნალისტი ნინია კაკაბაძე, პოეტი რატი ამაღლობელი და 2008-2012 მოწვევის პარლამენტის წევრი ხათუნა ოჩიაური.

17 ოქტომბერი - სტუმრად ინფრასტრუქტურისა და რეგიონული განვითარების მინისტრობის კანდიდატი დავით ნარმანია სამინისტროში დაგეგმილ ცვლილებებზე.

18 ოქტომბერი- რა ადგილი და ფუნქცია მიენიჭება პროკურატურას მარტლმსაჯულების სისტემაში, რა პოლიტიკას წარმართავს გენერალური დირექტორი. სტუმრად არჩილ კბილაშვილი- გენერალური პროკურორობის კანდიდატი.

სახალხო დამცველის ვაკანტურ თანამდებობაზე არასამთავრობო ორგანიზაციათა ჯგუფმა თამარ გურჩიანის კანდიდატურა დაასახელა. სტუმრად თამარ გურჩიანი

21 ოქტომბერი ახალმა პარლამენტმა მუშაობა დაიწყო. აირჩიეს თავმჯდომარე , ვიცე სპიკერები და საპარლამენტო კომიტეტების თავმჯდომარეები. როგორ ჩაიარა ახლადარჩეული პარლამენტარების პირველმა სამუშაო დღემ. სტუმრები: პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი და დეპუტატი ნაციონალური მოძრაობიდან გიორგი გაბაშვილი.

22 ოქტომბერი- სახალხო დამცველი შესაძლოა უახლოეს დღეებში დაამტკიცონ . ცნობილია რამდენიმე კანდიდატურა, რომელც საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფმა დაასახელეს. სტუმრები- სახალხო დამცველობის კანდიდატები : ლია მუხაშავრია, გელა ნიკოლაიშვილი, თამუნა გურჩიანი, დიმიტრი ლორთქიფანიძე.

24 ოქტომბერი- რამდენიმე დღეა დაიძაბა ურთიერთობა საზოგადოებრივ მაუწყებელსა და ტელეკომპანია პიკს შორის. რა ინტერესები ეხლება ერთმანეთს და რატომ შეჩერდა საქმიანი ურთიერთობა პიკსა და საზოგადოებრივ მაუწყებელს შორის. სტუმრად საზ.მაუწყებლის გენერალური დირექტორი გიორგი ჭანტურია და პიკის საინფორმაციო სამსახურის უფროსი ევატერინე კოტრიკაძე.

25 ოქტომბერი- მოსალოდნელია თუ არა პოლიტიკური რევანშიზმი საქართველოში რა მიჯნავს სამართლებრივ პროცესს პოლიტიკური დევნიდან. სტუმრები პარლამენტის წევრები არჩილ კბილაშვილი და სერგო რატიანი .

29 ოქტომბერი განათლებისა და მეცნიერების სფეროში მიმდინარე სიახლეები განათლების მომავალი პოლიტიკა . სტუმრად განათლებისა და მეცნიერების მინისტრი გიორგი მარგველაშვილი .

31 ოქტომბერი-სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობას კრიტიკოსები დიდი ხანია ეჭვქვეშ აყენებენ , რას ფიქრობენ თავად სასამართლოში მოსამართლეთა მისამართით გამოთქმულ კრიტიკაზე . სტუმრად საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე კონსტანტინე კუბლაშვილი.

1 -ნოემბერი როგორ უკავშირდება პოლიტიკური ცვლილებები სამოქალაქო საზოგადოების აქტივობას საქართველოში, სუსტია თუ მოძლიერდა სამოქალაქო საზოგადოება. სტუმრები პროფესორები ზაალ ანდრონიკაშვილი, გია ნოდია და თათა ცოფურაშვილი.

5 ნოემბერი- საატესტატო გამოცდების ჩატარება ახალი მთავრობის გადაწყვეტილებით სკოლებს დაეკისრება . სტუმარი განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე ალუდა გოგლიჩიძე.

7- ნოემბერი სპეც.გამოშვება სტუმრები - საქართველოს მთავარი პროკურორი არჩილ კბილაშვილი, საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალური დირექტორი გიორგი ჭანტურია, სისხლის სამართლებრივი საქმეები , იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი , საპარლამენტო უმცირესობის წევრი პავლე კუბლაშვილი..

8 ნოემბერი- როგორ წარიმართება ნატო-საქართველოს ურთიერთობები საქართველოს შიდა პოლიტიკაში მომხდარი და მიმდინარე ძვრების შემდეგ; როგორ იმოქმედებს ამ ურთიერთობებზე მაღალი რანგის ორი სამხედრო პირისა და თავდაცვის ყოფილი მინისტრის დაკავება; რატომ გადაიდო ნატოს სამხედრო კომიტეტის ვიზიტი თბილისში; სტუმრები ; სახელმწიფო მინისტრი ევროატლანტიკური ინტეგრაციის საკითხებში ალექსი პეტრიაშვილი და უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილე ბათუ ქუთელია.

12 ნოემბერი - შინაგან საქმეთა და თავდაცვის ყოფილი მინისტრის, ბაჩანა ახალაიას საქმეში დღეს რამდენიმე გარემოება გამოჩნდა, რომელიც უფლებადამცველმა თეა თუთბერიძემ საჯაროდ წარუდგინა საზოგადოებას. რას ცვლის ეს სიახლე საქმეში, როგორ განვითარებას უქადის მას . სტუმრები თეა თუთბერიძე და ბაჩანა ახალაიას ადვოკატი, დავით დეკანოიძე.

საქართველოს სახალხო დამცველის თანამდებობას დაკავების ახალი მოსურნე გამოუჩნდა - ნინა ხატისკაცი, საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს ყოფილი თანამშრომელი. კანდიდატის პრიორიტეტები, გამოცდილება, განზრახვები, სტუმრად ნინა ხატისკაცი .

14 ნოემბერი -რამდენიმე დღეა, მოქალაქეთა მცირე ჯგუფები წამოსწევენ ოკუპაციის მუზეუმის გაუქმების საკითხს. რას ნიშნავს, რისი სიმბოლოა ოკუპაციის მუზეუმი, უნდა იყოს თუ არ უნდა იყოს ის ქვეყანაში, რა ემოციები და არგუმენტები უკავშირდება მის ყოფნა-არყოფნას. სტუმრები : ერეკლე მეორის საზოგადოების ხელმძღვანელი არჩილ ჭყვიძე და კოალიციის „ევროპული საქართველოსთვის“ წევრი, ლევან ჩოლოყაშვილი .

რამდენი და რომელ დანაშაულთა ჩადენისათვის ბრალდებული და მსჯავრებული პირები გათავისუფლდებიან ან შეიმცირებენ სასჯელს ამნისტიის კანონის ძალით? კანონპროექტი უკვე შესულია საქართველოს პარლამენტში, თუმცა დამოკიდებულება მისი ნორმებისადმი ჯერ ცოტას თუ გამოუხატავს. სტუმრები ეკა ბესელია - ადამიანის უფლებათა დაცვის საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე..

15 ნოემბერი - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა განაცხადა, რომ მომავალი წლიდან მთავრობა სწავლის გადასახადის გამძირებას აპირებს. დღევანდელ დიალოგში განათლების მინისტრთან, გიორგი მარველაშვილთან შევეცდებით გავარკვიოთ ამ გადაწყვეტილების პერსპექტივა და შევცხოთ განათლებასთან დაკავშირებულ სხვა პრობლემებსაც.

19 ნოემბერი- კულტურის პოლიტიკა- როგორ წარმოუდგენია ის მთავრობას და კულტურაში დასაქმებულ ადამიანებს, რაში თანხვდება და რაში არა საარჩევნო პროგრამის, კულტურის ადმინისტრატორებისა და თანამედროვე ქართული კულტურის კონკრეტულ წარმომადგენელთა მიდგომები. სტუმრები: საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი გურამ ოდიშარია, თბილისის საერთაშორისო კინოფესტივალის დირექტორი ნინო ანჯაფარიძე, თანამედროვე ხელოვნების კურატორი მაგდა გურული და კინოკრიტიკოსი თეო ხატიაშვილი.

21 ნოემბერი- რა პოლიტიკა შეიძება წარმართოს საქართველომ ოკუპირებულ აფხაზეთთან და ოსეთთან მიმართებაში, რისი უარყოფა და რისი განახლება მოუწევს ქართულ ოცნებას მანამდელი ხელისუფლების პოლიტიკისაგან ოკუპირებულ რეგიონებთან მიმართებით. სტუმრები: რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი პაატა ზაქარეიშვილი, სერგი კაპანაძე - საქართველოს რეფორმების ასოციაცია და პაატა დავითაია, საქართველოს ევროპელი დემოკრატების ლიდერი.

22 ნოემბერი- საქართველოს პრემიერ-მინისტრი 22 ნოემბრის პრეს-კონფერენციაზე შეეხო საზოგადოებრივად მნიშვნელოვან ბევრ საკითხს - ამნისტიას და მის შესაძლო შედეგებს, ტარიფების შემცირების პერსპექტივას, პოლიტიკური ოპონენტების მომავალს, პოლიტიკაში თავისივე ყოფნა-

არყოფნას. პრემიერ ივანიშვილის რამდენიმე თეზისზე სამსჯელოდ პირველ არხს სტუმრობენ პარლამენტის წევრები გედევან ფოფხაძე (ქართული ოცნება) და ირმა ნადირაშვილი (ნაციონალური მოძრაობა).

26 ნოემბერი- საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ყოფილი პროფესორები საქართველოს მთავარ პროკურორს განცხადებით მიმართავენ, არჩილ კბილაშვილს უმტკიცებენ, რომ აგრარული უნივერსიტეტი უკანონოდ გადაეცა კახა სხვა არგუმენტები აქვს აგრარული უნივერსიტეტის დღევანდელ ხელმძღვანელობას. სტუმრები ლაშა ჩხარტიშვილი, უფლებადამცველი, "ქართული ოცნების" გარემოს დაცვის ჯგუფის ხელმძღვანელი და ლაშა გოცირიძე, აგრარული უნივერსიტეტის რექტორი.

28 ნოემბერი -ამნისტიის კანონპროექტი სამი კვირაა, რაც პარლამენტში შევიდა და ამ ხნის მანძილზე დამოკიდებულება მის მიმართ თანდათან შეიცვალა. როგორ შეიძლება შეიცვალოს ამნისტიის კანონპროექტი კანონად ქცევამდე, სტუმრები : სანდრო ბარამიძე - იუსტიციის მინისტრის მოადგილე ჩიორა თაქთაქიშვილი - პარლამენტის წევრი ეკა ბესელია - პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე, ნაზი ჯანეზაშვილი - ორგანიზაცია 42-ე მუხლი.

29 ნოემბერი- საპარლამენტო არჩევნების შემდეგ ცვლილებები დაიწყო ადგილობრივ თვითმმართველობებში: „ქართული ოცნების“ წევრთა და მხარდამჭერთა ზემოქმედების შედეგად გადადგა ცამეტი რაიონის გამგებელი, რას უქადის ეს პროცესი საზოგადოების, ქვეყნისა და დემოკრატიის განვითარებას, სტუმრები: საქართველოს პარლამენტის წევრები - გია ჟორჟოლიანი (ქართული ოცნება) და ზურაბ მელიქიშვილი (ნაციონალური მოძრაობა).

5 დეკემბერი- ბრიუსელში მიმდინარე ნატოს მინისტრიალი, სადაც ნატო-საქართველოს კომისიის სხდომა დღეს გაიმართა, კიდევ ერთხელ წამოჭრის საკითხს ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში საქართველოს სწრაფვის შესახებ: რა აბრკოლებს და ეხმარება ამ სწრაფვას, იცვლება თუ არა საქართველოს პოლიტიკა ნატოსადმი და ნატოს პოლიტიკა საქართველოს მიმართ, სტუმრები :სახელმწიფო მინისტრი რეინტეგრაციის საკითხებში ალექსი პეტრიაშვილი, პარლამენტის წევრი გიორგი კანდელაკი და ელენე ხომტარია, „საქართველოს რეფორმების ასოციაციის“ დამფუძნებელი.

6 დეკემბერი -ბოლო კვირების მანძილზე საქართველოში მოქალაქეთა შორის ახალი დამაბულობის კერა გაჩნდა - გურიაში და ქვემო ქართლში, სოფლებში ნიგვზიანსა და წინწყაროში. დამაბულობა წარმოიშვა ქრისტიან და მუსლიმ ქართველებს შორის. რა არის ამ მოვლენის საბაზი და სიღრმისეული მიზეზი, რა საშუალებებით შეიძლება არა მხოლოდ ჩაცხრეს, არამედ ამოიწუროს და მოგვარდეს

კოლიზია რელიგიურ ნიადაგზე სტუმრები: ჟურნალისტი ლევან სუთიძე, პარლამენტის წევრი სოსო ვახტანგაშვილი და იურისტი გიორგი მელაძე.

10 დეკემბერი_ მიმდინარე კვირაში ერთმანეთს შეხვდებიან ქართველი და რუსი დიპლომატები. საქართველოს მხრიდან ზურაბ აბაშიძე, ხოლო რუსეთის მხრივ, სავარადუდოდ, გრიგორი კარასინი - საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე. შეიძლება თუ არა ზოგჯერ ერთმანეთს დაემთხვეს ორი ქვეყნის ინტერესი, რა არ უნდა დათმოს საქართველომ არაფრის ფასად. სტუმრები, პოლიტიკის ანალიტიკოსი, მალხაზ ფიროსმანიშვილი და საქართველოს რეფორმების ასოციაციის დამფუძნებელი სერგი კაპანაძე. თავდაცვის პოლიტიკის ზოგ ასპექტზე ვესაუბრებით საქართველოს თავდაცვის მინისტრს ირაკლი ალასანიას.

12 დეკემბერი- საშინაო პოლიტიკურ პროცესებს საქართველოში ისევ გამოემხაურნენ შეერთებული შტატების სენატორები. ნიდერლანდების ელჩმაც საქართველოში განაცხადა, რომ სამართლებრივი სისტემის მიმართ ეჭვი არ უნდა არსებობდეს. ირთულებს თუ არა საქართველო ურთიერთობებს პარტნიორებთან, რა პრობლემები შეიძლება ელოდეს ქვეყანას და ხელისუფლებას ამით? სტუმრები: პარლამენტის წევრები გუგული მალრაძე და გიგი წერეთელი, ჟურნალისტები პაატა ვეშაპიძე და თამარ ჩერგოლეიშვილი.

13 დეკემბერი - დიალოგს სამი ადვოკატი სტუმრობს. ორი მათგანი იცავს და წარმოადგენს იმ პირთა ინტერესს, რომელთაც საქართველოს სახელმწიფო სისხლის სამართლებრივად სდევნის: საქმე ეხება პირებს, რომელთაც იუსტიციის სამინისტრო სისხლის სამართლის კონკრეტულ დანაშაულს აბრალებს, ხოლო ოპოზიციაში გადასული ნაციონალური მოძრაობა პოლიტიკური დევნის მსხვერპლად მიიჩნევს. ჩვენ შევეცდებით გავიგოთ რა საფუძველი არსებობს ამ პირთა ბრალდების გასამყარებლად თუ გასაქარწყლებლად, სტუმრები : საპარლამენტო უმრავლესობის წევრი, იურისტი, გედევან ფოფხაძე. ადვოკატები გოგა ონიანი, ზვიად კორძაძე, ირაკლი ზაქარეიშვილი.

17 დეკემბერი - ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნულ-დემოკრატიულმა ინსტიტუტმა გამოაქვეყნა საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგები. კვლევა 1 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ ჩატარდა და მიზნად სიახავდა, გამოერკვია, როგორ ეკიდებიან მოქალაქეები პოლიტიკურ ფიგურებსა და პარტიებს, მათ ცალკეულ ნაბიჯებს, გადაწყვეტილებებს, საქმიანობას. გამოკითხვის შედეგებზე საუბრობენ გადაცემის სტუმრები ლუის ნავარო, მანანა კობახიძე, მიშა თავხელიძე.

19 დეკემბერი- თემები- კანონპროექტი საერთო სასამართლოების შესახებ; ყოფილი მინისტრების ნიკა გვარამიას, ალექო ხეთაგურის და მინისტრის ყოფილი მოადგილე კახა დამენიას დაკავება. სტუმრები - სტუმრები: ზაზა მეიშვილი-უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე; სანდრო ბარამიძე -

იუსტიციის მინისტრის მოადგილე; დავით ასათიანი -კოალიცია 'დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისათვის'თავმჯდომარე; თამარ ჩუგოშვილი- საია-ს გამგეობის წევრი;

20 დეკემბერი-თემა – ნიკა გვარამიასა და ალექსანდრე ხეთაგურის დაკავება. სტუმრები : არჩილ კბილაშვილი -მთავარი პროკურორი; დავით დარჩიაშვილი - საპარლამენტო უმცირესობის წევრი; ოთარ კახიძე - იურისტი.

24 დეკემბერი- დებატები საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალური დირექტორობის ხუთ კანდიდატს შორის. საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალური დირექტორობის კანდიდატები: მეგი თავდუმაძე, ნათია აბრამია, თინათინ რუხაძე, გიორგი ბარათაშვილი, ნიკოლოზ მახარაშვილი.

26 დეკემბერი- მართლმსაჯულების სისტემის რეფორმა; მსჯავრდებულთა რეაბილიტაცია და რესოციალიზაცია; საკანონმდებლო ცვლილებათა ინიცირება; რელიგიური საბჭოს შექმნა; მთავრობის სისხლის სამართლებრივი პოლიტიკა – გახმაურებული და გაუხმაურებელი ბრალდებები; სტუმარი: თეა წულუკიანი - საქართველოს იუსტიციის მინისტრი.

27 დეკემბერი- როგორი იყო 2012 წელი სასამართლოსთვის საქართველოში; რა პირობებში უწევს მას საქმიანობა დღეს; მოიმატებს თუ არა სასამართლოს დამოუკიდებლობის ხარისხი; რას მოასწავებს მისთვის ახალი საკანონმდებლო განზრახვები. სტუმარი კოტე კუბლაშვილი- უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე

“საჯარო პოლიტიკა”



თოქ-შოუ “საჯარო პოლიტიკა” ქართულ სატელევიზიო სივრცეში ერთადერთი გადაცემა, სადაც საზოგადოებას საშუალება აქვს ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენების განხილვაში უშუალოდ მიიღოს მონაწილეობა. აუდიტორიაში მოწვეული მოქალაქეები პირადად უსვამენ შეკითხვებს გადაცემის სტუმრებს – პოლიტიკოსებსა და ექსპერტებს. აუდიტორიაში წარმოდგენილი არიან სხვადასხვა პროფესიის, ასაკის და სოციალური სტატუსის მქონე პირები, რომლებიც თავად ირჩევენ მათთვის საინტერესო თემას და თავად სვამენ ამ თემებთან დაკავშირებით შეკითხვებს.

გადაცემა ეთერშია თვეში ერთხელ. თოქ-შოუში განიხილება ის თემები, რომელიც მთელი თვის განმავლობაში ყველაზე მნიშვნელოვანი იყო. “საჯარო პოლიტიკაში” წარმოდგენილია როგორც პოლიტიკური და სოციალური თემები, ასევე ეკონომიკის, კულტურის ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხები. გადაცემა იწერება ყოველი თვის ბოლო პარასკევს, ხოლო ეთერში გადის მეორე დღეს, შაბათს 22 საათზე. გადაცემის წამყვანია ეკა მიშველაძე.

თოქ-შოუს ფორმატი საზოგადოებრივმა მაუწყებელმა ბრიტანული ტელეკომპანია ბიბისი-ს პროდიუსერის მარი ირვინის უშუალო მეთვალყურეობით მოამზადა. მარი ირვინი ბრიტანეთში ამავე ფორმატის გადაცემის პროდიუსერია. მისი უშუალო მონაწილეობით მომზადდა “საჯარო პოლიტიკის” საპილოტე გადაცემა, ასევე პირველი გადაცემა, რომელიც ეთერში გავიდა 2011 წლის 29 იანვარს. მას შემდეგ თოქ-შოუ რეგულარულად არის პირველი არხის ეთერში ყოველი თვის ბოლოს. ბიბისის წარმომადგენლის გარდა “საჯარო პოლიტიკას” ერთი წლის განმავლობაში მონიტორინგს უწევდა ბრიტანეთის საელჩო საქართველოში.

2012 წლის განმავლობაში “საჯარო პოლიტიკის” ეთერში არაერთი საინტერესო და მნიშვნელოვანი თემის განხილვა მოხდა. გადაცემაში წარმოდგენილი იყო ყველა ის საკითხი, რომელიც აქტუალური იყო საზოგადოებისთვის. იანვარში თოქ-შოუს სტუმრებმა იმსჯელეს აშშ-სა და საქართველოს პრეზიდენტების შეხვედრაზე თეთრ სახლში. ასევე, საგარეო პოლიტიკის სხვა მნიშვნელოვანი თემები: კრემლის პოლიტიკა, კულტურული გენოციდი ოკუპირებულ ტერიტორიაზე და ის საფრთხე, რაც ქართულ ეკლესია-მონასტრებს ემუქრება. საგარეო პოლიტიკის მთავარ თემებს შორის ხშირად არის სოციალური პრობლემატიკა. იანვარში გადაცემის ეთერში გაიმართა დისკუსია დასაქმებულსა და დამსაქმებელს, სახელმწიფოსა და მოქალაქეს შორის არსებულ ვალდებულებებსა თუ

ურთიერთობებზე. ეს თემა განსაკუთრებით აქტუალური სომალელი მეკობრეების ტყვეობაში მყოფი მეზღვაურების გათავისუფლების შემდეგ გახდა.

„საჯარო პოლიტიკის“ მომდევნო გადაცემა ეთერში 25 თებერვალს, საქართველოს საბჭოთა ოკუპაციის 91 წლისთავზე გავიდა. შესაბამისად, თოქ-შოუს პირველი და ყველაზე მთავარი თემა ოკუპაციის წლები, რუსეთის აგრესიული პოლიტიკა და ოკუპაციის კვირეულის აღნიშვნა იყო. ასევე, დაისვა კითხვები ქვეყნის შიგნით მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე, კერძოდ, საპარლამენტო არჩევნებამდე მესამე პოლიტიკური ცენტრის შექმნის ალბათობაზე. თებერვალში, ისევე როგორც იანვრის გადაცემაში, ერთ-ერთი მთავარი თემა სხვადასხვა გემზე დაკავებული ქართველი მეზღვაურების პრობლემა იყო. მეოთხე და არანაკლებ მნიშვნელოვანი თემა კი თურქეთის ტერიტორიაზე არსებული ქართული კულტურის ძეგლების გადარჩენის საკითხი გახდა. აუდიტორია დაინტერესდა, როგორ წარიმართება იშხნისა და ოშკის აღდგენის სამუშაოები და იქნებიან თუ არა ამ პროცესში ჩართული ქართველი სპეციალისტები.

მარტის გადაცემაში აუდიტორიამ და სტუმრებმა დისკუსია, ტრადიციულად, თვის ოთხ მთავარ თემაზე გამართეს. საზოგადოების ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა ამ ხნის განმავლობაში კონტროლის პალატის მიერ ჩატარებული პარტიების ფინანსური მონიტორინგი. განსაკუთრებით საყურადღებო იყო ენდიაი-ს (ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის) კვლევები. მარტში გამოქვეყნებული გამოკითხვის შედეგები ასახავდა როგორც საზოგადოებაში არსებულ სოციალურ პრობლემებს, ასევე პოლიტიკური პარტიების რეიტინგებს. შესაბამისად, ენდიაი-ს კვლევები და მისი შედეგები მოწვეული აუდიტორიისა და გადაცემის მთავარი სტუმრებისთვის თანაბრად მნიშვნელოვანი აღმოჩნდა. ასევე, გადაცემაში განხილული იყო ახალი ანტინარკოტიკული პროგრამა, რომელიც ნარკოპოლიტიკის ლიბერალიზაციას და ახალი სარეაბილიტაციო ცენტრის შექმნას ითვალისწინებს. სტუდენტების განსაკუთრებული ინტერესი და დისკუსია მოჰყვა განათლების სისტემაში დანერგილ სიახლეებს, კერძოდ, დასაქმების საზაფხულო პროგრამის მიმდინარეობას

იმის გათვალისწინებით, რომ საპარლამენტო არჩევნებები 2012 წლის ყველაზე მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოვლენა იყო და წინასაარჩევნო პერიოდი საკმაოდ მწვავე დაპირისპირების ფონზე წარიმართა, „საჯარო პოლიტიკის“ თითქმის ყველა გადაცემაში მოხდა საარჩევნო თემის გაშუქება. აპრილსა და მომდევნო თვეებში გადაცემის ფორმატში მოეწყო დისკუსიები საარჩევნო კანონმდებლობასა და საარჩევნო სიების დაზისტების პრობლემატიკაზე. საარჩევნო კამპანიის მიმდინარეობა და პოლიტიკური ჯგუფების მოსაზრებები გადაცემის თემა გახდა როგორც ზაფხულში გასულ გადაცემებში, ასევე უშუალოდ არჩევნების წინ მომზადებულ „საჯარო პოლიტიკაში“. პოლიტიკური თემატიკიდან ყურადღება ასევე დაეთმო საკონსტიტუციო ცვლილებებს.

საჯარო პოლიტიკის გადაცემების უმრავლესობა 2012 წლის ზაფხულსა და შემოდგომაზე უშუალოდ არჩევნებისთვის მზადებას და იმ პრობლემატიკას ეხებოდა, რაც საარჩევნო თემატიკას უკავშირდებოდა. თოქ-შოუში გაშუქდა „მასთ კერის“ მიღება, რაც საკაბელო ოპერატორებს სხვადასხვა არხების ჩართვას ავალდებულებდა და რასაც ექსპერტები თანაბარი საარჩევნო გარემოს უზრუნველყოფის ერთ-ერთ პირობად მიიჩნევდნენ. ასევე, გადაცემაში გასუქდა წინასაარჩევნოდ ჩატარებული სოციოლოგიური კვლევები და რეიტინგები. უშუალოდ არჩევნების წინ, საჯარო პოლიტიკამ მთელი ეთერი პოლიტიკურ პარტიებს დაუთმო და 4 კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტს საშუალება მისცა კიდევ ერთხელ გაეცნო საკუთარი პროგრამა ამომრჩევლისთვის და მიემართა

საზოგადოებისთვის. სტუდიაში მოწვეულები იყვნენ წარმოდგენილი პოლიტიკური პარტიების (ქართული ოცნება, ნაციონალური მოძრაობა, ქდმ, ლეიბორისტები) მხარდამჭერებიც. წინასაარჩევნო პერიოდში პოლიტიკური თემატიკის სიჭარბის მიუხედავად, საჯარო პოლიტიკის სტუდიაში დისკუსია სოციალურ და საზოგადოებისთვის მნიშვნელოვან სხვა საკითხებზეც გაიმართა. მათ შორის იყო ხელმისაწვდომი ჯანდაცვის თემა, დაზვევასთან დაკავშირებული პრობლემები, განათლების რეფორმა და სხვა.

პოლიტიკური თემატიკა აქტუალური იყო არჩევნების შემდგომ პერიოდშიც. ახალი პოლიტიკური რეალობა, თანამშრომლობა ახალ მმართველ ძალასა და ოპოზიციას შორის, თვითმმართველობებთან დაკავშირებით განვითარებული მოვლენები და საერთაშორისო რეკომენდაციები კოაბიტაციასთან დაკავშირებით - ამ თემებზე გაიმართა დისკუსია არჩევნების შემდეგ მომზადებულ გადაცემებში.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გადაცემაში მონაწილეობა მიიღეს როგორც პოლიტიკოსებმა, ასევე ექსპერტებმა, არასამთავრობო სექტორის და საზოგადოების სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლებმა. “საჯარო პოლიტიკა” მკაცრად იცავს პროექტის ფარგლებში განსაზღვრულ ფორმატს და სტანდარტებს, რომლის თანახმადაც, გადაცემაში მუდმივად არის წარმოდგენილი სხვადასხვა ოპოზიციური პარტიის წარმომადგენელი, რომელსაც საშუალება აქვს დებატები აწარმოოს ხელისუფლების წარმომადგენელთან. ყველა გადაცემაში ასევე მონაწილეობდნენ დამოუკიდებელი ექსპერტები, აუდიტორიის შერჩევა კი ხდება სხვადასხვა პოზიციის მქონე ადამიანებისგან. აუდიტორიის სტუმრები არიან სხვადასხვა პროფესიის, ასაკის და სოციალური ჯგუფის ადამიანები.

ტექნიკური დეპარტამენტი

ტექნიკური დეპარტამენტი (თბილისი)

1. ტელევიზიის ცენტრალურ სააპარატოში დამონტაჟდა მეორე 10კვა სიმძლავრის უწყვეტი კვების წყარო UPS-ი, გადანაწილდა სააპარატოს სიმძლავრე ორ UPS-ზე თანაბრად, დამზადდა და დამონტაჟდა ერთი ახალი ძალოვანი ელექტრო კარადა და მოდერნიზაცია გაუკეთდა მეორე დენის ფარს, რამაც საშუალება მოგვცა 15 წუთამდე გაგვაზარდა სააპარატოს უწყვეტი მუშაობა ელექტრო კვების დაზიანების დროს.
2. ტელევიზიის ცენტრალურ სააპარატოში დამონტაჟდა ციფრული სარელეო, რომლის მეშვეობით I და II არხის სიგნალები მიეწოდა “ზლექსისატის” გადამცემ სადგურს.
3. საპარლამენტო არჩევნებისთვის ტელევიზიის ცენტრალურ სააპარატოში დამონტაჟდა ოპტიკურ-ბოჭკოვანი მიძღები რესივერები, რომლის მეშვეობით მივიღეთ ვიდეო სიგნალები ცესკოდან და არჩევნებში მონაწილე 5-პარტიის ოფისიდან.
4. მოამბის და “C” სტუდიებში არჩევნებისთვის დამონტაჟდა 3D/HD გრაფიკული სისტემა და ტიტრების გენერატორი “ROSS Xpression”-ის ორი მოწყობილობა, რომლებსაც არჩევნების შემდეგ გაუკეთდა დემონტაჟი და ზემოაღნიშნული აპარატურა დამონტაჟდა მოძრავ სატელევიზიო სადგურსა და პირველ სტუდიაში, ხოლო C-სტუდიაში დამონტაჟდა “Oradis” წარმოების გრაფიკული სისტემა “მესტრო”, რომელიც მოიხსნა მოძრავ სატელევიზიო სადგურში.
5. პირველ სართულზე განთავსებულ მეორე არხის სტუდიის სააპარატოში დამონტაჟდა ტიტრების გენერატორი “Title Deko”, რომელიც მოიხსნა C-სტუდიიდან.
6. C-სტუდიის სააპარატოში დამატებით დამონტაჟდა მეორე დისკრეკორდერი (სერვერი) “Airbos”-ი “BlackMagic”. იგივე ტიპის დისკრეკორდერი (სერვერი) “Airbox”-ი ასევე დამონტაჟდა მეორე არხის საეთეროში.
7. ზაფხულის ოლიმპიური თამაშებისთვის I-კორპუსის პირველ სართულზე მოეწყო ორი ახალი ჩამწერი სამონტაჟო, რომელიც დაუკავშიდა ცენტრალური და პირველ სტუდიის სააპარატოებს.
8. ოლიმპიური თამაშებისთვის არსებულ ერთ საკომენტატორო “VIP” ოთახს დაემატა სამი გახმავანების ოთახი, რომელიც დაუკავშიდა პირველი და მეორე არხის საეთერო გამომშვებ სააპარატოებს და პირველ სტუდიის სააპარატოს.
9. პირველი სტუდიის სააპარატოში დამონტაჟდა “ISDN” და ხმის დაყოვნების მოწყობილობები, ლონდონიდან პირდაპირი კომენტარების ტრანსლაციის უზრუნველსაყოფად.
10. 2012 წლის ფეხბურთში ევროპის ჩემპიონატისთვის ტელევიზიის ცენტრალურ სააპარატოში დამონტაჟდა მაღალი გარჩევადობის პულტი, რომლის საშუალებით საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხის პროგრამები ევროპის ჩემპიონატისა და ოლიმპიადის დროს გადაიცემოდა –HD ხარისხით.
11. მოძრავ სატელევიზიო სადგურში დამონტაჟდა ახალი, მაღალი გარჩევადობის, – HD სტანდარტის პულტი, რამაც საშუალება მოგვცა ვაწარმოოთ ჩაწერები და ტრანსლაციები –HD ხარისხით.
12. მოძრავ სატელევიზიო სადგურში დამონტაჟდა “Harris”-ის წარმოების მულტიეკრანული მოწყობილობა, რის შემდეგაც დემონტაჟი გაუკეთდა სტანდარტული გარჩევადობის რვა 8X2 მონიტორს და დამონტაჟდა 2 მაღალი გარჩევადობის HD/LCD მონიტორი.

13. მოძრავ სატელევიზიო სადგურში შეიცვალა აუდიო ტრაქტის აპარატურა, დამონტაჟდა ახალი 32 მიქშერიანი ციფრული აუდიო პულტი “Yamaha-LS9”. დამონტაჟდა საკომუტაციო პაჩ-პანელები და აუდიო აგრეგატები.
14. შევიდით მაღალი გარჩევადობის სატელევიზიო გადაცემის აპარატურა: რომელიც საკუთარი ძალებით დავამონტაჟეთ “ტოიოტა სეკვიას” მოდელის ავტომანქანაზე, ამან საშუალება მოგვცა ვაწარმოოთ გადაცემები თანამგზავრზე, როგორც სტანდარტული გარჩევადობის ასევე მაღალი გარჩევადობის—HD MPEG2 4:2:2 ფორმატში.
15. ტელევიზიის ცენტრალურ სააპარატოში დამონტაჟდა “ბლექსისატის” სამი სარელო მიმღები რესივერი, რომლის მეშვეობით მივიღეთ ვიდეო სიგნალები ქუთაისის პარლამენტის შენობიდან.
16. ზამთრის სეზონისთვის პროფილაქტიკა ჩაუტარდა შენობაში დამონტაჟებულ კონდენციონერებს: გაირეცხა ფილტრები და დაემატა ფრეონი.
17. ჯ-სტუდიის სტუდიაში გარემონტდა დაზიანებული გათბობის ქვაბი. შეიცვალა ქვაბების შეერთების სქემა. ქვაბებში შეიცვალა 2 ცალი ვენტილატორი.
18. ჯ-კორპუსის მეორე სართულზე დემონტაჟი გაუკეთდა ერთ დაზიანებულ გათბობის ქვაბს, რომელიც შეიცვალა ახლით. მეორე ქვაბი გარემონტდა კაპიტალურად: შეეცვალა მიკროსქემა, ხოლო მესამეს ჩაუტარდა პროფილაქტიკა.
19. ჯ-კორპუსის მეორე სართულზე არქივის ოთახში შეიცვალა დაზიანებული კონდენციონერი. ე.წ. “პერეგონების” ოთახში შეიცვალა დაზიანებული კასეტური ტიპის კონდენციონერი.
20. შევიდინეთ და ახალი 305 კვა სიმძლავრის დიზელგენერატორი, რომელიც დამონტაჟდა ტელევიზიის ეზოში. საკუთარი ძალებით განხორციელდა გენერატორის ჩართვა ტელევიზიის ელექტრო კვების სისტემაში. გენერატორი უზრუნველყოფს, როგორც სააინფორმაციო და პირველი სტუდიების, ასევე ცენტრალური სააპარატოსა და რადიოს სრულ უზრუნველყოფას ავტომატურ რეჟიმში (რამოდენიმე წამში), ელექტროენერგიის ავარიული გამორთვის დროს.
21. სერვერრუმში პროფილაქტიკური შემოწმება ჩაუტარდა და შეკეთდა 10კვა სიმძლავრის უწყვეტი კვების წყარო UPS-ი.
22. ჯ-სტუდიის სააპარატოში გარემონტდა 10კვა სიმძლავრის დაზიანებული უწყვეტი კვების წყარო ფშ-ი.
23. პირველ კორპუსში შემოწმდა და გარემონტდა დაბალი ძაბვის გამანაწილებელი ფარები, შეიცვალა დამცავი ელ-ავტომატები.
24. მეორე სართულზე რადიოსთან არსებულ სერვერრუმში გაკეთდა შიდა ელექტროქსელის მონტაჟი.
25. მირველი კორპუსის პირველ სართულზე ე.ო. “მწვანე სტუდიაში” დამონტაჟდა 20კვა სიმძლავრის UPS-ის მოწყობილობა.
26. გამოიცვალა მთავარი შენობის შემოსასვლელ კიბეებთან 60 ცალი სანათი მოწყობილობა. შემოწმდა და გარემონტდა მესამე სართულზე დერეფნის განათების მოწყობილობები.
27. მოიხსნა და გარემონტდა გარე პერიმეტრის სანათი მოწყობილობები.
28. გაკეთდა ახალი რადიო სტუდიის (ყოფილი მეოთხე სტუდიის) ძალოვანი კვება და განათების მონტაჟი.

თანამედროვე მეილ სერვერის ინსტალაცია, კონფიგურაცია

2012 წელს ჩატარებული სამუშაოების შედეგად დავენერგეთ თანამედროვე სტანდარტების მქონე მეილ სერვერი (Exchange 2010), რომელიც წარმოადგენს დაცულ, სტაბილურ ბიზნეს კლასის მეილ სერვერს, კალენდარს და კონტაქტებს პერსონალურ კომპიუტერში, მობილურ ტელეფონში და ვებ ბრაუზერში.

- აქვს ყველა ცნობილი ბროუზერის მხარდაჭერა, მათ შორის Internet Explorer, Firefox, Safari and Chrome
- მობილური სინქრონიზაცია ათასობით აპარატურასთან, მათ შორის Windows Phone, iPhone და Android
- მრავალ-ფენიანი ანტი-სპამ ფილტრი, რომელიც მუდმივად განახლებადია
- დიდი ზომის საფოსტო ყუთის მხარდაჭერა
- წერილების არქივაცია
- კალენდრის გაზიარება, რომელიც გვაწვდის ინფორმაციას მომხმარებელზე (თავისუფალი, დაკავებული თუ შვებულებაშია)

ახალი მეილ სერვერით მივიღეთ სტაბილური, დაცული და მომხმარებელზე ორიენტირებული გარემო.

ასევე დაემატა SMS სერვისი, რომელიც გამოიყენება გადაცემებში, ინტერაქტიური გამოკითხვისას.

მეილ სერვერის ჩანაცვლებისთვის წინასწარ მომზადებული მეთოდის გამოყენებით მოხდა არსებულის ჩანაცვლება სწრაფად და უსაფრთხოდ. ძველი წერილები დაარქივებულია მომხმარებელთა სამუშაო მანქანებში, რომელმაც მინიმუმამდე დაიყვანა უმტკივნეულოდ გადასვლის პროცესი.

Firewall - უსაფრთხოება და დაცვა

უსაფრთხოების სიმკაცრის გამო, შეიცვალა არსებული დაცვითი სისტემები, სრულიად ახალი, მაღალი სტაბილურობის და წარმადობის მქონე სისტემით.

- შეიცვალა ტრაფიკის მართვის პოლიტიკა, რომელიც საშუალებას გვაძლევს მთლიანად ავითვისოთ არსებული ინტერნეტ რესურსი და მომხმარებელმა შეძლოს შეუფერხებლად მუშაობა.
- გაეშვა ვებ კონტენტის ფილტრაციის სერვისი, რომელიც გვაძლევს მაქსიმალურად უსაფრთხო ვებ ბროუზინგს საშუალებას.
- ასევე ლოკალური პროქსი სერვერი, რომლის საშუალებითაც ხდება ტრაფიკის კონტროლი და კონკრეტული დაშვების ან შეზღუდვის დაწესება.
- გამოყენებულ იქნა საერთაშორისო შავი სიები (black lists), ამ სიებში შედის მსოფლიო რეიტინგის მიხედვით აკრძალული და არასასურველი საიტების სია.
- დაიხვეწა და გაუმჯობესდა მომხმარებლებისთვის remote deskop სერვისი, რომელმაც გაამარტივა მუშაობა და მართვა.

ტრაფიკის კონტროლთან ერთად დაემატა მონიტორინგის და აღრიცხვის ფუნქცია, რომელიც გამოიყენებულ იქნება შიდა ქსელის სრულყოფაში და მომხმარებლის გაკონტროლებაში.

სატელევიზიო და რადიო არხების სტრიმინგი

- შეიცვალა სტრიმინგ სერვერები
- განახლდა პროგრამული უზრუნველყოფა
- განცალკევდა და დაიყო ტიპებად სტრიმინგ სერვისები (Adobe flash და Windows media)

- დამატა სტრუქტურულად სპეციალურად მობილური მოწყობილობებისთვის, როგორც პირველი ასევე მეორე არხისთვის. არსებული სერვისის მუშაობს წამყვან მობილურ ოპერაციულ სისტემებზე, როგორცაა Apple iOS, Google Android, Windows Mobile, Symbian.
- არსებულმა ცვლილებამ მოგვცა საშუალება გაგვეზარდა სტრუქტურის ხარისხი და უკვე მომხმარებელს შეუძლია აირჩიოს მაღალი ან დაბალი გარჩევადობის გამოსახულება.
- გაუმჯობესდა რადიო სტრუქტურის სერვერის სტაბილურობა, რომელიც უზრუნველყოფს უწყვეტ მუშაობას.

პირველი და მეორე არხის მომსახურება განაწილდა ორ დამოუკიდებელ სტრუქტურულ სერვერზე, ცვლილებების შედეგად მივიღეთ მაღალი ხარისხი, უწყვეტი სატელევიზიო და რადიო მაუწყებლობა ინტერნეტ სივრცეში.

ვირტუალური ინფრასტრუქტურის დანერგვა

გამოყენებულ იქნა წამყვანი მწარმოებლის პროდუქტი სერვერთა ვირტუალიზაციისთვის, შედეგად მივიღეთ:

- მაღალი წარმადობის, სტაბილური და დაცული ვირტუალური მანქანები
- ასევე მაღალი სანდობის (High Availability) სისტემები
- Downtime-იშემცირდა მინიმუმამდე
- მასშტაბადი სისტემა (CPU, RAM, Storage, NIC დამატება/გაზრდა)
- ცენტრალური და მარტივად მართვადი ინფრასტრუქტურა, სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენებით
- ვირტუალური მანქანების მარტივი Backup/Restore ფუნქციის დამატება
- ღირებულების და ელექტრო ენერჯის მოხმარების შემცირება

მომველებული ფიზიკური სერვერები მთლიანად განახლდა და ჩაანაცვლა ვირტუალიზაციამ. ამჟამად გაშვებულია 20-მდე ვირტუალური მანქანა, სამ მძლავრ ფიზიკურ სერვერზე. ზემოხსენებული ტექნოლოგიის გამოყენებით თავიდან ავიცილეთ 20 ფიზიკური სერვერის შექმნა.

FTP სერვერის კოლოკაცია პარტნიორ პროვაიდერთან

არსებული გახშირებული პრობლემების გამო, რომელიც მოიცავდა ციფრული ინფორმაციის დაყოვნებით გაცვლას, არასაიმედო კავშირს, რაც გამოწვეული იყო მომველებული ტექნიკის და გამოყოფილი ხაზის არ ქონის გამო.

ჩატარდასამუშაოები შედეგად მოხდა FTP სერვერის განახლება და კოლოკაცია პარტნიორ პროვაიდერთან, შედეგად მივიღეთ:

- ციფრული ინფორმაციის სწრაფი და საიმედო გაცვლა მსოფლიოს ნებისმიერი წერტილიდან
- მომხმარებლების ანგარიშის მართვა ვებდან, რომელიც ამარტივებს სამუშაო პროცესს
- ულიმიტო გამოყოფილი დაცული სივრცე თითოეული მომხმარებლისთვის
- მონაცემთა სარეზერვო კოპირების ფუნქცია
- მონაცემთა გაცვლის სიჩქარე გაიზარდა 1 გიგაბიტამდე ლოკალურ და 12 მეგაბიტამდე გლობალურ შეერთებაზე, რამაც სრულიად დააკმაყოფილა მომხმარებლის მოთხოვნები

- სერვისის გაშვებულია ვირტუალურ მანქანაზე და მიერთებულია ცენტრალურ მართვის კონსოლზე, მუდმივი მონიტორინგისთვის

მარშუტიზატორი და კომუტატორი

სასერვეროს ქსელური ნაწილი (მარშუტიზატორი, კომუტატორები და დაკაბელება) მთლიანად შეიცვალა ახლით რის შედეგადაც:

- გავზარდეთ წარმადობა
- მოწესრიგდა სასერვეროს შიდა კომუნიკაცია
- დაიყო ვირტუალურ ქსელებად, სერვერული და მომხმარებლის სექტორი
- ორი დამოუკიდებელი ინტერნეტ კავშირი ჩართულია დატვირთვის განაწილების რეჟიმში
- დაემატა ტრაფიკის სტატისტიკა თითოეული პორტის მიხედვით
- კეთდება პერიოდულად კონფიგურაციის სარეზერვო კოპირება

ასევე ორმა დამოუკიდებელმა ინტერნეტ ხაზმა მოგვცა უწყვეტი და კომფორტულიმუშაობის საშუალება. მომხმარებლების ვირტუალური ქსელი (VLAN) ასევე დაიყო ქვე-ქსელებად - ახალი ამბების, ადმინისტრაციული, რადიო, საეთერო და სამონტაჟო, რაც მოხერხებული მართვის და კონტროლის საშუალებას გვამძლევს.

ავტომატიზირებული სარეზერვო კოპირების სერვისი (Backup service)

ვირტუალური ინფრასტრუქტურის დანერგვამ გაამარტივა სარეზერვო კოპირების სერვისის ეფექტურობა, სწრაფმედება და საიმედოობა.

- ყველა მნიშვნელოვანი სერვისის სარეზერვო კოპირება ხორციელდება პერიოდულად
- დაკოპირებული მონაცემები გადის შემოწმებას ვარგისიანობაზე, აღდგენის შემთხვევაში გაუთვალისწინებელი პრობლემების თავიდან ასაცილებლად
- დაემატა Exchange 2010-სთვის და Active Directory-სთვის სწრაფი და მოხერხებული აღდგენის ფუნქცია
- კოპირებული ინფორმაცია დაზღვეულია აპარატურულად (Hardware RAID)

ჩატარებული სამუშაოების შედეგად, მნიშვნელოვანი ობიექტები, სერვისები და ასევე ცალკეული მონაცემები დაზღვეულია აპარატურის მწყობრიდან გამოსვლის შემთხვევაში. სამუშაო რეჟიმში დაბრუნება მოხდება მაქსიმალურად მოკლე დროში.

სარეზერვო კოპირების სერვისი დაფუძნებულია თანამედროვე პროგრამულ უზრუნველყოფაზე, რომელიც აღიარებულია მსოფლიო ბაზარზე.

სისტემური დისკური სივრცე

სერვისების ვირტუალიზაციის მაღალი წარმადობის, ეფექტურობის და საიმედოობის აუცილებლობამ განაპირობა სისტემური დისკური სივრცის არსებობა.

შედეგად მივიღეთ:

- ცენტრალური სივრცე ყველა სერვისისთვის
- ჯამური სივრცე 4-ჯერ გაიზარდა, რომელმაც მოგვცა სერვისების დამატების თავისუფლება
- დისკური სივრცე აპარატურულად დაცულია (RAID5) ინფორმაციის კარგვისგან. მყარი დისკის დაზიანების შემთხვევაში ავტომატურად მოხდება მისი ჩანაცვლება, წინასწარ დარეზერვებული დისკით
- დისკური სივრცე გამოყენებულია ვირტუალიზაციაში მაღალი საიმედოობისთვის, რომელიც უზრუნველყოფს ვირტუალური მანქანების უწყვეტ მუშაობას
- დისკური სივრცე მასშტაბადია ანუ გაზრდასთან დაკავშირებული პრობლემები მინიმუმამდეა დაყვანილი

გაშვებული სერვისები

დომეინ კონტროლერი - აქტიური დირექტორია

დაინერგა ორგანიზაციისთვის პირველადი და აუცილებელი სერვისი - აქტიური დირექტორია. მოხდა მომხმარებლების ანგაშის დამატება/შექმნა, მისი საშუალებით ხორციელდება ცენტრალური ავტორიზაცია, საჭირო პოლიტიკის გატარება, საფოსტო ყუთების შექმნა (მიბმულია მეილ სერვერზე), ციფრულ მონაცემებზე უფლებების განაწილება.

აქტიური დირექტორიის რეპლიკაცია

აქტიურ დირექტორიაზე მიბმულია ასევე სხვა გაშვებული სერვისები და მისი უწყვეტად მუშაობის აუცილებლობამ განაპირობა დამატებითი მეორე აქტიური დირექტორიის გაშვება რეპლიკაციის რეჟიმში. შედეგად რომელიმე აქტიური დირექტორიის მწყობრიდან გამოსვლის შემთხვევაში მუშაობის რეჟიმი უცვლელი რჩება.

ცენტრალური ფაილ სერვისი

დაყოფილი და ქსელში გაბნეული გაზიარებული საქაღალდეები, გაერთიანდა ცენტრალურ ფაილ სერვერზე, მიება აქტიურ დირექტორიას და მოხდა მომხმარებელთა უფლებების განაწილება. მომხმარებლებს გამოეყოთ შეუზღუდავი სივრცე სერვერზე.

სერვერი დაკავშირებულია გიგაბიტის არხით, რაც ინფორმაციის სწრაფ და მოხერხებულ მიმოცვლას უზრუნველყოფს.

აუდიოფონდის ფაილ არქივი

ჩატარებული სამუშაოების შედეგად, არქივისთვის გამოყოფილი დისკური მასივისთვის დაინსტალირდა დამოუკიდებელი ფაილ სერვერი, რომლიდანაც ხდება დაარქივებული მონაცემების კონტროლი და დაცვა არავტორიზებული წვდომისგან.

კორპორატიული ანტივირუსული და ქსელური უსაფრთხოების სერვისი

შექმნა ცენტრალურად მართვადი ანტივირუსული და ქსელური უსაფრთხოების სერვისი, რომელიც გააქტივებულია ყველა სამუშაო მანქანაზე. პროგრამული უზრუნველყოფის განახლება

(Update)ხორციელდება ლოკალური სერვერიდან, რაც საგრძნობლად ამცირებს არსებული ინტერნეტ რესურსის გამოყენებას.

გვეძლევა მონიტორინგის საშუალება შემდგომი ცვლილებების შესატანად და აღირიცხება ვირუსული პროგრამების აქტივობა.

DNS სერვისი

პარტნიორ პროვაიდერთან განთავსებული DNS სერვისი, რომელიც სრულიად არამართვადი იყო, ჩვენს მიერ მოხდა მისი მიგრაცია ლოკალურად. ამჟამად ტელევიზიის კუთვნილ ყველა დომეინზე და მის ჩანაწერებზე გვაქ მართვის საშუალება, რომელიც აუცილებელია გარე თუ შიდა სერვისების გამართულად მუშაობისთვის.

ლოკალური Flash Media Server-ი

შიდა ვიდეო სტრიმინგის მხარდასაჭერად დაინსტალირდა flash media server-ი, რომლითაც ხორციელდება პროდუქტის ლოკალურ დონეზე გაშვება და შემდგომი კვლევა.

მიმდინარე პროდუქტია რადიოს live სტრიმინგი, რომელიც წარმატებით გადის ტესტირებას.

არსებული მედია სერვერი აკმაყოფილებს თანამედროვე სტანდარტებს და გათვლილია საჯარო მოხმარებისთვის.

ვინდოუს სისტემების განახლების ცენტრალური სერვისი - WSUS

ვინდოუსის განახლებაზე კონტროლის მოსაპოვებლად და გამოყენებული ინტერნეტ რესურსის შემცირებისთვის გაეშვა სერვისი WSUS, რომელიც ლოკალურად ახდენს ქსელში ჩართული ყველა ვინდოუსის მანქანის განახლებას და არ მოიხმარს ინტერნეტ რესურსს.

სერვისი ასევე მიზნულია აქტიურ დირექტორიას, საიდანაც ხდება გასანახლებელი მანქანების მართვა.

ლოკალური ქსელური მოწყობილობების სტატისტიკის ვებ გვერდი

ქსელური მოწყობილობების აქტივობის დასაფიქსირებლად შეიქმნა ვებ გვერდი, სადაც დატანილია ინტერფეისის აქტივობა (upload/download) გრაფიკულად.

სასერვერო ოთახის განახლება

თანამედროვე სისტემების და აპარატურის ინსტალაციამ მოითხოვა მოძველებული რეკების შეცვლა ახლით, რომელიც აკმაყოფილებს აპარატურის მწარმოებლის მოთხოვნებს.

ლოკალური ქსელის სერვერული ნაწილის გამართვა (ქ. ქუთაისი)

ქ. ქუთაისში მეორე არხში ჩატარებული სამუშაოების შედეგად დაინერგა შემდეგი სერვისები:

- აქტიური დირექტორიის ქვე-დომენი, რომელიც ლოკალურად უზრუნველყოფს მომხმარებელთა ავტორიზაციას (ქვე-დომენი dc01.local.2tv.ge)
- საიმედოობისთვის დაემატა რეპლიკაციის ფუნქცია და გაეშვა პარალელური აქტიური დირექტორიის სერვისი(ქვე-დომენი dc02.local.2tv.ge)
- ვებ ბროუზინგის სრულყოფისთვის დაემატა პროქსი სერვისი, რომელიც ინტეგრირებულია აქტიურ დირექტორიასთან და შესაძლებელია კონკრეტული მომხმარებლისთვის ან მომხმარებელთა ჯგუფისთვის უფლებების განაწილება

ზემოთ ჩამოთვლილი სერვისები გაშვებულია ვირტუალურ მანქანებზე ცენტრალური და საიმედო მართვისთვის და მიზნულია საზოგადოებრივი მაუწყებლის სამართავ კონსოლზე (vCenter).

ვირტუალური მანქანები აპარატურულად დაცულია ინფორმაციის კარგვისგან (გამოყენებულია RAID5 მასივი + spare დისკი).

ქსელური ნაწილი:

- ქსელში ჩართო მარშუტიზატორი (Router) საბაზისო კონფიგურაციით
- layer 3 კომუტატორი (switch), რომლის საშუალებით ლოკალური ქსელი დაიყო ვირტუალ ქსელებად, უსაფრთხო და საიმედო მუშაობისთვის

შეიქმნა ვირტუალური ქსელები: სერვერული, უსადენო მოწყობილობებისთვის (Wireless), სამონტაჟო და ადმინისტრაციული. დაყოფის შედეგად თითოეული სექტორი იზოლირებულია და მიენიჭა შესაბამისი პოლიტიკა (მაგ. სამონტაჟო ქსელს აკრძალა ინტერნეტით სარგებლობა)

ქ. ქუთაისის სატელევიზიო სტუდია

ქ. ქუთაისში „საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სატელევიზიო სტუდია განთავსებულია ქ. ქუთაისის კონტროლის პალატის შენობაში მეოთხე და მეხუთე სართულებზე. მეოთხე სართულზე განთავსებულია მისაღები, სამი სამუშაო კაბინეტი, არქივისა და ფაილ-ინჯესტის ოთახები და „NEWS ROOM“-ი. მეხუთე სართულზე განლაგებულია საგრიმიორო, ორი სველი წერტილი, ექვსი სამონტაჟო, მოამბის სტუდია, მეორე არხის სტუდია, ცენტრალური სააპარატო, სასერვერო, პირველი და მეორე არხის საეთერო სააპარატო და უწყვეტი კვების მოწყობილობის ოთახი.

სტუდიის მშენებლობის პროექტირება „საზოგადოებრივმა მაუწყებელმა“ განახორციელა საამშენებლო კომპანია „მაგისტრალთან“ ერთად.

სასერვეროში და სარეჟისორო სააპარატოში დაიგო ე.წ. ფაღმ-იატაკი. მოამბის სტუდიაში (112 კვმ ფართის) და მეორე არხის სტუდიაში (65 კვმ ფართის) დაიგო ე.წ. სტუდიური იატაკი, ხოლო სტუდიების კედლები მოპირკეთდა სპეციალური ხმის ჩამხშობი აკუსტიკური ფილებით. ორივე სტუდიაში დამონტაჟდა ცივი განათების მოწყობილობები. დამონტაჟდა 80 და 60 კილოვატიანი უწყვეტი ელექტრო კვების ორი მოწყობილობა და სასერვერო სააპარატოს კონდიციონერების სისტემა.

კონტროლის პალატის შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე აშენდა დამხმარე შენობა სატელიტური ანტენებისათვის.

ტექნოლოგიური პროცესი აწყობილია მთლიანად უფირო ტექნოლოგიაზე. ის შექმნილია „AVID“-ის ბაზაზე, რომელშიც შედის:

ერთი სადგური ფაილების, ვიდეო მასალის შესაყვანად „File Ingest“. სამუშაო ფორმატია XDCAM HD /50 Bit.

ერთი სადგური ფირებიდან ვიდეო მასალის შესაყვანად „Baseband Ingest“.

ექვსი არახაზობრივ კომპიუტერული სამონტაჟო. მასალის მონტაჟი ხორციელდება პირდაპირ სერვერიდან.

ექვსი ჟურნალისტის სამუშაო ადგილი, რომელიც მათ არქივთან წვდომის საშუალებას აძლევს.

ვიდეომასალის შესანახი სერვერი “ISIS 5000”.

ვიდეომასალის არქივი LTO5 კასეტების ბაზაზე „SGL“-დან.

სამი სადგური სტუდიებში ვიდეო კლიპების მოსამზადებლად და გასაშვებად.

ეთერის მაუწყებლობის ავტომატიზაციის სისტემა “Fastbreak”.

ოთხი სერვერი “Airspeed 5000” ვიდეო ფაილების ეთერში გაშვების უზრუნველსაყოფად. ასევე ცოცხალი “Live” სიგნალების ჩასაწერად, როგორც სტუდიიდან ასევე პარლამენტიდან ან სიგნალის სხვა წყაროდან.

ორი სრულყოფილი სატელევიზიო სტუდია: პირველი არხის საინფორმაციო სამსახურისათვის და მეორე არხისთვის.

პირველი არხის საეთერო სტუდია აღჭურვილია „ROSS VIDEO“-ს თექვსმეტ არხიანი ვიდეო მიქშერით, „YAMAHA“-ს თექვსმეტ არხიანი აუდიო მიქშერით, „AVID“-ის ვიდეო „PLAYOUT“-ით და „AVID MOTION GRAPHIC“-ის გრაფიკული მანქანით, „SONY“-ის ორი კონტროლის მონიტორით, სამი სტუდიური „FULL HD“ კამერით, რომელთა რაოდენობა შეიძლება გაიზარდოს ხუთამდე, „Riedel“-ის წარმოების კავშირით, რადიო მიკროფონებით და ა.შ. იმის გამო, რომ სტუდიის ფანჯრები, საიდანაც ჩანს პარლამენტის ხედი განლაგებულია დასავლეთის მიმართულებით, დამონტაჟდა 1,5*2,5მ ზომის, ორი სხვადასხვა ტონალობის, ავტომატიზირებული სინათლის ჩამხშობი ფილტრები, რათა გადაჭრილიყო ჩამავალი მზის სხივების და პარლამენტის სახურავიდან არეკლილი ბილიკების კამერებში მოხვედრის პრობლემა.

მეორე არხის საეთერო სტუდია ასევე აღჭურვილია „SONY“-ის რვა არხიანი ვიდეო მიქშერით, „YAMAHA“-ს თექვსმეტ არხიანი აუდიო მიქშერით, „AVID“-ის ვიდეო „PLAYOUT“-ით და „DECO CAST“-ის გრაფიკული მანქანით, „SONY“-ის ორი კონტროლის მონიტორით, სამი კამერა-კამერის არხით (შეიძლება გაიზარდოს ოთხამდე) შიდა კავშირის ინტერკომით და ა.შ. ვიდეო სიგნალების კომუტაცია ხორციელდება EVERTZ-ის წარმოების მატრიცის საშუალებით.

პირველი და მეორე არხის სტუდია აღჭურვილია “ADJ”-ს წარმოების LED ტიპის განათებით, რომლის ინტეგრაცია განახორციელა კომპანია “HeCom Pro GmbH“-მა.

სატელიტური ანტენების დამხმარე შენობაზე დამონტაჟდა სამი 2,4 მ მიმღები ანტენა და ერთი 3,8 მ დიამეტრის სტაციონალური გადამცემი ანტენა, რომელიც საშუალებას იძლევა ერთ სიხშირულ ზოლში, თანამგზავრზე ერთდროულად გადაიცეს ორი სატელევიზიო SD/HD სიგნალი MPEG2/MPEG4 კოდირებით, მულტიპლექსის გამოყენებით. ქუთაისის სატელევიზიო სტუდიიდან თბილისში ვიდეო სიგნალის მიწოდება ასევე შესაძლებელია, „ბლექსისატის“ მრავალარხიანი ციფრული სარელეო არხის მეშვეობით და “სილკნეტის“ გამოყოფილი IP სტრიმის საშუალებით.

საქართველოს პარლამენტში „საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელმა“ განახორციელა პარლამენტის სხდომათა დარბაზის, ორი მედია ცენტრის, ბიუროს დარბაზის, თავჯდომარის მოადგილის საკონფერენციო დარბაზისა და ათი საკომიტეტო დარბაზის აღჭურვა, დისტანციური მართვის PANASONIC-ის წარმოების HD ვიდეო კამერებით. ეს საშუალებას იძლევა მოეწყოს ტრანსლაციები პარლამენტის სხდომათა დარბაზიდან და პარლამენტის საკომიტეტო დარბაზებიდან მაღალი გარჩევადობის FULL HD ხარისხში.

ტელევიზიებისათვის პარლამენტიდან პირდაპირი ჩართვებისა და თბილისში მასალების მოწოდების განსახორციელებლად დამონტაჟდა ვიდეო-აუდიო საკომუტაციო ე.წ. WALLBOX-ები, შენობის მეექვსე სართულზე, პარლამენტის თავჯდომარის ოთახში და აივანზე, მეოთხე სართულზე და მეორე სართულზე სხდომათა დარბაზის შესასვლელთან.

პარლამენტის სხდომათა დარბაზში დამონტაჟდა შვიდი (7) კამერა. ისინი იმართებიან საეთერო სააპარატოდან, სადაც დამონტაჟებულია SONY-ის ფირმის თექვსმეტ არხიანი ვიდეო მიქშერი, PANASONIC-ის ფირმის კამერის ჯოესტიკები და ორი კონტროლის მონიტორი. სადაც ასევე დამონტაჟებულია გახმოვანების დეპარტამენტის კომპიუტერი, რომელიც საშუალებას იძლევა პარლამენტის სხდომის მიმდინარეობის დროს, წინასწარ დავინახოთ პარლამენტის წევრების სიტყვით გამოსვლის თანმიმდევრობა.

საკომიტეტო სხდომებს ემსახურება ხუთი პროგრამის გამომშვები სააპარატო, სადაც კომუტირდება პარლამენტის დარბაზებში დამონტაჟებული ოცდაათობმეტი (34) ვიდეოკამერა. იგი აღჭურვილია SONY-ის ფირმის რვახარხიანი ვიდეო მიქშერებით, PANASONIC-ის ფირმის კამერის მართვის ჯოესტიკებითა და კონტროლის მონიტორებით. გაკეთდა საეთერო გამომშვები სააპარატო, რომელიც იძლევა ერთდროულად ხუთი განსხვავებული პროგრამის ტრანსლაციის მოწყობის შესაძლებლობას. იგი აღჭურვილია PANASONIC-ის წარმოების კამერების დიტაციური მართვის ჯოესტიკებითა და SONY-ის ფირმის ვიდეო-აუდიო მიქშერებით, შვიდი კონტროლის მონიტორით და ვიდეო სიგნალის კომუტატორებით.

ორ მედია ცენტრში დაიდგა EVERTZ-ის ფირმის სიგნალის კომუტატორის მართვის პულტები, პირველში ექვსი SAMSUNG-ის და მეორეში ექვსი SONY-ის ფირმის მონიტორებით, რათა ჟურნალისტებს ჰქონდეთ პარლამენტის სხდომისა და საკომიტეტო მოსმენების ნახვის საშუალება.

პარლამენტის სასერვერო სააპარატოში დამონტაჟდა ექვსი ერთ-არხიანი სტანდარტული გარჩევადობის ჩამწერი მოწყობილობა, AXON-ის ფირმის სერვერები, რომელიც უზრუნველყოფს პარლამენტის სხდომების ჩაწერას 24 საათიან რეჟიმში 22 დღის განმავლობაში, შემდგომში მისი არქივირებისა და საიტზე განსათავსებლად. ჩაწერა წარმოებს სტანდარტული გარჩევადობის რეჟიმში MPEG2 ფორმაში, 2-Mbit/sec ხარისხით.

პარლამენტის სასერვერო სააპარატო ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელით დაკავშირებულია კონტროლის პალატაში განთავსებულ სატელევიზიო სტუდიის სასერვეროსთან. ეს საშუალებას გვაძლევს მივაწოდოთ ერთი სტუდიიდან მეორეს და პირიქით სატელევიზიო სიგნალები, გაცვალოთ ციფრული მონაცემები, განვახორციელოთ კავშირი და დისტანციური მართვა.

„საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის“
ტელევიზია ქ.ქუთაისში

„საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ქ. ქუთაისის ტელევიზია განლაგებულია ქ. ქუთაისის კონტროლის პალატის შენობაში . მისი სპეც ოთახების, სტუდიებისა და საოფისე ოთახების დაგეგმარება შეთანხმდა მშენებელ კომპანიასთან ერთად.

მშენებელ კომპანიას დაეკისრა სპეც ოთახების მოწყობა როგორებიცაა: სასერვერო, უწყვეტი კვების ოთახისა და სარეჟისორო სტუდიაში სპეც იატაკის დაგება.

„საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის“ მოთხოვნით კონტროლის პალატამ უზრუნველყო უწყვეტი კვების ორი ბლოკის დამონტაჟება და ასევე სასერვეროს სპეც კონდიციონერება.

ასევე „საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის“ მოთხოვნით სამშენებლო კომპანიასთან, პარლამენტის ტერიტორიაზე აშენდა შენობა-ნაგებობა სატელიტური ანტენებისათვის.

„საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ტელევიზია განლაგებული კონტროლის პალატის მეოთხე და მეხუთე სართულებზე - მეოთხე სართული აღჭურვილია მოსასვენებელი ოთახით, ორი სველი წერტილით, არქივისა და ფაილ-ინჯესტის ოთახით, მისაღებით, სამი კაბინეტითა და ე.წ NEWS ROOM-ით. ხოლო მეხუთე სართულზე განლაგებულია საგრიმიორო, ორი სველი წერტილი, ექვსი სამონტაჟო, მეორე არხის სტუდია, ცენტრალური სააპარატო, სასერვერო, უწყვეტი კვების ოთახი, პირველი და მეორე არხის საეთეროები.

Workflow

შემუშავებულია სპეციალურად საქართველოს პარლამენტისთვის და განხილულია შემკვეთ „საქართველოს საზოგადოებრივ მაუწყებელ“ -თან და პროექტის შემსრულებელ „SONY PROFESSIONAL“-თან.

სისტემის გამართვა და მონტაჟი შეასრულა კომპანია Avid - მა და ჩაატარა ტრანინგები მომუშავე პერსონალთან. მოხდა სისტემის მორგება საქართველოს სატელევიზიო სტანდარტებზე.

სისტემა მოიცავს როგორც პროგრამულ უზრუნველყოფას მედია მენეჯმენტისთვის, ასევე მისი წარმოებისთვის.

სისტემაში ინტეგრირებულია რამოდენიმე კომპანიის პროდუქცია, როგორცაა საარქივო, ხმის ჩამწერი, ფერის კორექციისა და სიგნალის გამანაწილებლის. ყველა ინტეგრირებული კომპანია და მათი პროდუქციის შერჩევა მოხდა „Sony Professional“-თან კონსულტაციით და შეარჩია „საქართველოს საზოგადოებრივმა მაუწყებელმა“ .

Avid-ის სისტემა გამოიყენება როგორც სამონტაჟო, სააპარატო, გრაფიკული წარმოების, Playout სერვერების, საეთერო ავტომატიზირებული სისტემის, საარქივო სისტემის, პროექტის შექმნისა და მისი მართვისთვისა და ფაილის სათავსო სერვერად.

კომპანიასთან გაფორმდა ხელშეკრულება ერთ წლიან პროგრამულ უზრუნველყოფაზე, ე.წ Supporting-ზე, ასევე „საქართველოს საზოგადოებრივ მაუწყებელს“ გადმოეცა რომოდენიმე ჯერ არ გამოსული მასიურ წარმოებაში Avid-ის პროდუქცია, როგორცაა ახალი გრაფიკული სამუშაო მანქანები და შეთანხმების მიერ დაევალა მათი ტესტირება, დადებითი და უარყოფითი მხარეების მოხსენების გადაცემა.

Interplay Access

წარმოადგენს მედია წარმოების სირთლეების გაადვილების პროგრამას, რათა მისცეს სამუშაო პერსონალს მოქნილი გარემო პროექტების შექმნაში, მათ მოდელირებასა და წარმართვაში.

- მისცეს ჯგუფის ხელმძღვანელობას მედია პროექტის მოქნილად გამოყენების საშუალება. თვალი ადევნოს მიმდინარე პროექტებს და მათ განივთარებას. მიუთითოს შენიშვნები კადრზე, სიუჟეტზე თუ ტექსტზე. გაანალიზოს პროექტის სტატუსი და შეხედოს ონლაინ რეჟიმში ჟურნალისტების მუშაობის ხარისხს.

□ კორესპოდენტა ჯგუფს აძლევს შემომავალი მედია ფაილის შავი მონტაჟის საშუალებას. გააკეთოს კომენტარები ამა თუ იმ მონაკვეთზე, შემდგომ სამონტაჟოში გამოსაყენებლათ. დაათვალიეროს ვიდეო არქივი და მოითხოვოს საჭირო მასალა საარქივო სისტემიდან.

- ავტომატურ რეჟიმში ყველა მედია ფაილი განათავსოს მთავარ სერვერზე (ISIS 5000)
- ფაილ მენეჯერების მეშვეობით აღნიშნოს დასაარქივებელი და წასაშლელი ვიდეო მასალა.
- გააჩნია მოქნილი საძიებო სისტემა მთელს საარქივო და ფაილ სერვერზე.
- ცალკე ამოიღოს დასრულებული პროექტიდან ნებისმიერი ეფექტი-კადრი მის დამუშავებამდე.

Media Ingest – Interplay Assist

გამოიყენება შემომავალი სიგნალის ჩასაწერათ და მათ მთავარ სერვერზე განსათავსებლათ, ასევე მას იყენებენ მემონტაჟები როგორც პროექტის კოორდინატორათ.

□ ინჯესტის თანამშრომელს აძლევს საშუალებას მოქნილად ჩაწერონ შემომავალი მასალა მათთვის გამოყოფილ სივრცეში.

- Interplay Access - გვერდის ავლით მოათავსოს ფაილები მთავარ სერვერზე ან გადმოწეროს კონკრეტულ მანქანაზე.
- ავტომატურ რეჟიმში ყველა მედია ფაილი განათავსოს მთავარ სერვერზე.
- ფაილ მენეჯერის მეშვეობით აღნიშნოს დასაარქივებელი და წასაშლელი ვიდეო მასალა.

File Ingest

განთავსებულია საინფორმაციო ჯგუფის ოთახთან ახლოს, რათა ოპერატიულად მოხდეს მოტანილი მასალის ინჯესტირება და მთავარ სერვერზე განთავსება. სხვადასხვა ფორმატის, ლენტური კასეტის ტრანსკოდირება ტელევიზიის სამუშაო ფორმატში

XD-CAM HD 50 Bit გადაყვანა.

ტრანსკოდირებისათვის იყენებს Media Composers სამონტაჟო პროგრამას, რისი საშუალებითაც, უკვე ფაილის მთავარ სერვერზე ასახვამდე შესაძლებელია არა გამოყენებადი მასალის მოჭრა - რედაქტირება.

Avid Motion Graphics

წარმოადგენს როგორც პირდაპირ ეთერში ტიტრის დასადებ მანქანას, ასევე იძლევა მათი შექმნისა და მოდელირების საშუალებას.

Avid Motion Graphics (AMG) გამოიყენება პირველი არხის საინფორმაციო გამოშვების სტუდიისთვის. ხოლო DecoCast გამოიყენება მეორე არხის სტუდიისათვის, რომელიც Avid Motion Graphics-ის წინამორბედი ვერსიაა.

- გააჩნია საკმაოდ ადვილი და მოქნილი ინტერფეისი საინფორმაციო გამოშვებისთვის.
- გააჩნია შემომავალი ვიდეო სიგნალების გრაფიკულ ფანჯრებში გამოტანის საშუალება.
- აქვს მუშაობის საშუალება 3D და 2D განზომილებებში.

Avid iCommand

წარმოადგენს ვიდეო ფაილების გამშვებ სერვერს, ფაილების გამშვება ხდება Airspeed 5000 - დან. მას უკავშირდება ოთხი Airspeed 5000 და დაყოფილია ე.წ Mirroring -ით . რაც იძლევა ორმაგ დაზღვევას მისი სისტემის მწყობრიდან გამოსვლის შემთხვევაში.

განთავსებულია პირველი არხის და მეორე არხის საეთერო სტუდიებში და ასევე მთავარ პროდიუსერთან რათა ოპერატიულად მოხდეს საინფორმაციო ნუსხის აწყობა და ავტომატურად აისახოს სამუშაო ნუსხაში შეტანილი ვიდეო ფაილები.

SGL Archive

კომპანია SGL ავიდის ქსელში შემოყვანილია Addon-ის სახით.

ის არ მიეკუთვნება Avid-ის წარმოებას, მაგრამ პარტნიორი კომპანიაა. მათ არაერთი ერთობლივი პროექტი აქვთ შესრულებული, ამიტომ მოხდა კომპანია SGL-ის შერჩევა საარქივო სისტემის აღსაჭურვათ.

არქივი შედგება ორი მთავარი კომპონენტისგან, ციფრული არქივისაგან და ციფრული IBM კასეტებისაგან. არქივის მენეჯერი ასევე იყენებს Interplay Assists მასალის დასაარქივებლათ.

ციფრული არქივი გამოიყენება პატარა აუდიო ან გადასაფარი მასალის შესანახათ რომელიც ხშირად გამოიყენება, რადგან ციფრული არქივიდან უფრო სწრაფად სრულდება მისი ამოარქივება. მისი მოცულობა შეადგენს 8TB.

კასეტური არქივი ფორმატ (10 კასეტა) XD-CAM 50 Bit

დაახლოებით 660 საათს იტევს. კასეტურ არქივზე მოთავსებული ვიდეო მასალა იწერება როგორც ციფრული (HD ხარისხი). მას საშუალება აქვს ფირიდან წაშალოს მხოლოდ სასურველი ვიდეომასალები. ყველა კასეტა მოთავსებულია ე.წ რობოტში, რომელიც ბარკოდების საშუალებით ხედავს კასეტას და გვაწვდის ინფორმაციას თუ რომელ კასეტაში რა ვიდეო მასალაა. ყველა ჩაწერილი მასალის ძებნისას გამოიყენება SGL-ის სოფტი Sundrance, რის მეშვეობითაც ახსოვს ბარკოდზე ასახული მასალა, თუნდაც რობოტიდან გამოღებული კასეტის და გვაწვდის ინფორმაციას თუ რომელ კასეტაში რა მასალაა.

- Interplay Assists-ის მეშვეობით შესაძლებელია დაარქივებული მასალის ნახვა. მისი ამოარქივება ან წაშლა.
- თუ დავაარქივებთ დაბალ რეზოლუციაში მას შეუძლია 900 საათის ოდენობის მასალის შენახვა.

Media Compossor

Media Compossor ასევე ავიდის პროდუქციაა, რომელიც გამოიყენება სამონტაჟო მანქანებზე და ჩართულია Avid-ის სისტემაში.

Media Compossor არის ერთერთი საუკეთესო არჩევანი პროფესიონალური სატელევიზიო, ფილმისა და კლიპის ინდუსტრიაში. მისი სამუშაო შესრულება ხორციელდება 64-Bit სისტემაში, მას გააჩნია ადვილად გამოსაყენებადი სამონტაჟო ხელსაწყოები, რაც მას ხდის ერთ-ერთ წამყვან პროდუქციას სატელევიზიო-საინფორმაციო ინდუსტრიაში.

მისი ღია პლადფორმა გვაძლევს საშუალებას ვიმუშაოთ ნებისმიერ რეზოლუციაში, ფაილსა თუ სისტემაში. მისი მონაცემები, ხელსაწყოები, მხარდაჭერა მაღალი ხარისხის ფორმატში და სწრაფი მუშაობა, ეს მთავარი მონაცემებია რის გამოც შეირჩა Media Compsser.

Media Compsser-ში აისახება Interplay Assist-დან ვიდეო მასალაზე გკეთებული კომენტარები, ცალკეული კლიპები და მათი მაჩვენებლები.

ყველა პროექტი იწერება მთავარ სერვერზე ISIS 5000-ზე, პროექტების ფოლდერში, სადაც ხელი მიუწვდება ყველა მემონტაჟეს, რაც საშუალებას გვაძლევს მონიტორინგი გაუწიოთ ნებისმიერ პროექტს.

- უწევს მონიტორინგს მეტ აუდიო ტრეკებს, მოქნილია დატვითულ სამუშაო პროცეში და ადვილია გამოსაყენებლად.
- არ საჭიროებს ე.წ რენდერინგს, რადგან კლიპის დამუშავება ხდება მთავარ სერვერზე.
- შეუძლია იმუშაოს როგორც მაღალ ასევე დაბალ რეზოლუციებში.

Avid Automatization

Avid Automatization შედგება სამი ძირითადი კომპონენტისაგან, Media Prep, Data Mover და Air Playout-საგან. ყველა კომპონენტი ერთად წარმოადგენს მთლიანად ავტომატიზირებულ საეთერი სერვერს.

Avid Automatization ასევე კომპანია Avid-ის წარმოებაა, რაც უზრუნველყოფს მუშაობის მარტივ და მაღალ ხარისხს. ის ასევე ჩართულია Avid Interplay სისტემაში, რაც აადვილებს დღის ბადისა და ეთერში გასაშვები მასალის სწრაფ დაგეგმასა თუ შეცვლას.

დაზღვევისთვის მას ასევე შეუძლია გამოიყენოს ნებისმიერი ვიდეო Playout ჩართულ სისტემაში ან სამონტაჟო მანქანა, ნებისმიერი ტიპის ფაილისა თუ ვიდეოს გამოსაყენებლად. მისი კომპონენტები უმარტივებენ სამუშაო პერსონალს ინფორმაციის მოპოვებასა და გაცვლას ამათუიმ საეთრო მასალაზე.

Avid Automatization დაყოფილია ორ ნაწილად. ერთ მოქმედ საეთერო საშუალებად და მეორე, მისი მწყობრიდან გამოსვლის შემთხვევაში დაზღვევად, რომელიც ავტომატურ რეჟიმში ახორციელებს შეცდომების პოვნას, მის აღმოფხვრასა და მისი მწყობრიდან გამოსვლის შემთხვევაში ავტომატურად რეზერვულ სისტემაზე გადაყვანას, ეთერში ხარვეზის გასვლის გარეშე.

აქვს მოქნილი და გამარტივებული პროგრამა საეთერო ბადის შესადგენად, რომელიც პირდაპირ მიბმულია ფაილ სერვერთან, რაც აადვილებს და ამარტივებს მუშაობის პროცესს.

ტიტრის, ლოგოს, მორბენალი სტრიქონისა თუ ნებისმიერი გრაფიკული გამოსახულების დასადგენად იყენებს ასევე კომპანია Avid-ის პროდუქტს DecoCast On Air - სპეციალურ ე.წ პლაგინს DecoCast, შემუშავებულია დაზღვევისთვის ასევე სისტემაში ჩართული სტუდიური თუ გარე გრაფიკული მანქანიდან გრაფიკული გამოსახულების მიწოდება.

Media Prep

ასევე Avid Automatization-ის ერთერთი კომპონენტია, რის მეშვეობითაც დგება საეთერო ბადე და ებმევა ვიდეო ფაილები. საშუალება აქვს ცალკეული ვიდეო კლიპების რედაქტირების ე.წ მოჭრის (In And Out)(Subclips), ასევე გააჩნია შიდა ჩათი და ეთერში გასაშვებ მასალაზე კომენტარების დატოვების ფუნქცია.

Media Prep Avid Automatization-ის ასევე ადმინისტრაციულ ფუნქციასაც ითავსებს. მისი ადმინისტრირების პანელიდან ემატება ის მომხმარებლები რომლებიც უშვალოდ მთავარ საეთეროზე მუშაობენ,

შეზღუდული ფუნქციებითა თუ მოვალეობებით. გააჩნია მისივე კანონების შემუშავების პანელი რათა კონკრეტულ მომხარებელს ქონდეს მხოლოდ მისი სამუშაოს შესრულების უფლება.

Data Mover

მხოლოდ ითავსებს სისტემურ უზრუნველყოფას. აფიქსირებს შეცდომებს, აანალიზებს ფაილის ვარგისიანობას. საჭიროებისამებრ აღმოფხრავს შეცდომებს ან ატყობინებს ტელევიზიის საინჟინრო ჯგუფს ამათუილ ცდომილებას. ასევე ინახავს ნებისმიერი სისტემურ მოქმედებას, ავტომატიზაციის მომხმარებლისაგან ე.წ .Log ფაილებს.

Air Playout

წარმოადგენს საეთერო პროგრამას, რომლის მეშვეობითაც საეთერო ჯგუფი ბადიდან გამომდინარე აწყობს ვიდეო მასალას ეთერში გასაშუებად.

Air Playout განაწილებულია ორ ნაწილად, ძირითად და რეზერვულ ნაწილებად, ეთერის უხარვეზოთ გასვლის მიზნით.

Media Prep-ში შედგენილი ნუსხის გადმოკოპირება ხდება ე.წ Drag & Drop-ით. აქვე ვამატებთ საჭირო ტიტრსა თუ მორბენალ სტრიქონს და მათ ხანგდმლივობას.

პირველი არხის საეთერო სტუდია აღჭურვილია ROSS VIDEO-ს თექვსმეტ არხიანი ვიდეო მიქშერით, YAMAHA-ს თექვსმეტ არხიანი აუდიო მიქშერით, AVID-ის ვიდეო PLYOUT-ით და AVID MOTION GRAPHIC -ის გრაფიკული მანქანით, SONY-ის ორი კონტროლის მონიტორით,სამი კამერის არხითა და ფერის კორექციის მონიტორით, შიდა კავშირის ინტერკომითა და ვიდეო კომუტატორით.

პირველი და მეორე არხის სტუდია აღჭურვილია LED ტიპის განათებით, რომლის პროექტი კომპანია HORST-მა შეიმუშავა, ასევე სტუდიის ხედის დასავლეთ მხარის გამო დამონტაჟდა ორი სხვადასხვა ტონალობის, ავტომატიზირებული სინათლის ჩამხშობი ლენტა.

მეორე არხის საეთერო სტუდია აღჭურვილია SONY-ის ოთხ არხიანი ვიდეო მიქშერით, YAMAHA-ს თექვსმეტ არხიანი აუდიო მიქშერით, AVID-ის ვიდეო PLYOUT-ით და DECO CAST გრაფიკული მანქანით, SONY-ის ორი კონტროლის მონიტორით, სამი კამერის არხითა და ფერის კორექციის მონიტორით, შიდა კავშირის ინტერკომითა და ვიდეო კომუტატორით.

საქართველოს პარლამენტში „საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის“ მიერ მოხდა ტექნიკური აღჭურვა ორი მედია ცენტრისა, ბიუროს დარბაზისა, თავჯდომარის მოადგილის საკონფერენციო დარბაზისა და ათი საკომიტეტო დარბაზის.

ასევე დამონტაჟდა ტელევიზიებისათვის სწრაფი ჩართვის ვიდეო-აუდიო საკომუტაციო დატის WALLBOX-ები, შენობის მეექვსე სართულზე, პარლამენტის თავჯდომარის ოთახში და აივანზე, მეოთხე სართულზე და მეორე სართულზე სხდომათა დარბაზის შესასვლელთან.

მედია ცენტრებში დაიდგა EVERTZ-ის ფირმის სიგნალის კომუტატორები, ასევე ექვსი SAMSUNG-ის და ექვსი SONY-ის ფირმის მონიტორები.

აღიჭურვა ათი საკომიტეტო დარბაზი, ბიუროს ოთახი, პარლამენტის თავჯდომარის მოადგილის საკონფერენციო დარბაზი და სხდომათა დარბაზი SONY -ის ფირმის კამერებით. გაკეთდა ხუთი საეთერო სტუდია PANASONIC-ის ფირმის კამერის მართვის ჯოესტიკებითა და SONY-ის

ფირმის ვიდეო-აუდიო მიქშერებით, შვიდი კონტროლის მონიტორით და ვიდეო სიგნალის კომპუტატორებით.

პარლამენტის საკომიტეტო და სხდომათა დარბაზის ტრანსლაცია მაღალი კონტრასტულობის FULL HD 1080i ხარისხში 16:9 რეზოლუციაში მიმდინარეობს . ასევე დამონტაჟდა ერთ არხიანი ექვსი დაბალ ხარისხში ჩამწერი AXON-ის ფირმის სერვერები, პარლამენტის საიტზე ვიდეოს განსათავსებლათ, რომლის ჩაწერაც 16:9 რეზოლუციაში, EMPEG 2 ფორმაში 2-bit ხარისხში მიმდინარეობს.

პარლამენტის საკომიტეტო სესიებს ემსახურება ოთხი საეთერო, (31 კამერა) რომელიც აღჭურვილია SONY-ის ფირმის ოთხარხიანი ვიდეო მიქშერებით, PANASONIC-ის ფირმის კამერის ჯოესტიკებითა და ორ-ორი კონტროლის მონიტორებით. სხდომათა დარბაზს ემსახურება ერთი საეთერო (6 კამერა) SONY-ის ფირმის თექვსმეტ არხიანი ვიდეო მიქშერით, PANASONIC-ის ფირმის კამერის ჯოესტიკებითა და ორი კონტროლის მონიტორით. ასევე გამოიყო კომპიუტერი პარლამენტის გახმოვანების დეპარტამენტის მიერ, მიმდინარე სხდომის დროს გამომსვლელი პარლამენტარების თანრიგის დასანახად.

სპორტული მიმართულება

ის, რომ 2012 წლის სპორტული პროგრამა რთული და მრავალფეროვანი იყო, განაპირობა ფეხბურთში ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპის და ზაფხულის ოლიპიური თამაშების საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ მოპოვებულმა ექსკლუზიურმა უფლებებმა.

ამ მნიშვნელოვან ტურნირებამდე სპორტულმა მიმართულებამ 2012 წელი ჩვეული დატვირთული გრაფიკით დაიწყო. ტრადიციულად ყოველი ორშაბათი და ხუთშაბათი საფეხბურთო მიმოხილვებს და თოქ-შოუ “არენას” დაეთმო. მიუხედავად მკაცრი ზამთრისა, რომელმაც საფეხბურთო ჩემპიონატის ჩატარებაში კორექტივები შეიტანა, პირველმა არხმა რეპორტაჟების მრავალფეროვანი და დატვირთული ეთერი შესთავაზა ტელემყურებელს.



ახალი წლის პირველივე გამოშვებაში საფეხბურთო მიმოხილვამ მთელი დრო ტრადიციულ, ყოველ წლიურ ფიფა–ს გალა წარმოდგენას დაუთმო, რომელმაც საშუალება მოგვცა გაგვეგო, თუ ვინ იქნებოდა გასული წლის საუკეთესო ფეხბურთელი, მწვრთნელი, გუნდი და ნაკრები.

პროგრამამ უყურადღებოდ არც ბავშვთა ფეხბურთი დატოვა, რომელიც დიდი ფეხბურთის ფაზისია და დღეს მაინცდამაინც დაღვინებული არაა. ასევე დიდი ყურადღება დაეთმო საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებებს, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა მნიშვნელოვან ტურნირებში. სიახლე გახლდათ თბილისის “დინამოში” ახალი მწვრთნელის გიორგი დევდარიანის მოწვევა. საერთოდ, საინტერესო თემაა რა მოხდა საქართველოს ერთ–ერთ საუკეთესო გუნდში, რამ გამოიწვია ეგრეთწოდებული “ესპანური პროექტის” ჩავარდნა. სტუდიაში მოწვეულმა გ. დევდარიანმა ვრცლად ისაუბრა ტელემყურებელსთვის საინტერესო თემებზე.

“საფეხბურთო მიმოხილვამ” დიდი დრო დაუთმო ტრანსფერების თემას. რა ხდება გუნდებში? როგორია ქართველ ფეხბურთელთა ბედი სხვა ქვეყნის გუნდებში, როგორ სწორად მიმდინარეობს მათი გადასვლები და რა უფლებები აქვთ.

როგორც უკვე მოგახსენეთ, მკაცრი ზამთრის გამო, საქართველოს ჩემპიონატის კალენდარში სერიოზული ცვლილებები მოხდა. დიდთოვლობის გამო ზედიზედ რამდენიმე ტურის შეხვედრები გადაიდო, რამაც ჩემპიონატს ვადებში დამთავრების საშიშროება შეუქმნა. რატომ ვერ მოახერხეს სხვადასხვა ქალაქების სტადიონებმა ასეთი პირობებისათვის წინასწარი მომზადება. როგორ

მდგომარეობაშია მოედნები? ამ და სხვა საკითხებზე სასაუბროდ სტუდიაში ისაუბრა ფედერაციის გენერალურმა ისპექციის უფროსმა რამაზ შენგელიამ.

თებერვლის საფეხბურთო მიმოხილვამ დიდი დრო დაუთმო ფუსტალში მომხდარ სერიოზულ ცვლილებებს. მოგეხსენებათ კლუბებმა და კოლეგიის წევრებმა უნდობლობა გამოუცხადეს ფედერაციის პრეზიდენტს, რომელმაც ვერ უზრუნველყო დროულად ჩემპიონატის ჩატარება, რომელიც საბოლოოდ ჩატარება-არ ჩატარების პრობლემის წინაშე დადგა. საბოლოოდ ეს მისია საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ იკისრა და მისივე დაფინანსებით და ხელშეწყობით ჩემპიონატი განახლდა.

საქართველოს ჩემპიონატის მეორე წრემ კიდევ ერთი სიახლე შესთავაზა გულშემატკივარს. ძირეული სახეცვლილება განიცადა გორის “დილამ”, რომელმაც პრეზიდენტი, გუნდის მთავარი მწვრთნელი და ხელმძღვანელი შეცვალა. დაცვის პოლიციამ იკისრა კლუბის მეურვეობა და სტადიონის რეკონსტრუქცია. ამ თემაზე კლუბის ხელმძღვანელები და მთავარი მწვრთნელები მოვიწვიეთ გადაცემაში.

რა თქმა უნდა, ძალიან საინტერესო იყო ახალი ციკლის წინ საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელის თემურ ქეცბაიას აზრი, რომელმაც უარი არ თქვა ჩვენთან სტუმრობაზე და ბევრ საინტერესო შეკითხვას, მათ შორის ტელეფონით ტელემაცურებელს გასცა სრული პასუხი.

სანაკრებო თემა შემდეგ გადაცემაშიც გაგრძელდა, საინტერესო იყო საქართველო – მოლდოვას ამხანაგური მატჩის შემგედ გაგვეგო სპეციალისტების და ფეხბურთელების აზრი. სტუდიაში ნაკრების წევრებმა კობახიძემ, ძარიამ ისაუბრეს ჩატარებულ მატჩზე.

მეორე წრეში საზღვარგარეთიდან დაბრუნდნენ ქართველი ლეგიონერები, რომლებიც სხვადასხვა კლუბებში გადანაწილდნენ. გიორგი მერებაშვილი, დავით მუჯირი, გოგიტა გოგუა, ლაშა სალუქვაძე იყვნენ საფეხბურთო მიმოხილვის სტუმრები, რომლებმაც თავიანთი გეგმები გაგვაცნეს.

მარტის დასაწყისში როგორც იქნა განახლდა საქართველოს ჩემპიონატი. გადაცემაში მუდმივად იყვნენ მოწვეულნი კლუბების მწვრთნელები და ფეხბურთელები. საინტერესო გამოდგა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის ზვიად სიჭინავას სტუმრობაც, რომელმაც ტელემაცურებელს და ჟურნალისტებს ამომწურავად უპასუხა.

მარტში თბილისმა უმასპინძლა 17 წლამდე ფეხბურთელთა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ელიტრაუნდს, სიკვდილის ქვეჯგუფებად მონათლულ ჯგუფი რომელშიც ესპანეთის, ინგლისის, უკრაინის და საქართველოს ნაკრებები მონაწილეობდნენ ლოკომოტივი და დინამო არენამ მიიღო. სენსაცია შედგა ამ ჯგუფებიდან ევროპის 2012 წლის ფინალური ეტაპის საგზური საქართველომ მოიპოვა – ამ დღეს ზეიმმა სტადიონიდან საფეხბურთო მიმოხილვის სტუდიაში გადაინაცვლა. ნაკრების მწვრთნელი და ფეხბურთელების შემდგომი გეგმები ტელემაცურებელმა ჩვენი ეთერით შეიტყო.

საფეხბურთო მიმოხილვამ მნიშვნელოვანი ყურადღება დაუთმო საქართველოს ჩემპიონატს. დაწვრილებით მიმოხილა ყველა ტურის შეხვედრა. რაც შეეხება თოქ-შოუ “არენას”, მან შეძლებისდაგვარად მიმოხილა სპორტის სხვადასხვა სახეობები. იანვარში – პირველსავე გამოშვება ზამთრის სპორტის სახეობებს დაეთმო. სამთო სათხილამურო სპორტი ფიგურული სრიალი – ამ

თემებზე ისაუბრეს ფედერაციების პრეზიდენტებმა და სპორტსმენებმა. ზამთრის სპორტის სახეობას არენა მარტში დაუბრუნდა, როდესაც თბილისში ჩამოვიდა მსოფლიო ჩემპიონატიდან ფიგურული მოციგურავე ელენე გედევანიშვილი – იგი სტუდიის სტუმარი გახლდათ.

“არენამ” მნიშვნელოვანი ყურადღება დაუთმო სარაგზო თემას. საქართველოს ნაკრები კვლავ ევროპის თასის მოპოვების რეალურ კანდიდატად რჩება – ეს კიდევ ერთხელ დადასტურდა საქართველო – რუსეთის მატჩების შემდეგ. ქართველმა ბორჯღალოსნებმა გაანადგურეს მეტოქე და ერთი ნაბიჯი აშორებთ ევროპის თასს.

სარვამარტოდ სტუდიაში გვესტუმრნენ ლონდონის ოლიპიადის ლიცენზიანტები ნინო სალუქვაძე, ელენე გოლოვინა და ჟურნალისტი თამარ ბალავაძე.

გადაცემის საეთერო დრო დაეთმო ასევე კალათბურთს, წყალბურთს, მთამსვლელობას. ტელემაცურებელმა იხილა არაერთი ცნობილი და საინტერესო სახე.

გადაიცა ფეხბურთში საქართველოს მატჩების პირდაპირი რეპორტაჟები საქართველოს სხვადასხვა ქალაქებიდან. უამინდობის გამო ჩემპიონატის გრაფიკი შეიცვალა და საზოგადოებრივ მაუწყებელს კვირაში ორჯერ უხდებოდა მატჩების ჩვენება.

ყოველ შაბათს გადაიცემოდა კალათბურთში სუპერლიგის გათამაშების ტელეტრანსლაცია.

ასევე დიდი ინტერესი იყო ფეხბურთში 17 წლამდელთა ელიტრაუნდის რეპორტაჟებისადმი.

საზოგადოებრივმა მაუწყებელმა თავისი ეთერით გადასცა საქართველო – მოლდოვას ამხანაგური მატჩი ფეხბურთში.

თებერვლიდან დაიწყო ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალური შეხვედრები. რეპორტაჟებთან ერთად მაუწყებელმა პირდაპირ ეთერში მოაწყო “ჰეინეკენის” გათამაშება, რომელმაც ნახევარფინალებზე დასასწრებად 12 გამარჯვებული გამოავლინა. გრძელდება ლიგის ტელევიქტორინა და ტელემაცურებელთაგან ამ დროისთვის შემოსულია 60 ათასი სწორი პასუხი. დაწესებულია სერიოზული პრიზები, მათ შორის ავტომობილი “ჰიუნდაი” რომელიც ლიგის ფინალის დღეს გათამაშდება.

ყოველ კვირა დღეს ეთერში გადიოდა “ჩემპიონთა ლიგის” 30 წუთიანი მიმოხილვა. ხოლო იანვრიდან დაიწყო და მასამდე გაგრძელდა “ევრო-2012”-ის სპეციალური ფილმების ჩვენება.

მეორე კვარტალში სპორტულმა მიმართულებამ საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველ და მეორე არხებზე საკმაოდ ვრცელი და საინტერესო პროგრამა შესთავაზა ტელემაცურებელს. გადაცემის და შიდა ჩემპიონატების გარდა მილიონობით მაყურებელმა ჩვენი არხების საშუალებით იხილა საფეხბურთო ზეიმი – ევროპის 2012 წლის ჩემპიონატი.

აპრილში “საფეხბურთო მიმოხილვამ”, რომელიც ყოველ ორშაბათს საღამოს პირდაპირ ეთერში გადიოდა, ტრადიციულად საქართველოს ჩემპიონატისა და თასის გათამაშების ფართო მიმოხილვა შესთავაზა ტელემაცურებელს. მოგეხსენებათ ამ ეტაპზე საქართველოს ჩემპიონატი ფინალურ სწორზე გავიდა და თავისთავად დამაბულობამ იმატა. განსაკუთრებით საინტერესო იყო პირველი რვიანის თამაშები, რომლებსაც ჩემპიონატის მედალოსნები უნდა გამოერკვია. დაიძაბა სიტუაცია ქვედა

რვიანშიც. აქ აუტსაიდერთა და ლიგაში გადმომსვლელთა ვინაობა ირკვეოდა. აპრილში მოეწყო საქართველოს თასის ნახევარფინალებიც. დასასრულს უახლოვდებოდა ჩემპიონთა ლიგის გათამაშებაც, რომლის ჩვენების ექსკლუზივი საზოგადოებრივ მაუწყებელს გააჩნია. ერთი სიტყვით “საფეხბურთო მიმოხილვაში” მრავალი საინტერესო თემა და არაერთი საინტერესო სტუმარი იყო, მათ შორის: კლუბ “ზესტაფონის” პრეზიდენტი ილია კოკაია, “ბათუმის” ახლად დანიშნული მწრთვნელი –წარსულში სახელოვანი ფეხბურთელი გია გურული, დინამოს მწრთვნელი გია დევდარიანი, ოთარ კორღალიძე, გია გეგუჩიძე.

რედაქციის კორესპონდენტების მიერ მომზადდა სხვადასხვა ქალაქებიდან სპეციალური რეპორტაჟები. გადაცემაში კვლავ აქტიური იყო მაცურებელი.

აპრილში თოქ-შოუ “არენამ” არაერთი საინტერესო გამოშვება შესთავაზა ტელემაცურებელს. სტუდიის სტუმრები იყვნენ ქართველი ძალოსნები რომლებმაც წარმატებით იასპარეზეს თურქეთში ევროპის ჩემპიონატზე.

კვლავ ყურადღების ცენტრში იყო სარაგბო თემა. ნაკრების თავკაცები და მოთამაშეები ერთა თასის გათამაშების შესახებ საუბრობდნენ.

12 აპრილს ლეგენდარულ ქართველ ფალავანს არსენ მეკოკიშვილს 100 წელი შეუსრულდა. “არენამ” სრული გადაცემა დაუთმო ამ თარიღს. ოლიმპიურმა ჩემპიონებმა და ოჯახის წევრებმა კიდევ ერთხელ გაიხსენეს მეკოკიშვილის წარმატებები.

თოქ-შოუმ უყურადღებოდ არც საკალაბურთო სკოლა “ჰიუნდაის” ახალგაზრდული დატოვა, რომლებმაც ჰოლანდიის საერთაშორისო ტურნირი მოიგეს. სხვათა შორის ამ ასაკში ეს ქართული კალათბურთის ისტორიაში პირველად მოხდა.

“არენამ” ასევე გარკვეული დრო დაუთმო კალათბურთში სუპერლიგის გათამაშებას, მინიფეხბურთს და ხელბურთს.

აპრილში საზოგადოებრივმა მაუწყებელმა ტელემაცურებელს შესთავაზა: ფეხბურთში საქართველოს ჩემპიონატის და თასის გათამაშების, კალათბურთში სუპერლიგის და ჩემპიონთა ლიგის გათამაშების მატჩების პირდაპირი რეპორტაჟი.

მაისში სპორტული მიმართულების სამუშაო გრაფიკმა საგრძნობლად მოიმატა – ფინიშიზე გავიდა ფეხბურთსა და კალათბურთში საქართველოს ჩემპიონატები, თასის გათამაშება, დაიწყო მზადება ფეხბურთში ევრო –2012–თვის.

ძნელი მისახვედრი არაა, რომ “საფეხბურთო მიმოხილვის” ყველა გადაცემა საქართველოს ჩემპიონატს და თასის გათამაშებას მიეძღვნა, ამას 17 წლამდელოთა ევროპის ჩემპიონატზე წარმატებით გამოსვლაც დაემატა.

საფეხბურთო მიმოხილვაში, ყოველ გადაცემაში საუბარი იყო იმ დამაბულობაზე რომელმაც ჩემპიონატის და თასის გათამაშების დროს მიაღწია. სტუდიის სტუმრებმა არაერთხელ ისაუბრეს ჩემპიონატის დებულებაში დაშვებულ შეცდომებზე – არაობიექტურ მსაჯობაზე და გარიგებულ თამაშებზე – თუმცა ამის დოკუმენტალურად დამტკიცება ვერ მოახერხეს. მოხდა ისიც, რომ ბოლო ტურში ორი ჩემპიონი გამოვლინდა, იზეიმა “მეტალურგმაც” და “ზესტაფონმაც”, მაგრამ აღმასკომის

საგანგებო სხდომამ ჩემპიონად “ზესტაფონი” დაასახელა. ამის შესახებ დაწვრილებით ისაუბრა ფედერაციის პრეზიდენტმა ზვიად სიჭინავა, რომელმაც სრულად გასცა პასუხი ჟურნალისტების და მაცურებლის შეკითხვებს.

საფეხბურთო მიმოხილვამ დიდი ყურადღება დაუთმო 17 წლამდე ასაკის ფეხბურთელთა წარმატებულ გამოსვლას ევროპის ჩემპიონატზე. სტუდიაში მოვიწვიეთ მთავარი მწვრთნელი და ფეხბურთელები, სპეციალისტები.

თოქ-შოუ ‘არენამ’ თავის გამოშვებებში ყურადღება დაუთმო სხვადასხვა თემებს: კალათბურთი – სუპერლიგა, ყველა ვარსკვლავის და თასის ფინალის მატჩების მიმოხილვა. ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა, ოლიმპიური თამაშების ლიცენზიანტები და სხვა. სტუდიას არაერთი საინტერესო სტუმარი ეწვია.

მაისში სპორტული რეპორტაჟები მრავლად იყო ორივე არხის ეთერში. საზოგადოებრივმა მაუწყებელმა უამრავი გულშემატკივრის თხოვნა გაითვალისწინა და 17 წლამდელთა ევროპის ფინალური ეტაპი შეიძინა და პირდაპირი რეპორტაჟები შესთავაზა სლოვენიიდან.

სრულად გადაიცა ფეხბურთსა და კალათბურთში საქართველოს ჩემპიონატების დასკვნითი ეტაპები. თასის გათამაშების ფინალური მატჩები, რა თქმა უნდა ჩემპიონთა ლიგის გათამაშების ნახევარფინალები და ფინალები. ყოველ კვირა დღეს ეთერში იყო ჩემპიონთა ლიგის დღიური.

რაც შეეხება ივნისს, აქ საზოგადოებრივი მაუწყებლის პრიორიტეტი ფეხბურთში ევროპის ჩემპიონატი იყო, რომლის ექსკლუზივი ჩვენ გვეკუთნოდა და უკლებლივ ყველა რეპორტაჟი პირდაპირ ეთერში გადაიცა.

8 ივნისამდე პირველი არხის ეთერში გადაიცა სპეციალური ფილმები 2012 წლის ფინალურ ეტაპზე მოასპარეზე გუნდებზე. 7 ივნის “არენას” სპეციალური გამოშვება ევრო 2012–ს დაეთმო, ხოლო 8 ივნისიდან ყოველდღე “არენა” – “ევრო 2012 ” ორჯერ პირდაპირი ეთერით გადაიცემოდა. 22 საათზე ტელევიქტორინა და ჩართვები ფანკლუბებიდან, ბოლო ეორე მატჩის დამთავრების შემდეგ შეხვედრების დეტალური განხილვა საინტერესო სტუმრებთან . ამ პერიოდში გადაცემას ეწვივნენ მოქმედი და ვეტერანი ფეხბურთელები, ჟურნალისტები და სხვადასხვა სფეროს ფნობილი ადამიანები . გადაცემაში , რომელიც გვიან ღამემდე გრძელდებოდა, არ წყდებოდა ტელემაყურებელთა ზარები საკუთარი მოსაზრებებით და პროგნოზებით. ძალიან აზარტული იყო ტელევიქტორინაც. ამ მოკლე პერიოდში 50 ათასამდე სპორი პასუხი შემოვიდა. ყოველდღე თამაშდებოდა პრიზები, ხოლო ფინალის დღეს ყველაზე იღბლიანები მთავარ პრიზს დაეუფლნენ მათ შორის ავტომანქანა “ჰიუნდაის”.

ივლისში სპორტული თოქ-შოუ “არენა” ყოველ ხუთშაბათს საღამოს ეთერში გადაიცემოდა და ძნელი მისახვედრი არაა, რომ გამოშვებების მთავარი თემა ლონდონის ოლიმპიადა და ქართველი სპორტსმენების მომზადება იყო. რედაქციის კორესპონდენტების მიერ საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში მომზადდა სპეციალური რეპორტაჟები ოლიმპიელების მზადების შესახებ. არცერთი ლიცენზიანტი არ დარჩენილა ყურადღების გარეშე– ტელემაყურებელს საშუალება მიეცა ამომწურავი ინფორმაცია მიელო სპორტსმენის მზადების და მისი ფიზიკური მდგომარეობის შესახებ. გარდა ამისა “არენამ” სტუდიაში მიიწვია სპორტული ფედერაციის ხელმძღვანელები, ოლიმპიური კომიტეტის და მსაჯთა კოლეგიის წარმომადგენლები. 22 ივლისს თოქ-შოუ “არენამ” თავი მოუყარა სტუდიაში ყველა

ოლიმპიელს, მწვრთნელებს, სპეციალისტებს რომლებმაც პირდაპირ ეთერში არაერთი საინტერესო შეკითხვას გასცეს პასუხი. ლონდონში გამგზავრებამდე ორი დღით ადრე საქართველოს გუნდის მზადყოფნასა და სავარაუდო შედეგებზე ვრცლად ისაუბრა საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა გია ნაცვლიშვილმა.

“არენას” უყურადღებოდ არც ფეხბურთში ევროპის საკლუბო ტურნირებზე მონაწილე ქართული გუნდები დაუტოვებია : “ ტორპედო” “მეტალურგი” “ზესტაფონი” და “დილა” , რომლებმაც ამ საპატიო ტურნირების საკვალიფიკაციო ეტაპებზე გამოსვლის უფლება მოიპოვეს.

27 ივლისს საქართველოს მილიონობით ტელემყურებელმა პირველი არხის პირდაპირ ეთერში სამი საათის განმავლობაში თვალი ადევნა ლონდონის ზაფხულის ოლიმპიური თამაშების გახსნის ულამაზეს სანახაობას სხვა მონაწილე გუნდებთან ერთად, თვალი ადევნა საქართველოს დელეგაციის გამოსვლას, ცეცხლის ანთებას და სხვა საინტერესო სანახაობას.

ზაფხულის ოლიმპიადამ სტარტი აიღო და საზოგადოებრივი მაუწყებლის ორივე არხმა ეთერი დაუთმო შეჯიბრებებს სპორტის რიგ სახეობებში. 12–14 საათის განმავლობაში სპორტული მიმართულების თანამშრომლები აქტიურად აშუქებდნენ ოლიმპიადას. ხუთი კომენტატორი თბილისიდან და ლონდონიდან უძღვებოდნენ რეპორტაჟს. კორესპონდენტები ოპერატიულად იძიებდნენ მასალებს, დიდ ბრიტანეთში აკრედიტებული პირველი არხის ჟურნალისტები აშუქებდნენ ყველა მოვლენას. თოქ-შოუ “არენა” საგანგებო რეჟიმში მუშაობდა. დღეში ორჯერ 40–45 წუთი ქრონომეტრაჟით ტელემყურებელს მიეწოდებოდა უახლესი ინფორმაცია–სტუდიაში მოწვეული იყვნენ სპორტის ამა თუ იმ სახეობების ცნობილი სახეები, სპეციალისტები. ეწყობოდა პირდაპირი ჩართვები ლონდონიდან. “ოლიმპიურ არენას ” ამ დღეებში ტელეწამყვანის ახალი სახე ელენე ბილიხოძის სახით ჰყავდა.

29 ივლისს ლონდონის “ექსელის” დარბაზის ტატამზე გორელმა მიუდოისტმა ლაშა შავდათუაშვილმა დიდი სიხარული მოუტანა მთელს ჩვენს ქვეყანას – ოლიმპიური ოქრო. ამასთან დაკავშირებით არენაში გაკეთდა პირდაპირი ჩართვა ლონდონიდან და ლაშას მშობლიური სახლიდან. ივლისშივე ყოველდღე პირდაპირი ჩართვები ეწყობოდა სპორტკაფედან, სადაც გულშემატკივართა კლუბი იმყოფებოდა.

ოლიმპიური თამაშების პარალელურად საზოგადოებრივმა მაუწყებელმა გამონახა დამატებითი ძალები და ტექნიკა რათა ფეხბურთში ევროთასებზე ქართული გუნდების საშინაო და საგარეო მატჩები ეჩვენებინა პირველ არხზე. ასე რომ ფეხბურთის დიდი გულშემატკივრების მოთხოვნაც დაკმაყოფილებული იქნა.

სპორტულმა მიმართულებამ აგვისტოს თვეშიც იგივე რეჟიმით გააგრძელა მუშაობა 13 საათიდან ღამის 3საათამდე ეთერში იყო ოლიპიური თამაშების რეპორტაჟები სპორტის სხვადასხვა სახეობებში. დღეში ორჯერ კვლავ ეთერში გადიოდა “ ოლიმპიური არენა”. იყო ჩართვები იმ ქართველი ოლიმპიელების ოჯახებიდან , რომლებმაც ფინალში გასვლა და სხვადასხვა სინჯის მედლების მოპოვება შესძლეს. ოპერატიულად მუშაობდა ლონდონში აკრედიტებულ სპორტული მიმართულების ჟურნალისტთა ჯგუფი, რომელიც ყველა მოვლენას თუ კადრს მიღმა დარჩენილ ფაქტებს დროულად გვაწვდიდა.

საზოგადოებრივი მაუწყებლის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ლონდონის ოლიმპიადაზე მივლინებულნი იყვნენ ტექნიკური და საერთაშორისო განყოფილების თანამშრომლებიც, რომლებმაც ხარვეზების გარეშე უზრუნველყვეს ჩვენი ტელევიზიის მუშაობა ოლიმპიადაზე.

12 აგვისტოს ლონდონის ზაფხულის ოლიმპიური თამაშები საზეიმოდ დაიხურა, იგი ახლა ისტორიის კუთვნილებაა, ჩვენი ოლიმპიელებისთვის კი (რომლებმაც 7 სხვადასხვა სინჯის მედალი მოიპოვეს) ანალიზის და განსჯის პროდუქტია.

“ოლიმპიური არენის ” ბოლო გამოშვებამ მთლიანად შეაჯამა ოლიმპიადა და ოთხი წლით დაგვემშვიდობა.

სპორტული მიმართულება ახლა ძირითადად სპორტულ რეპორტაჟებზე გადაერთო.

ფეხბურთში ევროპის ლიგაზე გორის დილამ საკმაოდ წარმატებით იასპარეზა, მან ყველაზე მეტი შესძლო და პლეიოფამდე მიაღწია.

კალათბურთში საქართველოს ნაკრებმა ევროპის 2013 წლის ფინალური ეტაპის საგზური მოიპოვა. აგვისტო– სექტემბერში გამართული შესარჩევი ეტაპის რვავე შეხვედრის რეპორტაჟები შესთავაზა საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველმა არხმა სპორტის მოყვარულს. სხვათაშორის ეს პირველი შემთხვევა იყო როდესაც მთლიანი ციკლის ტელერეპორტაჟების მოწყობა მოხერხდა, მათ შორის ჰოლანდიანადაც, ქვეყნიდან რომელიც საერთოდ არ აპირებდა თავისი გუნდის თამაშის ჩვენებას. მაუწყებლის ხელმძღვანელობის ჩარევით ნაქირავები იქნა იმ ქვეყნის სატელევიზიო ტექნიკა რამაც კალათბურთის გულშემატკივარს ხილვის საშუალება მიეცა.

აგვისტოში ფართოდ გაშუქდა თბილისში გამართული საკალათბურთო საერთაშორისო ოთხთა ტურნირიც.

21 აგვისტოდან განახლდა ჩემპიონთა ლიგის 2012 –2013 წლების ტურნირიც, რომლის ჩვენების ექსკლუზიური უფლება საზოგადოებრივ მაუწყებელს გააჩნია.

31 აგვისტოს პირველმა არხმა ევროპის სუპერთასის პირდაპირი რეპორტაჟი შესთავაზა მაყურებელს მონაკოდან.

როგორც უკვე მოგახსენეთ, კალათბურთში საქართველოს ნაკრები ევროპის ჩემპიონატზე იასპარეზებს, ამისათვის აგვისტოში დარჩენილ შესარჩევი ტურნირის მატჩები საქართველოს ნაკრებმა წარმატებით დააგვირგვინა. ეს შეხვედრებიც საზოგადოებრივმა მაუწყებელმა თავის ერთგულ ტელემაყურებელს შესთავაზა.

11 სექტემბერს კი ფეხბურთში მსოფლიოს 2014 წლის შესარჩევი ტურნირის შეხვედრაში საქართველომ ესპანეთს უმასპინძლა, ამ და ბელორუსებთან ქართველების შეხვედრის რეპორტაჟები პირველი არხით გადაიცა.

15 სექტემბრიდან მაუწყებელმა განახლა ფეხბურთში საქართველოს ჩემპიონატის მატჩების ტელეტრანსლაციები.

სექტემბერშივე გადაიცა თოქ-შოუ “არენას” ორი გამოშვება, რომელმაც საფეხბურთო, საკალათბურთო ბატალიებს დაუთმო ყურადღება, გაჩნდა ახალი რუბრიკები: თარიღი და ახალგაზრდა სპორტსმენი. გადაცემამ სტუდიაში მოიწვია საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის

პრეზიდენტი, რომელიც ოქტომბერში ხელახალი ვადით კენჭს იყრის. განახლდა ჩემპიონთა ლიგის დღიურები, რომელიც 30 წუთიანი ქრონომეტრაჟით ეთერშია ყოველ შაბათს.

ოქტომბერში 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებს და არხზე პოლიტიკური თემატიკის ზენიტს ხელი არ შეუშლია მიმართულებისთვის ჩვეულ რეჟიმში განხორციელებინა გეგმური პროექტები.

ყოველი ხუთშაბათის საღამოს ეთერი თოქ-შოუ “არენას” ეთმობოდა საინტერესო თემებით და სტუმრებით. პირველივე გადაცემაში საუბარი იყო წყალბურთსა და ფუსტალზე. წყალბურთელები ჩელენჯტროპის ეტაპზე ასპარეზობდნენ, ხოლო ფუსტალში “იბერია სტარმა” ჩემპიონთა ლიგის ფუნალური ეტაპის საგზური მოიპოვა. სტუდიის სტუმრები იყვნენ ვლადიმერ ისელიძე და ვახტანგ წერეთელი.

მორიგი გამოშვება მეტად საინტერესო თემას და სტუმარს დაეთმო, საქართველოს სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრობის ახალი კანდიდატი ლევან ყიფიანი, რომელიც სპორტული სამყაროსათვის კარგად ცნობილი პერსონაა. ყიფიანმა სამინისტროს და სპორტის განვითარების პრიორიტეტებზე ისაუბრა. დაასახელა სპორტში ჩავარდნის მიზეზები და გაგვაცნო ნაკლოვანი მხარეების გამოსწორების გეგმები.

“არენამ” მთლიანი ეთერი გულშემატკივართათვის ყველაზე მტკივნეულ თემას – ფეხბურთში საქართველოს ნაკრებს დაუთმო, რომელზეც სტუდიაში მოწვეულ ვეტერანმა ფეხბურთელმა და ნაკრების წევრმა გიორგი კიკნაძემ ისაუბრა.



ოქტომბერში საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველმა და მეორე არხებმა სხვადასხვა სახეობებში სპორტული რეპორტაჟები შესთავაზეს ტელემყურებლებს. ტრადიციულად ეთერში გავიდა ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის მატჩები. დიდი ინტერესი ჰქონდა ფუსტალში ჩემპიონთა ლიგის ეტაპის მატჩებს თბილისის “იბერია სტარის” მონაწილეობით. ტელემყურებლს საშუალება მიეცა ეხილა მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის მატჩები ფინეთი–საქართველო და ბელორუსი–საქართველო.

პირდაპირ ეთერში გადაიცა 17 წლამდე წლამდე ფეხბურთელთა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის მატჩები საქართველოს გუნდის მონაწილეობით.

ტრადიციულად შაბათ–კვირას ეთერში იყო პირდაპირი რეპორტაჟები საქართველოს ჩემპიონატში მონაწილე ფეხბურთელთა და კალათბურთელთა გუნდებს შორის. რეპორტაჟები საქართველოს სხვადასხვა ქალაქებიდან ეწყობოდა.

ყოველ შაბათს სპორტული მიმართულების ჟურნალისტთა ჯგუფის მიერ მზადდებოდა და ეთერში გადაიცემოდა ფეხბურთში ჩემპიონთა ლიგის 30 წუთიანი დღიური.

თოქ-შოუ “არენამ” პირველივე გამოშვების მთლიანი დრო სპორტის და ახალგაზრდობის ახალ მინისტრს ლევან ყიფიანს და პარლამენტის სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარეს ოპილმპიურ და მსოფლიო ჩემპიონ ლერი ხაბელოვს დაუთმო. საუბარი საინტერესო გამოდგა, ვინაიდან რეპონდენტებისგან ტელემეყურებელმა შეიტყო ამ დარგში ახალი ხედვა, გეგმები და სტრუქტურული ცვლილებები.

არენამ შესძლო და სტუდიაში მოიწვია პრესასთან იშვიათად მოსაუბრე (განსაკუთრებით ტელემედიაში) საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი ფეხბურთში თემურ ქეცბაია. საუბარი წარმართა ვიზუალური მასალების განხილვით, ხარვეზებზე და გუნდში შექმნილ პრობლემებზე.

პირველად ქართული რაგბის ისტორიაში, ჩვენს ქვეყანას ეწვია მსოფლიოს ორი გრანდი – იაპონიისა და ფიჯის ეროვნული ნაკრებები. ამ მოვლენასთან დაკავშირებით სტუდიის სტუმრები იყვნენ: საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტი გია ნიჭარაძე და ნაკრების წევრი ლაშა გიგაური.

სპორტული რეჟიმის გამო სტუდიაში მოსვლა ვერ შეძლეს სტუმართა გუნდის თავკაცებმა და ჩვენი ნაკრების კონსულტანტმა ლეგენდალურმა ტანა ურაგამ. თემა მათი ნააზრევი სიუჟეტების სახით ჩვენმა კორესპონდენტებმა მოამზადეს.

ამავე გადაცემაში საუბარი იყო კალათბურთში ევროპის 2013 წლის ჩემპიონატში კენჭისყრის შემდეგ გამოვლენილ მეტოქეებზე. სტუდიის სტუმრები იყვნენ საქართველოს კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ბესიკ ლიპარტელიანი და გენერალური მდივანი მერაბ რატიშვილი. საზოგადოებრივი მაუწყებელი ტრადიციულად სტავაზობს ეროვნული ნაკრების მონაწილეობით გამართულ შეჯიბრებებს. გამონაკლისი არც 2013 წელი იქნება და საუბარი სატელევიზიო რეპორტაჟებსა და სპეცგამოშვებებზეც იყო.

როგორი უნდა იყოს ტელემედიის მუშაობა ფეხბურთში საერთაშორისო მატჩებზე და საერთაშორისო ტურნირებზე. რა ნომრები და სამუშაო აუცილებლობები უნდა იყოს დაცული .ამ საკითხებზე სასაუბროდ უეფას ქართველი მედია ოფიცერი მამუკა კვარაცხელია მოვიწვიეთ, რომელმაც არა მარტო მედია სამსახურებზე, არამედ გულშემატკივართა ქცევის ნომრებზეც ისაუბრა.

არენამ უყურადღებოდ არც უნარშეზღუდულთა სპორტული თამაშები დატოვა, რომელშიც საქართველოს გუნდის წარმომადგენლები გამოდიან.



ნოემბრის ოთხი შაბათი ჩემპიონთა ლიგის დღიურს დაეთმო. ნოემბერში საზოგადოებრივი მაუწყებლის ორივე არხზე გავიდა საქართველოს ჩემპიონატები ფეხბურთსა და კალათბურთში. გადაიცა ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის ოთხი რეპორტაჟი. პირდაპირი ეთერი დაეთმო ფეხბურთში 17 წლამდელთა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის ორ მატჩს.

დიდი ინტერესი გამოიწვია რაგბში საერთაშორისო ამხანაგურმა შეხვედრებმა საქართველო–იაპონია, საქართველო–ფიჯი. ეს რეპორტაჟები პირველი არხით გადაიცა.

ნოემბრიდან ეთერში გადის ჩემპიონთა ლიგის ტელევიქტორინა, რომელიც მატჩების ტაიმებს შორის შესვენებისას ეწყობა პირდაპირ ეთერში.

6 დეკემბერს პირდაპირ თბილისის აეროპორტიდან "არენას" ეწვივნენ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ზვიად სიჭინავა და გენერალური მდივანი რევაზ არველაძე, რომლებიც ჟენევიდან უეფას შტაბბინიდან ასე ვთქვათ შეჯიბრებებით ხელდამშვენებულები დაბრუნდნენ. 5 შესაძლებელიდან სამში ტურნირების მასპინძლობის უფლება 2013 წელს თბილისმა მოიპოვა. უეფას ეს გადაწყვეტილება გამოწვეული იყო ამ ბოლო წლებში საქართველოში საფეხბურთო განვითარებულმა ინფრასტრუქტურების ზრდის დიდმა ტემპმა. ამ და ჩატარების გეგმებზე ისაუბრეს სტუდიის სტუმრებმა.

ინფრასტრუქტურის განვითარების ერთ-ერთი მაგალითია საფეხბურთო კლუბი თბილისის "დინამო" რომელმაც ბოლო წლებში სერიოზული სახეცვლილება განიცადა. დოკუმენტური ფილმი დინამო-დინამო სწორედ იმ ცვლილებებზე მოგვითხრობს და ეთერიც ამ ფილმს დაეთმო.

საქართველოს მოქმედი ჩემპიონი "ზესტაფონი" რთულ მდგომარეობაშია. მან რის ვაივაგლახით შეინარჩუნა ადგილი პირველ ექვსეულში. გუნდიდან წავიდნენ ფეხბურთელები – მწვრთნელები. რა ხდება ზესტაფონში?



ამ თემაზე სასაუბროდ მოვიწვიეთ კლუბის პრეზიდენტი ილია კოკია, რომელმაც დეტალურად ისაუბრა შექმნილ რთულ მდგომარეობაზე. ამავე გადაცემაში დიდი სიუჟეტით წარსდგა საზოგადოებრივი მაუწყებლის ახალი პროექტი "კომენტატორი" რომელიც 2013 წლიდან გავა არხის ეთერში.

მრავალწლიანი დავის და ბრძოლის შემდეგ საქართველოში აღსდგა სპორტის აკადემია, რომელმაც ფუნქციონირება რამდენიმე წლის წინ შეწყვიტა და უმოკლეს პერიოდში თავი იჩინა სპეციალისტების სიმცირემ და სასკოლო პედაგოგების ინსტიტუტის მოშლამ. აკადემიის აღდგენის თემა გადაწყვეტილია და თუ რა ფორმით და როდის დაიწყებს იგი ფუნქციონირებას ამის შესახებ პროფესორმა გურამ მაგანიამ და სპორტის დეპარტამენტის უფროსმა ირაკლი ლოსაბერიძემ ისაუბრეს.

გამოშვების ერთ-ერთი თემა "სალერის" საერთაშორისო ტურნირიც იყო, რომელსაც თბილისმა უმასპინძლა.

27 დეკემბერს თოქ-შოუ "არენამ" 2012 წელი შეაჯამა. კიდევ ერთხელ შეახსენა ტელემეყურებელს ის შესანიშნავი ასპარეზოები, რომელშიც იყო წარმატებები. სტუმრად მოიწვია წლის საუკეთესო სპორტსმენი ლონდონის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი ლაშა შავდათუაშვილი.

საერთაშორისო პროექტები

დიდების ევროვიზია

2012 წელს საზოგადოებრივმა მაუწყებელმა ევროვიზიის შიდა შესარჩევი კონკურსი იანვარში გამოაცხადა. ერთი თვის განმავლობაში 100-მდე განაცხადი შემოვიდა. კომპეტენტურმა ჟიურიმ საბოლოოდ შიდა შესარჩევი კონკურსზე 9 თებერვალს 9 მონაწილე იხილა, მათ შორის იყვნენ ჯგუფები - Mirror Illusion, Vanilla cage, REMA, November, Industrial City, ლევან ჯიბლაძე (Leo Jee) ედვარდ ტატიანი, ბორის ბედია და ანრი ჯოხაძე.



საბოლოოდ არჩევანი მაყურებელმა და ჟიურიმ ანრი ჯოხაძეზე შეაჩერა სიმღერით „I'M A JOKER“.

ევროვიზიაზე გამგზავრებამდე ანრი ჯოხაძეს და მის ბექ ვოკალებს ვერიკო ტურაშვილს, ნინო მოწინიძეს, ნინი შერმადინს, მაგდა ჯოხაძეს კიდევ ეთი წევრი მოცეკვავე სალომე ჭაჭუა შეემატათ.

სასცენო ვერსიაზე მუშაობა კი ლაშა ონიანმა დაიწყო, რეპეტიციები მომღერლებთან და მოცეკვავესთან ყოველდღე რამდენიმე საათის განმავლობაში რუსთაველის თეატრში მიმდინარეობდა. სამწუთიანი სასცენო ვერსიისთვის შეიქმნა პედისტალები და საქართველოში ყველაზე დიდი დოლი. სასცენო კოსტიუმებზე მუშაობდა უცხოეთში მცხოვრები ქართველი დიზაინერი გიო გოდე, ხოლო მომღერლების აქსესუარებზე იზრუნა დიზაინერმა ფატუნა ბუმიჰეტმა.

აპრილის შუა რიცხვებში ანრი ჯოხაძე მიწვეული იყო ბაქოში, ოფიციალური სტუმრის სტატუსით და მან რამდენიმე სიმღერა შეასრულა ღია ცის ქვეშ გამართულ კონცერტზე. ასევე მომღერალი გახდა კამპანიის „შეიკარი ღვედი“-ს სახე, გადაღებული იქნა ვიდეო რგოლიც, რომელიც სხვადასხვა ქვეყნებშიც დატრიალდა.

მაისის დასაწყისში ქართული დელეგაცია გაემგზავრა ბაქოში, აეროპორტში გაცილება მომღერალს ილიას უნივერსიტეტის ბავშვებმა მოუწყვეს და სპეციალურად სიმღერაზე „I'M A JOKER“ ფლემ მობი დადგეს.

გადაღებები, ინტერვიუები, რეპეტიციები - ანრი ჯოხაძეს და მის გუნდს ბაქოში ყოფნის პერიოდში ძალიან გადატვირთული გრაფიკი ქონდათ. მომღერალს იწვევდნენ სხვადასხვა გადაცემებში, მისით დაინტერესებული იყო უცხოური პრესა.

ბაქოში ასევე გაიმართა ქართული საღამო სახელწოდებით „ჭაჭა ფართი“, რომელსაც დაესწრო ყველა ქვეყნის დელეგაცია, ევროვიზიაზე აკრედიტირებული ჟურნალისტები და აზერბაიჯანში საქართველოს საელჩოს წარმომადგენლები, საღამოზე იმდერეს ანრი ჯოხაძემ, ვერიკო ტურაშვილმა, ნინო ძოწენიძემ, მაგდა ჯოხაძემ.

ასევე ქართული დელეგაცია მიწვეული იყო ბაქოში საქართველოს საელჩოში, სადაც მომღერლებისთვის საგანგებო მიღება გაიმართა.

მეორე ნახევარფინალის დაწყებამდე კი, რომელშიც საქართველო მონაწილეობდა, გავიდა ანა ვაშაგაშვილის ფილმი, რომელიც ასხავდა ქართული დელეგაციის ყოფნას ბაქოში და მომღერლის მზადებას დიდი კონკურსისთვის. ასევე კუს ტბაზე მოეწყო ანრი ჯოხაძის მხარდასაჭერი აქცია, სადაც შეკრებილი მაყურებელი დიდ ეკრანზე უყურებდა კონცერტს. 24 მაისს ანრი ჯოხაძე თავის ჯგუფთან ერთად მაყურებლის წინაშე წარსდგა. მომღერალმა დედამისის რუსუდან ჩხაიძის სიმღერა „I'M A JOKER“ შეასრულა, რომლის ტექსტიც ბიზი კვაჭაძემ ეკუთვნოდა. ევროვიზიაზე საქართველოს 6 წლიანი ისტორიის მანძილზე, წელს პირველი შემთხვევა იყო, როდესაც კონკურსანტი ვერ გადავიდა ფინალში. 2012 წლის ევროვიზიის გამარჯვებული შვედი მომღერალი ლორენი გახდა სიმღერით - „ეიფორია“.

2012 წლის 31 დეკემბერს საზოგადოებრივი მაუწყებლის საპროდიუსერო ჯგუფმა, რამდენიმე დღიანი თათბირის შემდეგ გამოიყენა უფლება და 2013 წლის ევროვიზიისთვის საქართველოს წარმომადგენლებად სოფო გელოვანი და ნოდინო ტატიშვილი დაასახელა.

ეს პირველი შემთხვევაა როდესაც საქართველოს სახელით 16 მაისს მეორე ნახევარფინალში დუეტი წარსდგება.

სიმღერას ევროვიზიისთვის ქართველ მონაწილეებს შვედი კომპოზიტორი ტომას ჯეისონი უწერს, რომელიც არაერთი კომპოზიციის ავტორია, მას სპეციალურად ევროვიზიისთვის 65 სიმღერაზე მეტი აქვს დაწერილი, მათ შორის 2012 წლის გამარჯვებული კომპოზიციაც სახელწოდებით „ეიფორია“ მას ეკუთვნის.

საბავშვო ევროვიზია

წელს საზოგადოებრივი მაუწყებლის საპროდიუსერო ჯგუფმა საბავშვო ევროვიზიის წესები შეცვალა. კერძოდ კი, პროდიუსერებმა ყველა ნიჭიერ ბავშვს შანსი მისცეს მონაწილეობა მიეღოს შიდა შესარჩევ კონკურსში, ამისათვის კი საჭირო იყო მათ პირველი ეტაპისთვის წარმოედგინათ სიმღერა საკუთარი რეპერტუარიდან.

შემოსული განაცხადებიდან შეირჩა ოთხი ბავშვი: ქეთი სამხარაძე, ნინო დაშნიანი, ელენე არაჩაშვილი, ლუკა ყარმაზანაშვილი და ისინი გაერთიანდნენ ერთ ჯგუფში

ევროვიზიის საპროდიუსერო ჯგუფის გადაწყვეტილებით, ბავშვებთან მუშაობა დაიწყო გიორგი კუხიანიძემ, რომელიც საბავშვო ევროვიზიასთან უკვე რამდენიმე წელია თანამშრომლობს და მის

სახელს უკავშირდება, ორჯერ საქართველოს გამარჯვება, 2008 წელს „ბზიკები“ და 2011 წელს „ქენდი“. ივლისის თვეში დაიწყო ბავშვებთან მუშაობის პროცესი, პირველ ეტაპზე მათ მიეცათ დავალება, თუ რაზე სურდათ რომ ყოფილიყო მათი სიმღერა, ბავშვებმა არჩევანი შეაჩერეს ლიმონათზე. გიორგი კუხიანიძის და სიმღერების ტექსტების ცნობილი ავტორის ნანა ცინცაძის დახმარებით დაიწერა სიმღერა „funky lemonade“, ხოლო ოთხი ბავშვისგან შექმნილ ჯგუფს სახელად ეწოდა „the funkids“.

დიდი მზადება საბავშვო ევროვიზიისთვის აგვისტოში დაიწყო. ბავშვები რეპეტიციებს გადიოდნენ ვოკალის პედაგოგთან სოფო ოყრეშიძესთან და ქორეოგრაფთან თამარ გოგორელიანთან ერთად.

სექტემბერში საზოგადოებრივი მაუწყებლის რეჟისორმა თემურ კვიციანიამ სიმღერაზე „funky lemonade“ გადაიღო ვიდეო რგოლი, ბავშვების იმიჯზე იზრუნა მარიკა ქურდუბაძემ, ვიდეო რგოლის გადაღებები ორი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა, კლიპში გამოყენებულია „მულტი-პულტის“ თოჯინებიც.

ვიდეო რგოლის პრეზენტაცია საზოგადოებრივი მაუწყებლის დილის გადაცემაში გაიმართა.

დელეგაციების ხელმძღვანელების შეხვედრაზე ამსტერდამში, „the funkids“ ვიდეო რგოლი გადაეცა იმ 11 ქვეყანასაც, რომელიც 2012 წლის საბავშვო ევროვიზიაში მონაწილეობდა, ქართული კლიპი მათ საზოგადოებრივი მაუწყებლების ეთერშიც დატრიალდა.

თუ როგორ ემზადებოდნენ ბავშვები კონკურსისათვის, დოკუმენტურ ფილმში აისახა, რომელიც ჟურნალისტმა მადონა ვაშაგაშვილმა და ოპერატორმა მიხეილ ყიფიანმა მოამზადეს, ფილმის პრემიერა ფინალურ კონცერტამდე საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში შედგა.

ქართული ჯგუფი „the funkids“ მაყურებლის წინაშე 1 დეკემბერს მე-10 ნომრად წარსდგა.

ჰოლანდიიდან პირდაპირი ტრანსლიაცია საზოგადოებრივმა მაუწყებელმა განახორციელა, კონცერტის კომენტატორი თემურ კვიციანია იყო, საქართველოს სახელით კი საბავშვო ევროვიზიას 2011 წლის გამარჯვებული ჯგუფი „ქენდი“ ჩაერთო, რომელმაც ევროპას საქართველოს მონაცემები გააცნო. საბოლოოდ ქართულმა ჯგუფმა „the funkids“- მა 12 ქვეყნის ჟიურისგან უმაღლესი 12 ქულა მიიღო და საბავშვო ევროვიზიის მე-10 კონკურსზე მეორე ადგილის მფლობელი გახდა, პირველი ადგილი კი უკრაინელ მომღერალს ანასტასია პეტრიკს ერგო.



10+10 მუსიკალური პროექტი

წარმატებული სომხურ ქართული მუსიკალური პროექტის 10+10 ის შემდეგ, საზოგადოებრივმა მაუწყებელმა ანალოგიური პროექტი განახორციელა უკრაინის საზოგადოებრივ მაუწყებელთან ერთად.

ცნობილი მომღერლების მუსიკალური დუეტები ორივე ქვეყნის საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში მარტის თვეში დაიწყო.

ანრი ჯოხაძე და ნატალია ბუჩინსკაია, დათო ხუჯაძე და შანისი, ოთო ნემსაძე და მარიეტა, დათუნა მგელაძე და ნატალია ვალენსკაია, ნინი ბადურაშვილი და ანდრეი ბოგომოლეცი, ნინო მოწენიძე და ვიქტორ პავლიკი, სოფო გელოვანი და ედუარდ რომანიუტა, სოფო ტოროშელიძე და მათიასი, თემო საჯაია და ზლატა ოგნევიჩი, ვერიკო ტურაშვილი და ანდრეი კრავჩუკი 10 ტურის განმავლობაში მაყურებელმა სხვადასხვა ჟანრში იხილა. სიმღერები კინოფილმებიდან, ქართული და უკრაინული ფოლკლორი, როკი, რეტრო, ჯაზი, ორი ქვეყნის ჰიტები და მსოფლიო შლაგერები საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში ყოველ შაბათს საღამოს გადიოდა.

ჟიურის წევრები იყვნენ ნუცა შანშიაშვილი და ჭაბუკა ამირანაშვილი, სპეციალური სტუმრის სტატუსით კი კიევში საგანგებოდ ჩავიდნენ სტეფანე და მათა ბარათაშვილი.

გადაცემის წამყვანი საქართველოს მხრიდან სოფო ხალვაში იყო.


შემეცნებითი მიმართულება

თოქ-შოუ "ღამის საუბრები"

ქრონო - 45-50წთ.

სიხშირე - კვ.-1

დროის სეგმენტი - 24 საათი



მოკლე ანოტაცია

თოქ-შოუს წამყვანი, გია ბულაძე მიზნად ისახავს მაყურებელს გააცნოს სხვადასხვა დარგისა და პროფესიის წარმატებული ადამიანები, ისინი, ვინც გამოირჩევიან მაღალი კლასის პროფესიონალიზმით. თოქ-შოუს მიზანია ინტელექტუალურ აუდიტორიას მიაწოდოს საჭირო ინფორმაცია სხვადასხვა სფეროში არსებულ სიახლეებსა და მიღწევებზე, როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ. გაათვითცნობიეროს რიგითი მაყურებელი სხვადასხვა დარგში, ამ დარგების მეცნიერთა და წამყვან სპეციალისტთა საქმიანობის წარმოჩენით, აზიაროს მაყურებელი მაღალ ხელოვნებას. ამ ტიპის დისკუსია-საუბრები მაყურებლისთვის ატარებს შემეცნებით ხასიათს.

საანგარიშო წლის მანძილზე სულ ეთერში გავიდა 28 გადაცემა. (2012წ-ის იანვრიდან ივლისის ჩათვლით)

თოქ-შოუს თემატიკა იყო მრავალფეროვანი, რადგან მოწვეული იყვნენ სხვადასხვა დარგის მეცნიერები, მკვლევარები, ხელოვნებათმცოდნეები, მუსიკოსები, მხატვრები, საინჟინრო საქმის წამყვანი სპეციალისტები, არქიტექტორები, ექიმები, ფსიქოლოგები, არქეოლოგები, ლიტერატორები და ის ადამიანები, ვინც რაღაც მნიშვნელოვანი შექმნეს სახელოვნებო, სამეცნიერო თუ სხვა სფეროებში.

თოქ-შოუ "ჩვენი სამართალი"

ქრონო - 26წთ.

სიხშირე - კვ.-1

დროის სეგმენტი - 18:00



მოკლე ანოტაცია

თოქ-შოუ მიზნად ისახავს მიაწოდოს მაცურებელს საჭირო ინფორმაცია სასამართლო სისტემაში მიმდინარე რეფორმის შესახებ, ხელი შეუწყოს საზოგადოებაში სამართლებრივი აზროვნებისა და სამართლებრივად მართებული ქცევის წესების დანერგვას დიალოგის, დისკუსიის და ინფორმირების საშუალებით, განუმარტოს მაცურებელს ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის შემოღების დადებითი ასპექტები და მოამზადოს საზოგადოება სასამართლო სისტემაში მნიშვნელოვანი ცვლილებების განსახორციელებლად.

პროექტი დაფინანსებულია გაეროს განვითარების ფონდის მიერ.

გაეროს განვითარების ფონდ UNDP-ს მიერ თოქ-შოუს დაფინანსების ვადა იანვრის ბოლოს ამოიწურა.



გადაცემა "ჩვენი ფერმა"

ქრონო - 26 წთ.

სიხშირე - კვ.-1

დროის სეგმენტი- 12:30

მოკლე ანოტაცია

გადაცემათა ციკლის მიზანია სოფლის მეურნეობის მთავარი დარგების კომპლექსური გაშუქება, არსებული ვითარების, განვითარების პერსპექტივების და პრობლემების წარმოჩენა. ამ გადაცემის საშუალებით სოფლის მეურნეობაში დასაქმებულმა ადამიანებმა უნდა მიიღონ მათთვის საჭირო და სასარგებლო ინფორმაცია ახალ მეთოდებზე, უახლეს ტექნოლოგიებზე და ეს ცოდნა გამოიყენონ პრაქტიკაში. გადაცემის მიზანია ხელი შეუწყოს დამწყებ ფერმერს საკუთარი მეურნეობის სწორად აწყობასა და წარმოებაში. გადაცემაში მოწვეული ექსპერტებისა და სპეციალისტების რჩევების საშუალებით მოხდეს ფერმერთა ინფორმირება წარმოების, გადამუშავების, მარკეტინგის და საბანკო სექტორთან ურთიერთობის სფეროში.

ფსიქოლოგიური თოქ-შოუ „ჩემი ოჯახი“

ქრონო - 45-50 წთ.

სიხშირე - კვ.-1

დროის სეგმენტი - შაბათი, 13:00



მოკლე ანოტაცია

თოქ-შოუს „ჩემი ოჯახი“ მიზანია, მაყურებელს მიაწოდოს ფსიქოლოგის რჩევები აქტუალურ და პრობლემატურ საკითხებზე. სტუდიაში მოწვეულმა სტუმრებმა და სამიზნე აუდიტორიამ მიიღონ საჭირო რეკომენდაციები მათთვის საინტერესო თემებზე, რაც ხელს შეუწყობს ოჯახის წევრთა შორის ჰარმონიული და ჯანსაღი ურთიერთობის დამკვიდრებას.

პროექტი გათვალისწინებულია სამ თვეზე (ნოემბერ-დეკემბერ-იანვარი) და დაფინანსებულია საერთაშორისო ორგანიზაცია WORLD VISION-ის მიერ.

მუსიკალური მიმართულება

სი ბემოლი

წამყვანები - ნოდარ ლადარია, ლაშა ბულაძე

გადაცემის ქრონომეტრაჟი 40წთ

გადაცემის წამყვანები საუბრობენ კლასიკურ მუსიკაზე: თხზულებათა შექმნის ისტორია, კომპოზიტორის ცხოვრება, ეპოქის მივიწყებული სახე და რაც მთავარია, თვითონ მუსიკა .

გადაცემაზე მუშაობს შემოქმედებითი ჯგუფი:

პროდუსერი - მამუკა მეგრელიძე

ალმასრულებელი პროდუსერი- ია შერაზადიძე

რეჟისორი - ია შერაზადიძე

რედაქტორი- ელისო შენგელია

4- ოპერატორი

მინი ptc –ლენგიზ მიქელაძის ჯგუფი (3 კაცის შემადგენლობით)

ხმის რეჟისორი

გამნათებელი

2012 წელს ეთერში გავიდა 30 გადაცემა:

1. 05.01.2012- საახალწლო გადაცემა
2. 12.01.2012 - ფიგაროს ქორწინება
3. 19.01.2012 - შეკვეთილი მკვლელობა ოპერაში
4. 26.01.2012 - მალერის მე-6 სიმფონია
5. 09.02.2012- გლენ გულდი
6. 16.02.2012-პუჩინი „ტოსკა“
7. 23.02.2012-კომიკური ოპერა

8. 02.03.2012- ვილჰელმ ტელი
9. 08.03/2012 - ვერდი „რიგოლეტო“
10. 15.03.2012- მარია კალასი
11. 22.03.2012 -ვერდი „აიდა“
12. 29.03.2012- ვერდი „la forza“
13. 05.04.2012 - შტრაუსი „სალომეა“
14. 12.04.2012- ტურანდოტი
15. 19.04.2012 - რიხარდ ვაგნერი
16. 26.04.2012- ბეთჰოვენი მე-3 სიმფონია
17. 03.05.2012 - ვერდი „ერნანი“
18. 10.05.2012- ვერდი „ოტელო“
19. 17.05.2012 - ვერდი „ოტელო“ დეზდემონას პერსონაჟი
20. 24.05.2012- ეპონიმური მუსიკა
21. 31.05.2012- ფატალური სცენები ოპერაში
22. 07.06.2012- ტენორები
23. 05.07.2012- წელი ფინალები
24. 12.07.2012-ბეთჰოვენი
25. 19.07.2012- საბრალო მამაკცები ოპერაში
26. 26.07.2012 - როსინი „კონცია“
27. 12.12.2012- ლისტის ტრანსკრიპციები
28. 19.12.2012 - ნინო სურგულაძე - სტუმარი ნინო სურგულაძე
29. 26.12.2012- ლუჩია ლა მერმურიდან- სტომარი დ. საყვარელიძე

2012წ აგვისტოში გადამღები ჯგუფი მივლინებაში იყო ბათუმში

უცნობი მუსიკა



პროექტის ავტორი – კახა თოლორდავა
წამყვანები: კახა თოლორდავა, გია ხაღურია

გადაცემის ქრონომეტრაჟი 50წთ.

დამატებითი მასალის ქრ.60წთ

გადაცემაზე მუშაობს შემოქმედებითი ჯგუფი:

პროდუსერი - მამუკა მეგრელიძევილი

აღმასრულებელი პროდუსერი- ია შერაზადიშვილი

რეჟისორი - ია შერაზადიშვილი

4- ოპერატორი

მინი ptc –ლენგიზ მიქელაძის ჯგუფი (3 კაცის შემადგენლობით)

რელსი (2 კაცი)

ხმის რეჟისორი

გამნათებელი

2012წ ეთერში გავიდა 28 გადაცემა

15.01.2012- ნილ იანგი

დოკ. ფილმი „ ცხენის წელიადი“

22.01.2012- ჩარლზ ლოიდი

კონცერტი „ ჩარლზ ლოიდის კვარტეტი“

29.01.2012 - ჯივან გასპარიანი I ნაწილი

29.01.2013 05.02.2012 - ჯივან გასპარიანი II ნაწილი

12.02.2012- ჯაზის საერთაშორისო ფესტივალი თბილისში

19.02.2012 - ფრაგმენტები კონცერტიდან ჯაზის საერთაშორისო ფესტივალი თბილისში

26.02.2012 -გლენ გულდი

დოკ.ფილმი გლენ გულდი

05.03.2012- ქალი სტეპებიდან

11.03.2012- ტომ ვეიტსი

დოკ.ფილმი „ტომ ვეიტსი“

18.03.2012- რიუიჩი საკამოტო

კონცერტი რიუიჩი საკამოტოს ტრიო

25.03.2012- პაპუნა შარიქაძე

01.04.2012- რაჰსაან როლანდ კერკი

კონცერტი -მონტეს ჯაზფესტივალი 1972წ.

08.04.2012 - ელექტრონული მუსიკა

22.04.2012- დევიდ ბოუვი

კონცერტი დევიდ ბოუვი

29.04.2012 – weazer report

კონცერტი -ბერლინი 1971

06.05.2012- სონი როლინზი

კონცერტი- სონი როლინზი

13.05.2012- talking heads

კონცერტი stop making sense

20.05.2012- მეტალიკა

დოკ.ფილმი „ რაღაც მონსტრის მსგავსი“

27.05.2012- ტინარივერნი

კონცერტი-გლასტონბერგის ფესტივალი

08.07.2012 -ტროპიკალია ბრაზილია,XX საუკუნის 60წწ მუსიკა

კონცერტი- ტროპიკალია, ბრაზილია

15.07.2012- ბექა დოჩიაშვილი

22.07.2012- ბელა ფლეკი

დოკ.ფილმი „ დაივიწყე გული შენი“

21.10.2012- მე20 საუკუნის 80წწ პოლონეთი

დოკ.ფილმი „თავისუფლების გაელვება“

28.10.2012- ბობ დილანი (1 ნაწილი)

დოკ. ფილმი „უკან გზა არ არის“ ბობ დილანი

04.11.2012- ბობ დილანი(2 ნაწილი)

დოკ.ფილმი „უკან გზა არ არის“ ბობ დილანი

11.11.2011 - გოგი ძომუასვილი- სტუმარი- გ.ძომუაშვილი

18.11.2012- ჟაკ ბრელი - სტუმარი -პ.ქურდაძე

კონცერტი-ჟაკ ბრელი

25.11.2012.- ეთიოპიური მუსიკა

კონცერტი- ეთიოპური მუსიკა

2012წლის იანვარში გადამღები ჯგუდფი მივლინებაში იმყოფებოდა ერევანში

საბავშვო მიმართულება

გადაცემა - „პეპე და მეგობრები“

ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა,

18:00 საათზე. ქრონ: 50 წთ.

გადაცემა „პეპე და მეგობრები“ ბავშვებს მრავალფეროვან, საინტერესო თამაშებს სთავაზობს.

თამაშით პატარები მათთვის საინტერესო ინფორმაციას იღებენ, სწავლობენ ხელმარჯვეობას, უვითარდებათ მეხსიერება. გადაცემა გაფორმებულია მულტფილმებითა და მუსიკალური ნომრებით, სიუჟეტებით (გადაცემაში ვიწვევთ მომღერალ ბავშვებს, სხვადასხვა სტუდიის აღსაზრდელებს, ანსამბლებს, ჯგუფებს)



ბავშვებს ახალ რუბრიკას „მიპასუხე სწრაფად“ ვთავაზობთ.

წამყვანი თიკო და შეჯიბრში მონაწილე თოჯინები - მიუ, ფუშიკო, ბობო და სოლიკო პატარა მაყურებელს სასაცილო და მხიარულ სანახაობას ჰპირდებიან.

გადაცემის ყოველი დღე თემატურად განსხვავებულია.

გადაცემას ჰყავს ორი წამყვანი პეპე (დავით ველიჯანაშვილი) და თიკო ბედიანაშვილი.

1 იანვარს ეთერში გავიდა კონცერტი „პეპეს საახალწლო შოუ“ - ქრონ: 50 წთ.

2 იანვარს ეთერში გავიდა კონცერტი „გოზინაყი ფართი“ - ქრონ: 1 სთ.

გამეორება

აგვისტოს თვეში ეთერში გავიდა - 14 გადაცემა

სექტემბრის თვეში ეთერში გავიდა - 15 გადაცემა

ახალი სეზონი 15 ოქტომბერი

15 ოქტომბრიდან დაიწყო ახალი სეზონი. ეთერში გავიდა სულ 18 გადაცემა. (12 ახალი გადაცემა)

გადაცემა ბავშვობანა - „ბავშვობანა“ –

ყოველ შაბათს 11:30 ქრონ: 30 წუთი

წამყვანი - ანანო გარუჩავა 11 წლის



გადაცემის წამყვანი სტუდიაში სხვადასხვა თემაზე დისკუსიას ბავშვებთან ერთად მართავს. სადისკუსიო თემებს თავად ბავშვები ირჩევენ. ისინი საუბრობენ ყველაფერზე რაც უყვართ, რაზეც ფიქრობენ...

გადაცემაში დიდებიც მონაწილეობენ. „ბავშვობანა“ სტუმრად მათ ბავშვობაში მიდის.

გადაცემის ბოლოს - ანანო ბავშვებს „საშინაო დავალებას" აძლევს, ვინც კარგად შეასრულებს, სტუდიაში იწვევს. ბავშვებს საშინაო დავალების შესასრულებლად ერთი კვირა აქვთ (კვირის განმავლობაში ბავშვები გვიკავშირდებიან საიტის [www. 1tv.ge](http://www.1tv.ge)-ის, ან [facebook](https://www.facebook.com/bavshvobana)-ის საშუალებით (ბავშვობანა ანანოსთან ერთად) Skype – [bavshvobana](https://www.skype.com/name/bavshvobana). ტელ. 2 40 90 41

დაიჭირე და ითამაშე „ბავშვობანა“ მხოლოდ პირველზე, ანანო გარუჩავასთან ერთად.

დამზადდა „ბავშვობანა“-ს 13 კონკრეტული ანონსი.

პეპე და ბიჭები - პრომო

თიკო და გოგოები - პრომო

დილის გადაცემათა გაერთიანება

ჩვენი დილა



“ჩვენი დილა” წარმოადგენს შემეცნებითი და გასართობი ხასიათის პროგრამას, რომელიც იწყებს არხის საეთერო მაუწყებლობას და 3 საათისა და 30 წუთის განმავლობაში მოსახლეობას მისთვის მნიშვნელოვან ნებისმიერ საკითხზე ესაუბრება. პროგრამის მიზანია გამოაფხიზლოს მოსახლეობა, დადებითი ენერგიით დამუხტოს, მოამზადოს საქმიანი დღის დასაწყებად და, რაც მთავარია, მისცეს საჭირო და აუცილებელი ინფორმაცია, რომელიც მას გამოადგება დღის განმავლობაში.

დილის მაუწყებლობის თავისებურებების გათვალისწინებით, პროგრამა “ჩვენი დილა” შედგება მრავალი განსხვავებული რუბრიკისგან.

პროგრამა „ჩვენი დილის“ რუბრიკების უმეტესობამ შეინარჩუნა ინტერაქტიულობა. მოსახლეობა მუდმივად ერთვებოდა პროგრამის მსვლელობაში და წამყვანებს თუ მოწვეულ სტუმრებს განსახილველ თემატიკაზე საკუთარ აზრს აწვდიდა, ასევე იღებდა პასუხებს მისთვის სასურველ ნებისმიერ კითხვაზე კომპეტენტური სტუმრებისგან. ყოველ დღე სტუდიაში მოდიოდა სხვადასხვა პროფესიის 1 ან 2 სტუმარი.

საბავშვო ბლოკი წარმოდგენილია იყო 12 წუთიანი მულტფილმის ჩვენებით. “დილის პრესა” , ინტერნეტგამოცემების მიმოხილვა, სოციალური საკითხების გამშუქებელი რუბრიკა, კულტურის ბლოკი, ამინდის პროგნოზი, ჰოროსკოპი, „დილის რჩევები“, “ჰიტი”, “სპორტის მიმოხილვა”, „თარიღი“ კვლავ რჩებოდა პროგრამის მუდმივმოქმედ რუბრიკებად

2012 წლის პირველ კვარტალში პროგრამაში „ჩვენი დილა“ ჩატარდა ახალგაზრდული კონკურსი „მხიარული დილა“, სადაც სხვადასხვა პროფესიის ცნობილი ახალგაზრდები ერთმანეთს შეეჯიბრნენ. კონკურსში მონაწილეობდნენ ცნობილი მომღერლები, მოცეკვავეები, შოუ-ბიზნესის წარმომადგენლები, სპორტსმენები. ერთი თვის განმავლობაში ისინი ხან მზარეულის როლს ირგებდნენ, ხან მოცეკვავის, ხან მომღერლის, ხან სასწრაფო დახმარების თუ გადაუდებელი სამსახურის მოხელის, ხანაც დალაქის, მიმტანის, დამლაგებლის, მეეზოვის და ა.შ. კონკურსის ერთ-ერთი სახალისო ტური იყო „ფეინთბოლი“, სადაც მონაწილეები ექსტრემალურ პირობებში ასრულებდნენ დავალებებს. ამ კონკურსმა განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია მაყურებელში, რაზეც მეტყველებდა პროგრამის რეიტინგის მატება ამ ზოლში. პროექტის გამარჯვებულებს გადაეცათ დიპლომები, პრიზები და სამახსოვრო საჩუქრები, რომლებიც თავად პროგრამის თანამშრომლებმა მოიძიეს.

2012 წლის მეორე კვარტალში პროგრამაში „ჩვენი დილა“ ჩატარდა სამეჯლისო და სპორტული ცეკვების კონკურსი, სადაც 16-მა მოცეკვავე წყვილმა მიიღო მონაწილეობა. ჟიური საკმაოდ წარმომადგენლობითი და კომპეტენტური იყო. თენგიზ გაჩეჩილაძე- ქორეოგრაფი, მაკა მახარაძე- მოცეკვავე, ზაზა იაქაშვილი - მსახიობი და გოჩა კაპანაძე- რეჟისორი. კონკურსს უძღვებოდნენ პროგრამის წამყვანები ლიკა ლაბაძე და გიორგი გრძელიშვილი. კონკურსისადმი იყო ძალიან დიდი ინტერესი. მილიონამდე ზარი შემოვიდა კონკურსანტების მხარდასაჭერად. გამარჯვებული წყვილები დაჯილდოვდნენ სამახსოვრო პრიზებით და დიპლომებით. კონკურსი მიმდინარეობდა ერთი თვის განმავლობაში.

ა.წ. მეოთხე კვარტალში პროგრამა „ჩვენი დილა“ განახლებული სტუდიით შეუდგა მუშაობას.

პროგრამას დაემატა ახალი რუბრიკა - „დილის საუბრები“, რომელსაც უძღვებოდა ჟურნალისტი ანი ნადირაძე. ეს რუბრიკა გულისხმობდა ყოველდღიურ შეხვედრებს ქართული საზოგადოების სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლებთან (პოლიტიკოსების გარდა). ეს რუბრიკა საკმაოდ რეიტინგული გახდა.

ფორმატმა კიდევ ერთი ახალი რუბრიკა დაიმატა - ეს არის **ფარული კამერა**, რომლისადმიც მაყურებელმა გამოიჩინა განსაკუთრებული ინტერესი. ამ რუბრიკამ გაახალისა თავად ეთერის მიმდინარეობა.

კიდევ ერთი ცვლილება - პროგრამაში გაჩნდა **პირდაპირი ჩართვების რუბრიკა**, რომელსაც ამზადებს ჟურნალისტი თამარ მუსერიძე. ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი რუბრიკა, რამდენადაც შესაძლებლობას იძლევა ყოველი მნიშვნელოვანი და მაყურებლისთვის საინტერესო ამბები პირდაპირ ეთერში მოვლენის მიმდინარეობის ადგილიდან გადაიციეს. ამ რუბრიკით ხშირია მუსიკალური ნომრების წარმოდგენებიც.

პროგრამაში დარჩა ტრადიციული რუბრიკები. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მთელი პროგრამის განმავლობაში ის რუბრიკები, რომლებიც შეიცავდნენ მაყურებლისთვის სასარგებლო ინფორმაციას „**რჩევები**“, **ჰოროსკოპი**“ „**დილის პრესა**“ „**ამიდის პროგნოზი**“, „**სპორტის მიმოხილვა**“) მეორდება მათთვის, ვინც პროგრამას გვიან შემოუერთდა.

პროგრამის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი რუბრიკა „**დილის რეცეპტი**“, გავიდა პროგრამის ფარგლებიდან და ცალკე დამოუკიდებელ გადაცემად ჩამოყალიბდა, რომელიც ჩაჯდა დღის ზოლში, მას შეეცვალა სახელწოდებაც - „**მარი მალაზონია-პირადი ექიმი**“.





პროგრამა „სამოთხის ვაშლებიც“ მეოთხე კვარტალში გადავიდა ახალ სტუდიაში და განაგრძო მუშაობა ჩვეულ ფორმატში. თუმცა ახალ სეზონში მოხდა მნიშვნელოვანი ცვლილებებიც - გადაცემაში შემოვიდა ვიზუალური საილუსტრაციო მასალაც იმ თემებზე, რომლის შესახებაც არის საუბარი. ასევე მოხდა კვირის თემატიკის სეგმენტირება: ყოველ ოთხშაბათს არის იურიდიული თემატიკა, ყოველი ხუთშაბათი არის მხოლოდ ინტერაქტიული, სტუმრის გარეშე და ყოველი პარასკევი ეთმობა მსოფლიოში და საქართველოში ცნობილი ქალების ცხოვრების და მოღვაწეობის მიმოხილვას, შესაბამისი სტუმრებით.

პროექტი "დღეს 13:30" ინფორმაციული, შემეცნებითი და ინტერაქტიულია. ოთხი წამყვანი: ქეთი ელიეშვილი, თიკო ბერძენიშვილი, ლადო ტატიშვილი, გიორგი ჩხეიძე - მაყურებელს საინტერესო ინფორმაციას მიაწვდის და საჭირო რჩევებს მისცემს. წამყვანები აუდიტორიას პოპულარული ენით აუხსნიან კონკრეტული მიღწევის, გამოგონების, ისტორიული მოვლენის მნიშვნელობას; გააცნობენ მსოფლიოს ქალაქებისა თუ ქვეყნების ტრადიცია-ჩვეულებებს და ა.შ.



დილის გადაცემების გაერთიანება 2012 წელს აღიჭურვა ახალი ტექნიკით: ვიდეოკამერებით და სამონტაჟო აპარატურით.

დოკუმენტური ფილმების სტუდია

2012 წლის განმავლობაში დოკუმენტური ფილმების რედაქციაში მომზადდა ეთერში გავიდა რამდენიმე დოკუმენტური ფილმი. ისინი თემატიკით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, რადგან მათი ნაწილი ისტორიული შინაარსისაა, ნაწილი ბიოგრაფიული, ასევე არის ფილმები, რომლებიც ე.წ. თავისუფალი თემების საფუძველზე იქმნება. გასული წლის განმავლობაში შექმნილი ფილმების ჩამონათვალი ასეთია:



მზიური – ბავშვთა ოცნების ქალაქი, (ფილმი მომზადდა რუბრიკით პროექტი და ასახავს ამ ქალაქის ისტორიას),

სამხატვრო აკადემია (ფილმი ასახავს შენობისა და ქართული მხატვრობის ისტორიას)

დისიდენტები (ასახულია ქართული დისიდენტური მოძრაობის ისტორია _ ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას დისიდენტური ცხოვრების საწყის ეტაპზე)

ორერა (ფილმი მიემდგვნა ლეგენდარული ანსამბლის ისტორიას)

საქართველოს იმედი (ფილმი ეძღვნება საქართველოს იმედის ხატის შექმნას, ქართული მინანქრის წარმოებას)

სამანი (ასახულია გასული საუკუნის 40-იან წლებში თუშეთში განვითარებული მოვლენები)

ადამიანი სტიქიის წინააღმდეგ (ფილმი ეხება ევროკომისიის საქმიანობას საქართველოში)

ხელით წერილი განძი (ფილმში ასახულია საქართველოს ხელნაწერთა ინსტიტუტის ისტორია და დღევანდელი მდგომარეობა)

ჯაზი საზღვრებს გარეშე (ფილმი ეხება კულტურის სამინისტროს მიერ განხორციელებულ პროექტს საქართველოს რეგიონებში ჯაზის გაკვეთილების შესახებ)

ლაგოდეხის ნაკრძალი (ფილმი მოგვითხრობს ამ ნაკრძალის ისტორიას)

თავისუფლების კუნძულები (ჯაზი), თავისუფლების კუნძულები (როკი) – (ფილმი ასახავს ჯაზისა და როკის, როგორც ახალი მუსიკალური ტენდენციების, შეზღუდვის მცდელობას ყოფილ საბჭოეთში)

ფეისბუქის ვირტუოზები (ასახავს ლიანა ისაკაძის მიერ დაფუძნებულ ფესტივალს, რომელიც გაიმართა გონიოში)

პოეტი – ქადაგი (ბიოგრაფიული ხასიათის ფილმია, რომელიც ასახავს ბესიკ ხარანაულის შემოქმედებას)

ულმერთოთა ღამე (მხატვრული ფილმია, რომელიც გასული საუკუნის 20-იან წლებში ჩამოყალიბებულ ანტირელიგიურ მოძრაობას _ ულმერთოთა კავშირს ეხება)

ცესკო – არჩევნები 2012 (გამუქებულია ცესკოს წინაარჩევნო სამზადისი და არჩევნები 2012-ს დღიურები).

2012 წლის განმავლობაში პარალელურად მიმდინარეობდა მუშაობა რამდენიმე დოკუმენტურ ფილმზე:

თავისუფლების ჯვაროსანი (ქართველ სამხედრო მოღვაწეზე _ დიმიტრი ამილახვარზე)

პარიზი _ გობელენების ქუჩა (ნოე რამიშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ)

სიყვარულის სასახლე (საქართველოს კინოს, თეატრის, მუსიკისა და ქორეოგრაფიის მუზეუმის დაარსებისა და იქ დაცული ნივთების ისტორია)

მკვლელი მთა, (ქართველი ალპინისტების ერთ-ერთი ექსპედიცია გამარჯვების პიკის დასალაშქრად)

სეგო (ფილმი მოგვითხრობს საქართველოს ეროვნულ-გამათავისუფლებელი ორგანიზაციისა და დისიდენტ ზაქარია ლაშქარაშვილის შესახებ)

სტალინის დედა, (სტალინის დედის კეკე ჯუღაშვილის მოგონებები შვილზე)

კატასტროფის ზღვარზე, ტრილოგია ეკოლოგიის თემაზე (ფილმები მოგვითხრობს საკვების, ჰაერისა და წყლის მდგომარეობაზე საქართველოში, მათგან გამოწვეულ დაავადებებსა და საგანგაშო სტატისტიკურ მონაცემებზე)

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, (ფილმი მოგვითხრობს 19-ე საუკუნის ქართველ მოღვაწეთა საქმიანობაზე წერა-კითხვის გავრცელებასთან დაკავშირებით)

ქართველი ლილიპუტები (საქართველოში მცხოვრები ლილიპუტების ცხოვრებისა და თავგადასავლების შესახებ)

ვაზის სიმფონია, (ფილმი გვიამბობს ქართული ღვინის დამზადების ერთწლიანი ციკლის შესახებ)

სომალი (ფილმი გვიამბობს ქართველ მეზღვაურთა ტყვეობაზე სომალიში 2010-2012 წლებში, და მათი გათავისუფლების ოპერაციის შესახებ).

ეს ფილმები მომზადდება და ეთერში გავა 2013 წელს.

თოქ-შოუ “ჩვენი ეზო”



პროექტი მზადდება “საქართველოს გაეროს ასოციაციასთან” თანამშრომლობით, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მხარდაჭერით, ეროვნული ინტეგრაციის პროგრამის ფარგლებში.

პროექტის მიზანია, საქართველოში მცხოვრები სხვა და სხვა ეროვნების ადამიანების საზოგადოებაში სამოქალაქო ინტეგრირების ხელშეწყობა და სახელმწიფოებრივი ერთიანობის გრძნობის გაღრმავება.

ყოველკვირეულ სატელევიზიო თოქ-შოუში საუბარია ქვეყანაში, კერძოდ, ეთნიკურად მრავალფეროვან რეგიონებში არსებულ პრობლემებზე, მათი მოგვარების პერსპექტივებზე, საერთო ღირებულებებსა და წარმატებული თანაცხოვრების მაგალითებზე.

პროექტის შემუშავებაზე, საზოგადოებრივი მაუწყებლის შემოქმედებით ჯგუფთან ერთად მუშაობდა ამერიკელი ჟურნალისტი და პროდიუსერი სტენ მეთიუსი, რომელსაც ამერიკის შეერთებულ შტატებში სატელევიზიო დებატების მომზადების დიდი გამოცდილება აქვს.

საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში გადაცემა გავიდა 2007 წლის 2 ივნისს. მას შემდეგ, 2012 წლის ივლისის ჩათვლით მომზადდა 186 გადაცემა.

თოქ-შოუ „ჩვენი ეზო“ 2007 წლის 2 ივნისიდან 2009 წლის დეკემბრამდე საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში გადიოდა სახელწოდებით „იტალიური ეზო“.

გასულ სატელევიზიო სეზონში 2011 წ. ოქტომბრიდან 2012 წ. ივლისის ჩათვლით საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში გავიდა 33 გადაცემა.

ტრადიციულად, ერთ-ერთი გადაცემა მიემდგვნა განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმებს, ბილინგვური სწავლების მეთოდოლოგიის დანერგვას, ეთნიკურად მრავალფეროვან რეგიონებში სახელმწიფო ენის შესწავლის პრობლემებსა და წარმატებებს.

ასავე ერთ-ერთი გადაცემა მიემდგვნა ერთიანი ეროვნული გამოცდების მიმდინარეობას და მათთან დაკავშირებულ ცვლილებებს.

„ჩვენი ეზო“-ს ერთ-ერთი მიმართულებაა, გააცნოს საზოგადოებას საქართველოში მცხოვრები სხვა და სხვა ერების და ეთნიკური ჯგუფების ისტორია, კულტურა და ჩვენი ქვეყნის განვითარებაში და აღმშენებლობაში შეტანილი მათი წვლილი. 2012 წ. მომზადდა გადაცემები საქართველოში მცხოვრებ ბერძნებზე, გერმანელებზე, პოლონელებზე, რუსებზე, ასურელებზე, უდებზე, ოსებზე და სხვა.

ერთი გადაცემა მიეძღვნა ჩერქეზთა გენოციდის ისტორიას და საქართველოში მცხოვრებ ჩერქეზებს.

გასულ სატელევიზიო სეზონში გადაცემათა თემატიკა ჩვეულების მრავალფეროვანი იყო. საუბარი იყო თბილისის რეკონსტრუქცია-რეაბილიტაციის პრობლემებზე, ტურიზის გამვითარებაზე და 2011 წლის სეზონის შედეგებზე, სოციალური ქსელების როლზე ჩვენს ცხოვრებაში და მათ მნიშვნელობაზე სხვა და სხვა ეროვნების ადამიანების ქართულ საზოგადოებაში ინტეგრირებაზე.

ძალიან საინტერესო გადაცემები იყო სადაც სტუმრები საუბრობდნენ ქსენოფობიაზე, სტერეოტიპებზე და რელიგიურ მრავალფეროვნებაზე, იმ პრობლემებზე, რომელიც არსებობს დღეს ჩვენს საზოგადოებაში.

ასევე რამდენიმე გადაცემა მიეძღვნა საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებს, კომსერვატორიას, სამხატვრო აკადემიას, ასევე საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკას და მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლეს. საუბარი იყო ამ დაწესებულებების როგორც წარსულზე, ასევე სამომავლო გეგმებზე.

„ჩვენი ეზო“-ს თემატიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სეგმენტია რეგიონებში მიმდინარე პროცესებზე საუბარი. 2012 წელს მომზადდა გადაცემები რეგიონულ თეატრებზე, მუზეუმებზე, რეგიონული მასმედიის პრობლემებზე, კერძოდ, მასმედიის განვითარებაზე სამცხე-ჯავახეთში და ქვემო ქართლში.

ასევე, რამდენიმე გადაცემა ახალგაზრდების პრობლემებს მიეძღვნა, აქ საუბარი იყო სტუდენტურ თვითშემოქმედებაზე, ახალგაზრდულ ბანაკებზე, ინტელექტუალურ თამაშებზე, ყველაფერ იმაზე რაც ხელს უწყობს ახალგაზრდების განვითარებას და მათ ინტეგრირებას საზოგადოებაში.

„ჩვენი ეზო“-ს სტუმრები იყვნენ: მომღერალი გენადი ბიტმალკიშვილი, სახალხო დამცველის ოფისთან არსებული ეთნიკური უმცირესობების საბჭოს ქსპერტი ედგარ ბითბუნოვი, ასოციაცია „უდი“-ს პრეზიდენტი სიმონ (მამული) ნეშუმაშვილი, საქართველოს ბერძენთა სათვისტომოს ახალგაზრდული ორგანიზაციის თავმჯდომარე ევგენია კოტანიდი, ვარშავის პოლიტიკური კვლევების ინსტიტუტის ხელმძღვანელი, პროფესორი ვოიციხ მატერსკი, ი.ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, საქართველოს პოლონელთა სათვისტომოს „პოლოია“, ხელმძღვანელი მარია ფილინა, ისტორიკოსი, პროფესორი ნიკო ჯავახიშვილი, ადვოკატი, ადამიანის უფლებათა დამცველი ლარისა დოროგოვა, „კავკასიური სახლის“ პროექტის „კავკასიოლოგიის სახალხო უნივერსიტეტის“ კოორდინატორი თამარ უჯუხუ, ისრაელის აღმოსავლეთის ქვეყნებთან თანამშრომლობის ინსტიტუტის დირექტორი აბრამ შმულევიჩი, პოლიტიკის ანალიტიკოსი თიკა ბაუმი, საქართველოს გერმანელთა ასოციაციის „აინუნგი“ პრეზიდენტი გარი აუგსტი, მაგისტრანტი მელსი ბადაკაშვილი, პედაგოგი ლილი საფაროვა, დიზაინერი თინათინ კიუტი, პროფესორი ნაირა ბეპიევი, საქართველოს ახალგაზრდა ოსთა კავშირის თავმჯდომარე გიორგი პლიევი, სახალხო დამცველთან არსებული ეროვნული უმცირესობების საბჭოს მდივანი ბელა ოსიპოვა, საქართველოს ქურთთა ახალგაზრდული კავშირის წევრი ბაია ახმედოვა, საქართველოს სომეხთა ეროვნული კონგესის ხელმძღვანელი მიხეილ ავაკიანი, ჟურნალის „რუსკი კლუბ“ რედაქტორი ალექსანდრე სვატიკოვი, ლიტერატორი ვლადიმერ გოლოვინი, მწერალი გივი შახნაზარი, სამოქალაქო ინტეგრაციის

ფონდის აღმასრულებელი დირექტორი ზაურ ხალილოვი, ეთნოსთა შორის თანასწორობისა და კონსოლიდაციის ანალიტიკური ცენტრის ხელმძღვანელი აგიტ მირზოევი, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორი გიორგი კეკელიძე, იესემის ინტერნეტ-კლუბის დამაარსებელი დავით ბირმანი, საქართველოს აზერბაიჯანელ სტუდენტთა ასოციაციის თავმჯდომარე სამირა ისმაილოვა, კინორეჟისორი ლილიანა ბლაგოევა, სახალხო დამცველთან არსებული ტოლერანტობის ცენტრის ხელმძღვანელი ბექა მინდიაშვილი და მრავალი სხვა საინტერესო ადამიანი.

2012 წლის ოქტომბრიდან შემოქმედებითმა ჯგუფმა მუშაობა დაიწყო გადაცემის ახალ ფორმატზე და შესაბამისად, დეკორაციისა და „შეფუთვის“ შეცვლაზე. შემოქმედებითი ჯგუფისგან დამოუკიდებელი, ტექნიკური მიზეზების გამო ეს პროცესი დროში გაიწელა, ამიტომ სასწრაფოდ შეკეთდა ძველი დეკორაცია და ამ ეტაპზე გადაცემა „ჩვენი ეზო“ ეთერში ძველი ფორმატით გადის. პარალელურად გრძელდება მუშაობა გადაცემის ახალ ფორმატაზე.

სოციალურ-საგანმანათლებლო მედიაპროექტი „ეტალონი“

გადის „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ I არხის ეთერში 2012 წლის 24 ნოემბრიდან ყოველ შაბათს (18:00) და მეორდება კვირას დილით 10:00 სთ-ზე.

გადაცემის ქრონომეტრაჟია 54-55 წუთი.



“ეტალონი“ სოციალურ-საგანმანათლებლო მედიაპროექტია. ყველაზე ეროვნული მედიაპროექტი “ეტალონი“ საქართველოში შექმნილი და დაპატენტებული გადაცემაა, რომელიც უკვე მეშვიდე წელია წარმატებით გადის საქართველოს ტელევიზორებში. პროექტი ეფუძნება მსოფლიოში უკვე საკმაოდ განვითარებულ მეცნიერების დარგს - მედიაპედაგოგიკას და მოწოდებულია ახალგაზრდებს თამამ-თამაშით გაუღვივოს ინტერესი ცოდნის მიღებისკენ.

ჰანოვერში, ევროპის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა აკადემიის კონფერენციაზე “ეტალონი“ დაჯილდოვდა ოქროს მედლითა და დიპლომით, როგორც მიღწევა და აღმოჩენა მედიაპედაგოგიკის სფეროში.

ვიქტორინის ტიპის შემეცნებითი გასართობი შოუ, რომელშიც მონაწილეობენ მოსწავლეები მთელი საქართველოდან (IX-XII კლასი).

„ეტალონი“ საქართველოში შექმნილი საავტორო გადაცემა, რომელიც ამ ტიპის სხვა პროექტებისგან მონაწილეთა ასაკობრივი დიაპაზონით, შევითხვების შედგენის სისტემით და მონაწილეთა შეფასების ქულათა სისტემით განსხვავდება. თამაშს იწყებს 10 მონაწილე, I ტურში დაისმება 10 შევითხვა თავისი 4 სავარაუდო პასუხით, II ტურში გადადის 6 მონაწილე და დაისმება 5 შევითხვა, ფინალში გადადის 3 მონაწილე, დაისმება 5 შევითხვა და მათ შორის ერთი იმარჯვებს.

24-25 ნოემბერი 2012 წელი

გადაცემაში მონაწილეობდნენ საჩხერის სხვადასხვა სკოლის წარმატებული მოსწავლეები. საპატიო სტუმრები: მანანა კობახიძე – საჩხერის მაჟორიტარი დეპუტატი. პარლამენტის ვიცე-სპიკერი; ივანე გოშაძე – საჩხერის გამგებელი;

01-02 დეკემბერი 2012 წელი

გადაცემაში მონაწილეობდნენ თბილისის ქართულ-ამერიკული უმაღლესი სკოლის წარმატებული მოსწავლეები. საპატიო სტუმრები: მამუკა მესხიშვილი – სკოლის დირექტორი; ზაზა ჩხაიძე – სპონსორი კომპანიის „ალბატროსის“ პრეზიდენტი და ადილ ტურსუნოვი – ყაზახეთის რესპუბლიკის ელჩი საქართველოში.

08-09 დეკემბერი 2012 წელი

გადაცემაში მონაწილეობდნენ ხობის რაიონის სხვადასხვა სკოლის წარმატებული მოსწავლეები. საპატიო სტუმრები: დავით ნარმანია – რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი; მარინა მიქაძე – ხობის განვითარების ფონდის აღმასრულებელი დირექტორი.

15-16 დეკემბერი 2012 წელი

გადაცემაში მონაწილეობდნენ თბილისის კერძო სკოლა „ივერიის“ წარმატებული მოსწავლეები. საპატიო სტუმრები: ნინო გერგიძე – სკოლის დირექტორი და ლევან ყიფიანი – სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა მინისტრი.

22-23 დეკემბერი 2012 წელი

გადაცემაში მონაწილეობდნენ საგარეჯოს რაიონის სხვადასხვა სკოლის წარმატებული მოსწავლეები. საპატიო სტუმრები: თინა ხიდაშელი – საგარეჯოს მაჟორიტარი დეპუტატი; გიორგი ლოლაძე – საგარეჯოს გამგებელი; მანანა ცუცქერიძე – საგარეჯოს საგანმანათლებლო რესურს-ცენტრის უფროსი.

29-30 დეკემბერი 2012 წელი

გადაცემაში მონაწილეობდნენ ჩოხატაურის რაიონის სხვადასხვა სკოლის წარმატებული მოსწავლეები. საპატიო სტუმრები: იუვალ ფუქსი – ისრაელის ელჩი საქართველოში, მანანა ჯინჭარაძე – ჩოხატაურის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი; ვანო გოგლიძე – სპონსორი კომპანიის „კულას“ დამფუძნებელი.

31 დეკემბერი 2012 წელი, 2 იანვარი 2013 წელი

ე.წ. არაგემიური გადაცემა, რომელიც სადღესასწაულო დღეებში მზადდება და მასში მოსწავლეების ნაცვლად სხვადასხვა პროფესიის წარმატებული ადამიანები მონაწილეობენ. ამჯერად საახალწლო „ეტალონში“ მინისტრებმა ითამაშეს, გადაცემაში მონაწილეობდნენ: ფინანსთა მინისტრი ნოდარ ხადური, რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი დავით ნარმანია, დევნილთა მინისტრი დავით დარახველიძე, სახელმწიფო მინისტრი რეინტეგრაციის საკითხებში პაატა ზაქარეიშვილი, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი ლევან ყიფიანი და კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი გურამ ოდიშარია.

გადაცემა - „ეკონომ-მენიუ“



„ეკონომ-მენიუ“ – ერთსაათიანი მასტერკლასი სამზარეულოში მათთვის, ვისაც სურს მოამზადოს საჭმელი მარტივად და გემრიელად, თანაც ისე რომ ბევრი არ დახარჯოს.

რეალთი შოუ ეკონომ – მენიუ BBC-ის კიდევ ერთი სატელევიზიო შოუა, რომლის ქართული ანალოგიც პირველ არხზე გაკეთდა. გადაცემას ორი წამყვანი ყავს, ისინი პროფესიონალი მზარეულები არიან. თითოეულ ეპიზოდში შემოქმედებით ჯგუფი არჩევს ოჯახს, რომელსაც კვებასთან დაკავშირებული კონკრეტული პრობლემა აქვს. გადაცემის განმვალობაში წამყვანები ცდილობენ ოჯახის წევრებს დაეხმარონ იმის გააზრებაში თუ რას აკეთებენ არასწორად, შემდეგ კი უკვე მათთან ერთად ცდილობენ კვების სისტემის მოწესრიგებას. ასეთ დროს წამყვანები კვების, საყიდლების დაგეგმვის, პროდუქტის რაოდენობის განსაზღვრის სპეციალურად შემუშავებულ სტრუქტურას იყენებენ. ადგენდნენ შესაბამის მენიუს, რომელშიც გათვალისწინებულია, ოჯახის ბიუჯეტი, კვების რეჟიმი, ოჯახის წევრთა რაოდენობა და მათი გემოვნება.

პირველი ეპიზოდი

ეთერში გასვლის დრო: 21.01.2012

გადაცემის გამრეები: ელენე მალაზონია, ლევან ასათიანი

გადაცემის წამყვანები ახალგაზრდა წყვილს კვებასთან და პროდუქტის შექმნასთან დაკავშირებული მავნე ჩვევების მოშორებაში ეხმარებიან. ვახომ და თამთან გადაცემის გამრეებს ასწავლეს, როგორ დაეგეგმათ საყიდლები ისე, რომ შექმნილი პროდუქტი არ გაფუჭდებოდეს და არ გადევარათ. საყიდლების დაგეგმვის წორი სტრუქტურის შემუშავების შემდეგ ოჯახმა მნიშვნელოვანი თანხა დაზოგა.

მეორე ეპიზოდი

ეთერში გასვლის დრო: 28.01.2012

გადაცემის გამრეები: მაია ჩიგოგიძე, გიორგი გოგაძე (5 წევრი)

ახალი წესები ტრადიციული ოჯახის ტრადიციულ სამზარეულოში, გადაცემის წამყვანებმა ოჯახის წევრები დაარწმუნეს, რომ მათ მიერ შექმნილი პროდუქტის ნახევარიც საკმარისია გემრიელი კერძების მოსამზადებლად და დიდი ოჯახის დასანაყრებლად. ხოლო ტკბილეული, რომელსაც ძირითადად ძვირადღირებულ კაფეებსა და საკონდიტროებში ყიდულობდნენ სახლშიც შესაძლებელია მომზადდეს.

მესამე ეპიზოდი

ეთერში გასვლის დრო: 04.02.2012

გადაცემის გამრეები: ბექა კუნდელიანი, ზურა ქურციკაშვილი

ორი სტუდენტის სამზარეულო მზარეულის გარეშე, გადაცემის გამრეები ყოველთვის მზა პროდუქტებით იკვებებიან, სამზარეულოს მხოლოდ თვის ბოლოს უბრუნდებიან რადგან მთელი თვის განმავლობაში უყაირათო ხარჯვის გამო მხოლოდ მაკარონის მოსამზადებლად რჩებათ ფული. ეკონომიკურ დახმარებით ისინი სწავლობენ როგორ უნდა გაანაწილონ ფული თვის განმავლობაში და იმასაც, რომ სახლში მომზადებული კერძები უბრალოდ მოხარშულ მაკარონზე გემრიელი შეიძლება იყოს. ამ ეპიზოდში გადაცემის წამყვანებმა შეადგინეს სტუდენტური მენიუ, ჯანმრთელი, სწრაფად მოსამზადებელი კერძებით, რომლებიც ძვირი არ ჯდება.

მეოთხე ეპიზოდი

ეთერში გასვლის დრო: 18.02.2012

გადაცემის გამრეები: თამთა კომახიძე, ალექო (ოთხი წევრი)

ახალგაზრდა ოჯახი ცალკე გადადის საცხოვრებლად, მშობლების დახმარების გარეშე დარჩენილი დიასახლისი მარტო უნდა გაუმკლავდეს სამზარეულოს თავსატეხს, გადაცემის წამყვანები დიასახლისის ისეთი მენიუს შედგენაში ეხმარებიან, რომლითაც ოჯახის ყველა წევრი კმაყოფილი დარჩება.

მეხუთე ეპიზოდი

ეთერში გასვლის დრო: 25.02.2012

გადაცემის გამირები: თეო ქავთარაძე, ნინო ქავთარაძე.

თეო, ეპიზოდის მთავარი გამირი, არ ამზადებს და თავს იმით იმართლებს რომ მისი გაკეთებული საჭმელი არასოდეს არის გემრიელი. ნინომ, თეოს დამ გადაწყვიტა ეკონომმენიუს დამხარებით დაარწმუნოს თეო რომ თუ საჭმელს არასოდეს მოამზადებს ვერ მიხვდება კარგი ხელი აქვს თუ არა. მთელი ეპიზოდის განმავლობაში ვახო და თამთა ცდილობენ თეო სამხარეულოში შეიტყუონ და საბოლოოდ იმასაც მიაღწევენ, რომ თეომ ნინოს დამოუკიდებლად მოუმზადოს სადილი.

მექვსე ეპიზოდი

ეთერში გასვლის დრო: 03.03.2012

გადაცემის გამირები: მაიკო ნავროზაშვილი, დავით გოგოლაძე, ლალი, კარლო გოგოლაძე

დათო ხორცის მოყვარულია. ხორცის შერჩევაც იცის და კარგადაც ამზადებს, თუმცა მხოლოდ ტრადიციულ კერძებს. დათოს მეუღლე, მაიკო კულინარიით არის გატაცებული. გოგოლაძეების ტრადიციულ სამხარეულოში ახალგაზრდა ცოლ-ქმარი ვახოს და თამთას დახმარებით კულინარიულ ექსპერიმენტებს ჩაატარებს და დარწმუნდება, რომ ხანდახან ტრადიციულ მენიუსაც სჭირდება გადახალისება.

მეშვიდე ეპიზოდი

ეთერში გასვლის დრო: 17.03.2012

გადაცემის გამირები: ელენე ასათიანი, ირაკლი ზიბზიბაძე. (ოთხი წევრი)

ელენე კარგად ამზადებს, მაგრამ მოუცლელობის გამო ბოლო დროს მხოლოდ ნახევარფაბრიკატებს ყიდულობს ოჯახისთვის. სამხარეულოსთვის დრო ამ ოჯახში თითქმის არავის რჩება. მშობლებს ურჩევნიათ დარჩენილი თავისუფალი დრო, ბავშვებთან ურთიერთობას დაუთმონ, ეკონომ-მენიუს ვიზიტის შემდეგ დიასახლისი დარწმუნდა, რომ კულინარია სახალისოა, ოჯახის წევრებს შორის კომუნიკაციას უწყობს ხელს და უფრო მეტიც კულინარიის მეშვეობით დიასახლისს შეუძლია ოჯახის წევრებს სითბო და ყურადღება თანაბრად გაუნაწილოს.

მერვე ეპიზოდი

ეთერში გასვლის დრო: 24. 03. 2012

გადაცემის მთავარი გამირები: გიორგი გამეზარდაშვილი, თამარა გამეზარდაშვილი (3 წევრი)

ამ ოჯახში განსაკუთრებით უყვართ პურ-ფუნთუშეული, დიასახლისს კი უკვე რამდენიმე წელია ფქვილი არ შეუძენია. ფუნთუშებს ის გამზადებული ცომისგან აცხობს, რომელსაც სხვადასხვა ჰიპერმარკეტებში დიდი რაოდენობით ყიდულობს და თავიდან ყინავს. გიორგის ძალიან უყვარს გემრიელი საჭმელი, მაგრამ არაფერის მომზადება არ იცის. ეკონომ-მენიუმ დიასახლისს ასწავლა თუ

როგორ მოამზადოს ნახევარ ფაბრიკატი ცომი თვითონ, ისე რომ ფქვილთან ყოველდღიური ურთიერთობა თავიდან აიცილოს, ხოლო გიორგი დაარწმუნეს რომ შედარებით მარტივი კერძების საკუთარი ხელით მომზადება სასარგებლოც არის და სახალისოც.

მეცხრე ეპიზოდი

ეთერში გასვლის დრო: 31. 03. 2012

გადაცემის გმირები: ლიკა ნაცვლიშვილი, ეკა ელბაქიძე.

ლიკა მარტოხელა დედაა, მიუხედავად იმისა, რომ მთელი დღე მუშაობს, ძალიან მოწესრიგებული დიასახლისია, სადილს სამსახურში წასვლამდე ამზადებს და სამსახურიდან მოსვლისთანავე ზრუნავს ვახშამზე. ლიკას სამზარეულოში ტრიალიც უყვარს და კულინარიაც, რასაც ვერ ვიტყვით ეკაზე, ლიკას ქალიშვილზე. ლიკამ გადაწყვიტა ეკა სამზარეულოში ეკონომ-მენიუს დახმარებით შეიტყუოს. ასე მოამზადა ეკამ წვნიანი დამოუკიდებლად, როდესაც სახლში მოსულს გამზადებული სადილი არ დახვდა, შემდეგ კი დიდი სიამოვნებით ჩაერთო საყიდლების დაგეგმვის, პროდუქტის შეძენის პროცესში. გადაცემის ბოლოს კი დარწმუნდა, რომ ის რაც უყვარს, შეუძლია თვითონვე შეიძინოს და მოამზადოს.

მეთე ეპიზოდი

ეთერში გასვლის დრო: 07. 04. 2012

გადაცემის მთავარი გმირები: სოფიო ნიკოლაძე, ნიკოლოზ თათანაშვილი, იოანე თათანაშვილი (სულ 7 წევრი)

სოფოს და ირაკლის ხუთი შვილი ჰყავთ. მშობლები მუშაობენ, ამიტომ ბავშვები პატარაობიდანვე დამოუკიდებლად ცხოვრებას შეეჩვივნენ. საქმე გადანაწილებული აქვთ, სამზარეულო შუათანა შვილს იოვანეს აქვს ჩაბარებული , სადაც ის მშობლების არყოფნის დროს ბევრს საინტერესო ექსპერიმენტს ატარებს. სოფოს მიაჩნია, რომ სამზარეულოში გატარებული დრო დაკარგული დროა, ამიტომ ყოველთვის ნახევარ ფაბრიკატებს ან მზა საჭმელს ყიდულობს და დარწმუნებულია, რომ მის მდგომარეობაში ეს ერთადერთი სწორი გამოსავალია. სოფომ ეს ეკონომ-მენიუსთან ერთად აღმოაჩინა, რომ მის გაკეთებულ საჭმელს მარტო დარჩენილი ბავშვები ჩუმად ყრიან. ვახომ და თამთამ გადაწყვიტეს იოანეს დაუმეგობრდნენ და მას თავისი კულიარიული გამოცდილება გაუზიარეს, დედის არყოფნაში მას უფრო მრავალფეროვანი კერძების მომზადება რომ შეეძლოს და ის საჭმელი გააკეთოს, რომელსაც ყველა შეჭამს.

მეთერთმეტე ეპიზოდი

ეთერში გასვლის დრო: 14. 04. 2012

გადაცემის მთავარი გმირები: ილია ზაქარიაშვილი, ნინო ზაქარიაშვილი, მაგდა ზაქარიაშვილი, გვანცა ზაქარიაშვილი, ციალა ზაქარიაშვილი.

საადდგომოდ ეკონომ-მენიუ სოფელ ჭალაში, ზაქარიაშვილების ოჯახს ესტუმრა და მათთან ერთად ჩაერთო სადღესასწაულო სუფრის მზადებაში... თამთას და ვახოს მიზანი იყო, რომ ტრადიციული

კერძებით დატვირთული სუფრა ახალი და საინტერესო კერძებით გადაეხალისებინათ. ოჯახის უზუცესი წევრისგან მათ ბევრი საინტერესო კულინარიული საიდუმლო შეიტყვეს, თუმცა სრულიად შემთხვევით აღმოაჩინეს, რომ მიუხედავად ტრადიციულობისა ზაქარიაშვილები სახლში პასკას არ აცხობენ. სწორედ ამიტომ ტრადიციულ და ახალ სადღესაწაულო კერძებს თამთამ ოჯახურ პირობებში გამომცხვარი უგემრიელესი პასკის რეცეპტიც დაურთო.

მეთორმეტე ეპიზოდი

ეთერში გასვლის დრო: 21. 04. 2012.

გადაცემის მთავარი გმირი: თინა გოგოლაძე.

თინა სტუდენტია და მარტო ცხოვრობს, მისი დღის რაციონი მარტივია: თუ სახლშია კვერცხ ჭამს, გარეთ კი ცომეულით იკვებება. თითქმის ვერასოდეს ასწრებს, რომ კარგად ისაუზმოს, სადილად გარეთ ჭამს, ვახშმად კი კვერცხის მომზადება ერთადერთი სწრაფი გამოსავალია. მეგობრებს არ სჯერათ, რომ თინა ოდესმე რამის მომზადებას შეძლებს. არასწორი კვების გამო თინას ჭარბწონიანობა აწუხებს და მიაჩნია, რომ ამ პრობლემის მოგვარება მხოლოდ მკაცრი დიეტით არის შესაძლებელი. თამთა და ვახო თინას კვირის მენიუს შეუდგენენ და რამდენიმე მსუბუქი მაგრამ ჯანსაღი კერძის მომზადებას ასწავლიან, დაარწმუნებენ, რომ კვერცხი ბევრი საინტერესო კერძის ინგრედიენტად შეიძლება იქცეს, ამის შემდეგ თინა მისი კულინარიული შესაძლებლობების მიმართ ყველაზე სკეპტიკურად განწყობილ მეგობრებს დაპატიჟებს და დამოუკიდებლად მოუმზადებს გემრიელ სადილს.

მეცამეტე ეპიზოდი

ეთერში გასვლის დრო: 05. 05. 2012.

გადაცემის მთავარი გმირები: გრიგოლ ჩიგოგიძე, ნინო ჩიგოგიძე, ილია ჩიგოგიძე, ნიკა ჩიგოგიძე.

ეკონომ-მენიუს მთავარი მიზანი ჩიგოგიძეების ოჯახში, დიასახლისის შრომის შემსუბუქებაა. ნინოს კულინარია უყვარს, მაგრამ ოჯახის ყველა წევრის გემოვნება რომ გაითვალისწინოს, დღეში რამდენიმე კერძი უნდა მოამზადოს, რაც ძალიან არაეკონომიური და დამღლელია. ნინომ თავიდანვე გადაწყვიტა, რომ სამზარეულოს მხოლოდ თვითონ უნდა გაუძღვეს, მაგრამ დროთა განმავლობაში აღმოაჩინა რომ მისი ოჯახის წევრები ძალიან გაზარმაცდნენ და ნინოს გარეშე ჩაისაც ვეღარ მოადუღებენ. თამთას და ვახოს დახმარებით ნინომ ოჯახის რეცეპტების წიგნს ბევრი ისეთი კერძი შემატა, რომელიც ოჯახის ყველა წევრის გემოვნებას აკმაყოფილებს, ვახომ კი ნინოს უფროსი შვილი ილია ჩიგოგიძე შეიტყუა სამზარეულოში და რამდენიმე მარტივი ინგრედიენტით ასევე მარტივი ხემსის მომზადება ასწავლა და დაარწმუნა, რომ აუცილებელი არ არის იშიმშილოს იმ შემთხვევაში თუ დედა სახლში არ იქნება.

მეთოთხმეტე ეპიზოდი

ეთერში გასვლის დრო: 19.05. 2012.

გადაცემის მთავარი გმირები: ირაკლი ღულუნიშვილი, ნიკა ღულუნიშვილი.

ირაკლი და ნიკა ტყუპები არიან, ორივე ფოტოგრაფია და შეიძლება ითქვას რომ სახლის ნაცვლად სულ სტუდიაში ცხოვრობენ. ცოტა ხნის წინ ახალ სტუდიაში გადავიდნენ, სტუდიაში ყველაფერი ახალია კარგად აღჭურვილი სამზარეულოს ჩათვლით, სადაც როგორც აღმოჩნდა მხოლოდ ყავას ან ჩაის სვამენ შესვენების დროს, ან გამოძახებულ პიცას შეექცევიან იმ შემთხვევაში თუ, საჭმელად გარეთ გასვლის დრო არ აქვთ. ურეჟიმო კვების გამო ძმები ჯანმრთელობის პრობლემებს უჩივიან და ამბობენ რომ ასეთი კვება მათთვის ფინანსურადაც აღარ არის ხელმისაწვდომი.

ვახომ და თამთამ გადაწყვიტეს სტუდიის სამზარეულო გამოსცადონ. ეკონომ-მენიუს მზარეულებმა ტყუპებს სპეციალური მენიუ შეუდგინეს და ასწავლეს როგორ გამოიყენონ სამზარეულო რომელიც ოჯახურ სამზარეულოს გავს, მაგრამ სამსახურში აქვთ.

მეთხუთმეტე ეპიზოდი

ეთერში გასვლის დრო: 26. 05. 2012

გადაცემის მთავარი გმირები: რუსუდან კობახიძე, ვახო კალატოზიშვილი, ლუკა კალატოზიშვილი (სულ შვიდი წევრი)

რუსუდანს და ვახოს ხუთი შვილი ჰყავთ, ბავშვებს თითქმის არაფერი უყვართ შემწვარი კარტოფილისა და მაკარონის გარდა. არ ჭამენ ხორცს, თევზს და ორგანიზმისთვის საჭირო სხვა პროდუქტებს. ეკონომ-მენიუმ აღმოაჩინა, რომ პრობლემა ხორცის ან თევზის გემოში კი არ არის, არამედ ამ პროდუქტებით მომზადებული კერძების რეცეპტში, ამ გადაცემაში ვახომ და თამთამ ოჯახის დიასახლისს და მაცურებელს ასწავლეს როგორ უნდა დამუშავდეს და შეზავდეს პროდუქტი ისე, რომ არ ჰქონდეს სპეციფიკური, მკვეთრად გამოხატული გემო და სურნელი.

მეთექვსმეტე ეპიზოდი

ეთერში გასვლის დრო: 02.06. 2012.

გადაცემის მთავარი გმირები: ზურა ჯავახია , გიორგი მარი, გიორგი ერგემლიძე,

ცნობილი მუსიკალური ჯგუფი „ზურგი“ კონცერტისთვის ემზადება და მთელ დღეებს სარეპეტიციოში ატარებს. აქ ყველაფერი აქვთ, კარგი სამუშაო გარემო, ინსტრუმენტები და საათობით შეუძლიათ დაუკრან ისე, რომ არავინ შეაწყუბონ. მათი სარეპეტიციო დასახლებული ადგილიდან მოშორებულ შენობაშია, ეს ერთი მხრივ კომფორტულია, მეორე მხრივ კი მოშიებულ მუსიკოსებს სერიოზულ პრობლემებს უქმნის იმიტომ, რომ საჭმელი ახლოს არსად იყიდება. ჯგუფის ერთ-ერთი წევრი ვეგანია, რაც იმას ნიშნავს, რომ ცხოველური საკვების მიღება არ შეუძლია. თამთამ და ვახომ გადაწყვიტეს მუსიკოსებს სურპრიზი მოუწყონ, კონცერტამდე რამდენიმე დღით ადრე გემრიელი კერძების ნახევარ ფაბრიკატები მოამზადეს და პირდაპირ სარეპეტიციოში ესტუმრნენ, სადაც კერძები სახელდახელოდ დაასრულეს და რამდენიმე საათიანი რეპეტიციის შემდეგ დალლილ მუსიკოსებს გაუმასპინძლდნენ. კონცერტის დღეს კი თამთამ ბიჭებს სადღესასწაულო ტორტი გამოუცხო და კონცერტის წარმატებულად დასრულებას მიულოცა.

მეჩვიდმეტე ეპიზოდი

ეთერში გასვლის დრო: 16 06. 2012.

გადაცემის გმირები: ნატა ნაცვლიშვილი, აჩო ნაცვლიშვილი (4 წევრი)

ნატა ახალგაზრდა დიასახლისია, ოჯახის დღის რაციონზე ზრუნვა მას ევალება, კულინარია აინტერესებს, მაგრამ უჭირს განსაზღვროს რა რაოდენობის პროდუქტი დასჭირდება კვირის განმავლობაში, შეძენილი პროდუქტი ან აკლდება ან იმდენად ბევრია, რომ ფუჭდება და გადაყრა უწევს. ეკონომ მენიუს მზარეულები ნატას საყიდლების დაგეგმვის მარტივი სისტემის შემუშავებაში ეხმარებიან; საყიდლებზე წასვლამდე ნატამ უნდა მოიფიქროს რომელ ძირითად კერძებს გააკეთებს კვირის განმავლობაში და იყიდოს მხოლოდ ამ კერძებისთვის საჭირო პროდუქტზე ოდნავ მეტი.

მეთვრამეტე ეპიზოდი

ეთერში გასვლის დრო: 23.06. 2012.

გადაცემის მთავარი გმირები: თინათინ შველიძე, ირაკლი ნატრიაშვილი. (სულ ხუთი წევრი)

ეკონომ–მენიუ საქართველოს რაგბის ეროვნული ნაკრების მოთამაშეს ირაკლი ნატრიაშვილს და მის ოჯახს ესტუმრა. ირაკლი თავისი პატარა ოჯახით საფრანგეთში ცხოვრობს და საქართველოში იშვიათად ჩამოდის. ირაკლის მეუღლე თინა დამოუკიდებლად უძღვება ოჯახს, მაგრამ საქართველოში რომ ბრუნდება, სამზარეულოში თავს უფრო სტუმრად გრძნობს, ვიდრე ნამდვილ დიასახლისად . ირაკლის და თინას საფრანგეთში გამგზავრებამდე სულ ცოტა დრო რჩება, ამიტომ თინამ გადაწყვიტა თამთას და ვახოს დახმარებით ოჯახს გემრიელი ვახშამით გაუმასპინძლდეს და ოჯახის მთავარი კულინარი, დედამთილი გააოცოს.

მეცხრამეტე ეპიზოდი

ეთერში გასვლის დრო: 30.06.2012.

გადაცემის მთავარი გმირები: თეო ქავთარაძე და მისი მოლაშქრე მეგობრები.

ეკონომ–მენიუს ფინალურ ეპიზოდში, თამთა და ვახო, მაცურებლისთვის უკვე კარგად ნაცნობ გმირს თეო ქავთარაძე უბრუნდებიან, ამჯერად მოქმედება მასთან სახლში კი არ ხდება, არამედ ქალაქგარეთ, ლაშქრობაში. თეო და მისი რამდენიმე მეგობარი დიდი ხანია ლაშქრობით არიან გატაცებულები, მათთვის ეს დასვენების და გართობის საუკეთესო საშუალებაა, თუმცა დღემდე გადაუჭრელია ლაშქრობაში კვების პრობლემა, მშრალი უგემური საჭმელი მალე თავდება, დღის ბოლოს მოლაშქრეთა ნახევარი მშვიერია და ერთი სული აქვს შინ როდის დაბრუნდება. თეომ გადაწყვიტა კიდევ ერთხელ ისარგებლოს ეკონომ–მენიუს დახმარებით, ლაშქრობასთან დაკავშირებული კვების პრობლემა რომ მოაგვაროს. თამთამ და ვახომ შეადგინეს ლაშქრობის მენიუ: მსუბუქი, სატარებლად ადვილი პროდუქტი და ნახევარფაბრიკატები, რომლებიც მოლაშქრეების რაოდენობაზე ზუსტად იყო გათვლილი, მოლაშქრეების დროულად დაპურების გარდა მათ უნდა დაერწმუნებინათ ისინი, რომ ბუნებაში, სადაც არც კარგად აღჭურვილი სამზარეულოა და არც ჭურჭელია, გემრიელად მომზადება შეუძლებელი არ არის.

მარკეტინგის სამსახური

1. ცალკეული პროექტებისთვის ყოველთვის მზადდება მიზნობრივი აუდიტორიის ანალიზი
2. გადაცემების პროდიუსერებს თითოეული გადაცემის ეთერში გასვლის შემდეგ ეგზავნებათ სარეიტინგო მონაცემები: გადაცემების აუდიტორიის განაწილება 5 წუთიანი დროითი სეგმენტების და მიზნობრივი ჯგუფების მიხედვით
3. ყოველდღიურ რეჟიმში მიმდინარეობს სატელევიზიო ბაზრის, საზოგადოებრივი მაუწყებლის და სხვა ტელეარხების გადაცემების მონიტორინგი და ანალიზი. მონიტორინგი ხორცილდება “people meters”-ების საშუალებით. მზადდება სარეიტინგო მასალა ტელეგადაცემების დინამიკის შესასწავლად. მიღებული მონაცემები ყოველდღიურად ეგზავნება არხის ხელმძღვანელობას.
4. განახლდა ორგანიზაციების საინფორმაციო ბაზა, რომლებთანაც ჩვენ გვაქვს მუდმივი კავშირი და მათ სისტემატურად ეგზავნებათ მათთვის საჭირო ინფორმაცია ახალ პროექტებსა და სარეკლამო აქტივობებთან დაკავშირებით. ამ ჯგუფებთან სისტემატური თანამშრომლობა გვიადვილებს მათთან მუშაობას სასპონსორო მიმართულებით. ეს პირდაპირ კავშირშია Fundraising-თან, რაც ამ ეტაპზე ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა.
5. ზაფხულის ოლიმპიური თამაშებისთვის და ფეხბურთის ევროპის ჩემპიონატისათვის შემუშავდა რამდენიმე ტალღიანი საინფორმაციო გზავნილი, რომელიც ეტაპობრივად ეგზავნებათ პოტენციურ რეკლამის განმთავსებლებს. ამ აქციის მიზანია ოლიმპიადის და ფეხბურთის ჩემპიონატების პოპულარიზაცია და რეკლამის განმთავსებლების დაინტერესება საზოგადოებრივი მაუწყებლის ამ პროდუქტებით.
6. **საკონტროლო რეიტინგის დადგენა.** საკონტროლო რეიტინგი გულისხმობს სპეციალური მიდგომის შემუშავებას ყველა სატელევიზიო პროდუქტისადმი. გასათვალისწინებელია რამდენიმე მნიშვნელოვანი პარამეტრი:
 - გადაცემის მიზნობრივი ჯგუფი. (ამის დათვლა მოხდება მედიაკვლევების საშუალებით მიღებული მონაცემებით)
 - გადაცემის ეთერში გასვლის დრო
 - კონკურენტი არხების პროგრამირება-სატელევიზიო ბადე

ამ ძირითადი პარამეტრების გათვალისწინებით შემუშავდება სპეციალური გამოთვლის სისტემა, რომელიც თითოეული სატელევიზიო პროექტის მონიტორინგის საშუალებას მოგვცემს. ყველა გადაცემისათვის დადგინდება საშუალო საკონტროლო რეიტინგი. გადაცემები, რომელიც ზღვრული რეიტინგის ქვემოთ აღმოჩნდება, დაანალიზდება დეტალურად თვისობრივი კვლევის საშუალებით, რაც საშუალებას მოგვცემს რეალურად შევაფასოთ ტელეპროდუქტი და მიღებული რეკომენდაციების მიხედვით ცვლილებები შევიტანოთ.

7. ყველა საერთაშორისო პროექტზე სისტემატურად მზადდება რეპორტები და ეგზავნებათ საერთაშორისო ორგანიზაციებს.
8. ყოველკვირეულად მზადდება ყველა სპონსორიანი გადაცემის ანონსების ანალიზი.

9. შედგა გადაცემა „გააგრძელე საქართველოს ისტორია“-ს გარე სარეკლამო კამპანია, მონაწილეობა მივიღეთ ბილბორდების დიზაინის შექმნაში, შეირჩა განთავსების ადგილები და თბილისის მასშტაბით გაიკრა ბილბორდები.
10. მზადდება პირველი არხისა და კონკურენტი არხების შედარებითი ანალიზი დილის და დღის ზოლის პროგრამირებისათვის. მიმდინარეობს მუშაობა ბადეში გადაცემების განთავსების ეფექტური დროების დასადგენად.
11. მომავალი სატელევიზიო სეზონისათვის განვიხილეთ სხვადასხვა კომპანიის სატელევიზიო ფორმატები. გავანალიზეთ ისინი ტელეაუდიტორიის მოთხოვნების და სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დადგენილი პრიორიტეტების მიხედვით. ყოველივე ამის გათვალისწინებით ახალი სეზონისთვის შევარჩიეთ რამდენიმე ტელეპროექტი.
12. შემუშავდა საანონსო სისტემა, რომელიც წარედგინა პროდიუსერებს. პრეზენტაციის მსვლელობისას განვიხილეთ არსებული და ახალი საანონსო სისტემა.
13. მიმდინარეობს მუშაობა ახალი სატელევიზიო ფორმატების მოსამიებლად საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დადგენილი პრიორიტეტების შესაბამისად.
14. მონაწილეობა მივიღეთ ჟურნალ „მაუწყებელში“ სარეკლამო ფასების დადგენაში.
15. განვახორციელეთ გადაცემა „ეკონომ მენიუ“-ს მონიტორინგი, მოვამზადეთ რეკომენდაციები და წარვუდგინეთ გადაცემის შემოქმედებით ჯგუფს, მათთან ერთად განვიხილეთ არსებული მდგომარეობა, სამომავლო გეგმები და პერსპექტივები
16. განვახორციელეთ გადაცემა „გააგრძელე საქართველოს ისტორია“-ს მონიტორინგი, მოვამზადეთ ანალიზი.
17. მომზადდა და 6 აპრილს სასტუმრო „ჰოლიდი ინ“-ში ჩატარდა ახალი სეზონის გადაცემების პრეზენტაცია მოქმედ და პოტენციურ პარტნიორებთან წარსადგენად 6 აპრილს სასტუმრო „ჰოლიდი ინ“-ში.
18. ლატარიის კომპანიისათვის გადაცემა „ლოტოს“ ეთერში გასვლის დროის შესარჩევად “people meters“-ების საშუალებით ჩატარდა ტელეაუდიტორიის ქცევის ანალიზი
19. ელიტ ელექტრონიქსის გადაცემის საეთერო დროსი დასადგენად “people meters“-ების საშუალებით ჩატარდა ტელეაუდიტორიის ქცევის ანალიზი
20. რაოდენობრივი კვლევების მონაცემების ანალიზზე დაყრდნობით, განისაზღვრა საზოგადოებრივი რადიოს დემოგრაფიული ჭრილი.
21. მომზადდა სასაჩუქრე პაკეტები (ჩანთა, ბლოკნოტი, კალამი, მეხსიერების ბარათი, თერმოჭიქა) ევროვიზიის კონკურსზე გასაგზავნად, საზ. მაუწყებლის პრომოუშენისათვის. მონაწილეობა მივიღეთ დიზაინის შექმნაში.
22. 24 მაისს, დაიგეგმა და განხორციელდა ევროვიზიის მხარდამჭერი პრომო აქცია. კუს ტბაზე შედგა ეროვიზიის პირველი ტურის ჩვენება, რომელსაც წინ უსწრებდა მთელი დღის მანძილზე ევროვიზიის მხარდასაჭერი - მარათონი, კონცერტი. აღნიშნული ღონისძიებიდან გაკეთდა პირდაპირი ჩართვები „ჩვენ დილაში“ და სიუჟეტი „მომბეში“.
23. დაიგეგმა და განხორციელდა „ევრო 2012“ პრომოუშენი, რომელიც სრულიად განსხვავებული ფორმატით ჩატარდა და შეიძლება ერთგვარ ნოვაციად ჩაითვალოს ქართულ ტელევიზორცეში.

24. „ევრო 2012“ მიმდინარეობის მანძილზე მარკეტინგის სამსახური საზოგადოებასთან ურთიერობის სამსახურთან ერთად ორგანიზებას უკეთებდა „პირველი არხის“ ფანკლუბს „ივენტ ჰოლში“. ჩემპიონატის მატჩების წინ მზადდებოდა პირდაპირი ჩართვები „ივენტ ჰოლიდან“ გადაცემაში „საფეხბურთო მიმოხილვა“.
25. 2012 წლის „ჩემპიონთა ლიგის“ მიმდინარეობის განმავლობაში პირველი არხის სპორტულმა გადაცემამ „საფეხბურთო მიმოხილვა“, შესთავაზა მაყურებელს საფეხბურთო ვიქტორინა. ვიქტორინაში დასმულ შეკითხვებზე ტელემაყურებლები პასუხებს გზავნიდნენ სმს-ების საშუალებით. მარკეტინგის სამსახური იღებდა ამ სმს-ებს და ამუშავებდა: - გამოყოფდა სწორ პასუხებს, ქმნიდა სწორი პასუხების ბაზას (სულ შემოვიდა 150 000 სწორი პასუხი). ასევე მოამზადა გასათამაშებელი ბილეთების ელექტრონულ ვარიანტი და უზრუნველყო ბილეთების დაჭრა.
26. „ევრო 2012“- მიმდინარეობის დროს პირველი არხის სპორტულმა გადაცემამ შესთავაზა მაყურებლებს საფეხბურთო ვიქტორინა. ვიქტორინაში დასმულ შეკითხვებზე ტელემაყურებლები პასუხებს გზავნიდნენ სმს-ების საშუალებით. მარკეტინგის სამსახური ტრადიციულად ამუშავებდა შემოსულ სმს-ებს, მოამზადა სწორი პასუხების ბაზა, მოამზადა გასათამაშებელი ბილეთების ელ. ვარიანტი და უზრუნველყო ბილეთების დაჭრა.
27. შევიმუშავეთ ახალი სეზონის პრომო კამპანიის კონცეფცია. დამუშავდა კამპანია სატელევიზიო ეთერისათვის. ასევე დაიგეგმა გარე პრომო კამპანია.
28. მოლაპარაკებები გაიმართა კომპანია „Leaf“ - თან, რის შედეგადაც გადაცემა „სპიკერის „ გამარჯვებულისათვის კომპანიამ დააწესა მთავარი პრიზი.
29. გაიმართა მოლაპარაკებები Eyework-თან, 2 სატელევიზიო ფორმატის, „What a Goal“ და „Word Poker“ - ის შეძენასთან დაკავშირებით.
30. სისტემატიურად მიმდინარეობდა სამუშაო შეხვედრები სხვადასხვა დეპარტამენტებს შორის. შეხვედრების მიზანი იყო ახალი სატელევიზიო სეზონისათვის მომზდება და სამუშაო გეგმის შედგენა.
31. დაიგეგმა სატელევიზიო ბადე, შევიმუშავეთ სატელევიზიო გადაცემის ზოლები მიზნობრივი ჯგუფების მიხედვით და კვლევის შედეგად მოვარგეთ შესაბამის დროით სეგმენტებს
32. კონკურენტების შეფასებით, მოხდა პირველი არხის ძლიერი მხარეების შეფასება და შესაბამისი საანონსო სტრატეგიის განსაზღვრა. შევიმუშავეთ საეთერო ზოლები მიზნობრივი ჯგუფების მიხედვით და მოვარგეთ დროით სეგმენტებს.
33. მომზადდა პირველი არხისა და კონკურენტი არხების შედარებით ანალიზი დილის და დღის ზოლის პროგრამირებისათვის.

სარეკლამო ჯგუფი

- შემუშავდა ფეხბურთში ევროპის ჩემპიონატის და ზაფხულის ოლიმპიადის სასპონსორო შეთავაზებები და ევროპის ჩემპიონატში სარეკლამო განთავსებებისთვის ფასები;
- გაყიდვების კუთხით განხორციელდა სპონსორებთან მოლაპარაკებები. შემუშავდა ახალი შეთავაზებები მათი მოთხოვნების გათვალისწინებით;

- სარეკლამო სააგენტოებს გადაეგზავნათ სატელევიზიო გადაცემების განახლებული სასპონსორო შეთავაზებები ჯენერალ მედიასთან ერთად შემუშავებულ ფასთა პოლიტიკის გათვალისწინებით;
- გადაცემა „მაესტროს“ მონაწილეებისათვის და „10+10“-ის სომეხი და ქართველი მონაწილეებისათვის საბარტერო პირობებში მოვიძიეთ საპრიზო ფონდი;
- განიხილა, შეირჩა და მომსახურეობა გაეწია შემოსულ სოციალურ რეკლამებსა და საინფორმაციო მხარდაჭერებს;
- მოძიებულ იქნა სპონსორები უეფას ჩემპიონთა ლიგის ვიქტორინისთვის;
- გაიყიდა ფეხბურთში ევროპის ჩემპიონატის მიმოხილვის წარმდგენის პოზიცია 120 000 აშშ დოლარად დღგ-ს ჩათვლით კომპანია ნატახტარზე;
- მომსახურეობა გაეწია შემოსულ სოციალურ რეკლამებს და საინფორმაციო მხარდაჭერებს;
- გაფორმდა საბარტერო ხელშეკრულება ვინივერიასთან, რომელმაც უმასპინძლა გადაცემა 10+10 უკრაინელ და ქართველ წარმომადგენლებს;
- გაკეთდა გაყიდვების პორტფოლიო, რომელიც განთავსდა საზოგადოებრივი მაუწყებლის ვებ-გვერდზე მოხდა ინფორმაციის მოძიება, დამუშავება და გაყიდვების ერთ სისტემაში მოქცევა. გაყიდვების პორტფოლიოში შევიდა ინფორმაცია შემდეგი პროდუქტებისა და სერვისების შესახებ(ტელე, რადიო, ჟურნალი, საიტი, არქივი, ტექნიკური მომსახურეობა);
- გაყვიდეთ ფეხბურთში ევროპის ჩემპიონატის ფან-კლუბების გამართვის უფლება კომპანია ფრიმედიაზე 120 000 აშშ დოლარად დღგ-ს ჩათვლით;
- გაყვიდეთ რაგბში ერთა თასის თამაშები კომპანიებზე „გალფი“ და „ნატახტარი“ საერთო ღირებულებით 12 500 აშშ დოლარი დღგ-ს ჩათვლით;
- თელიან ველთან ერთად განხორციელდა უეფას ჩემპიონთა ლიგის ფარგლებში ჰაინეკენის სპორტული ვიქტორინა ღირებულებით 15 000 აშშ დოლარი;
- თელიან ველთან დაიდო საბარტერო ხელშეკრულება ევროვიზიის კონკურსის ფარგლებში 500 ცალი ბოთლი საფერავი მინიატურა;
- მომსახურეობა გაეწია შემოსულ სოციალურ რეკლამებს და მედია პარტნირობას (ქუჩის მუსიკის ფესტივალი, კონკურსი კენგურუ, აუტიზმი საერთაშორისო დღე და ა.შ);
- გაყიდვების კუთხით განხორციელდა სპონსორებთან მოლაპარაკებები. შემუშავდა ახალი შეთავაზებების მათი მოთხოვნების გათვალისწინებით;
- სარეკლამო სააგენტოებს გადაეგზავნათ გადაცემების განახლებული სასპონსორო შეთავაზებები ჯენერალ მედიასთან ერთად შემუშავებულ ფასთა პოლიტიკის გათვალისწინებით;
- გადაცემა მაესტროს მონაწილეებისათვის და 10+10-ის უკრაინელი და ქართველი მონაწილეებისათვის საბარტერო პირობებში მოვიძიეთ საპრიზო ფონდი;
- შემუშავდა ახალი სასპონსორო პაკეტი დოკუმენტური ციკლის “ ეთნიგრაფიული ნარკვევები” - ის წარმატებულად გასაყიდად;

- გაიყიდა ფეხბურთში ევროპის ჩემპიონატის მიმოხილვის სპონსორის და პარტნიორის პოზიცია 110 000 აშშ დოლარად დღგ-ს ჩათვლით .
- მომსახურება გაეწია შემოსულ სოციალურ რეკლამებს და საინფორმაციო მხარდაჭერებს
- გაფორმდა ხელშეკრულება პარტნიორობაზე თანამედროვე ხელოვნების ცენტრთან;
- განიხილა, შეირჩა და მომსახურება გაეწია შემოსულ სოციალურ რეკლამებსა და საინფორმაციო მხარდაჭერებს (განსაკუთრებით ბავშვთა დღესთან და ძალადობის წინააღმდეგ);
- გავყიდეთ ოლიმპიური თამაშების ტრანსლაციების გენერალური და ოფიციალური სპონსორობები ღირებულებით 127 400 აშშ დოლარი დღგ-ს ჩათვლით ;
- სარეკლამო სააგენტოებს გადაეგზავნათ ოლიმპიური თამაშების სასპონსორო და სარეკლამო შეთავაზებები ჯენერალ მედიასთან ერთად შემუშავებულ ფასთა პოლიტიკის გათვალისწინებით;
- მომსახურება გაეწია შემოსულ სოციალურ რეკლამებს და მედია პარტნიორობას;
- მოამბის ჯგუფთან ერთად განხორციელდა სოციალურად დაუცველის ოჯახის დახმარება, სადაც ჩვენმა პარტნიორმა ორგანიზაცია “ ელიტ ელექტრონიქსმა” მათ გადაცა სარეცხი მანქანა;
- გაყიდვების კუთხით განხორციელდა ჯენერალ მედიასთან მოლაპარაკებები. გადახალისთა სასპონსორო პაკეტების ფასები ზაფხულის სეზონის გათვალისწინებით;
- სარეკლამო სააგენტოებს გადაეგზავნათ გადაცემების განახლებული სასპონსორო შეთავაზებები ჯენერალ მედიასთან ერთად შემუშავებულ ფასთა პოლიტიკის გათვალისწინებით;
- დაიწყო სამზადისი არჩევნების პერიოდთან დაკავშირებით (კანონმდებლობა, ფორმები და მონიტორინგის სისტემის ჩამოყალიბება);
- მოძიებულ იქნა საბარტერი გარიგება ააიპ საქ. საზოგადოებრივ ინსტიტუტთან და საქ. კალათბურთის ფედერაციასთან ჯამში 11200 აშშ დოლარის ოდენობით;
- განიხილა, შეირჩა და მომსახურება გაეწია შემოსულ სოციალურ რეკლამებსა და საინფორმაციო მხარდაჭერებს;
- მომზადდა წინასაარჩევნო განთავსებების ფორმები , რეგულაციები და აიტვირთა საზ. მაუწყებლის საიტზე;
- დამყარდა კონტაქტები საარჩევნო (კვალიფიციური სუბიექტების) პარტიების საკ. პირებთან;
- მომზადდა და გადაიგზავნა სოც. რეკლამის მონიტორინგი ადამიანის უფლებათა დაცვის ცენტრის დაკვეთით;
- სექტემბის თვე სრულიად დაეთმო წინა საარჩევნო პერიოდს და დამკვეთი პარტიების და სამოქალაქო საზოგადოების მომსახურებას;
- მომსახურება გაეწია ცესკ-ოდან შემოსულ სოციალურ რეკლამებს რადიოსა და ტელევიზიაში;
- დაიგეგმა ახალი სეზონის საბარტერო და სასპონსორო პაკეტები. კერძოდ გადაცემისთვის “ დღეს 13.30 “;
- მაღაზია „ნექსტმა“ საბარტერო მომსახურებით დაგვიდასტურა საბავშვო ევროვიზიის ჩაცმულობის უზრუნველყოფა და მოგვაწოდა 1500 აშშ დოლარის ოდენობის საქონელი;
- წარიმართა მოლაპარაკება რესტორან „დივანთან“ დილის პროგრამების პარტნიორობის თაობაზე;

- გაყიდვების კუთხით განხორციელდა და გადახალისთა სასპონსორო პაკეტების ფასები და ჯენერალ მედიისთან კონტრაქტის შეწყვეტის გამო განყოფილება გადავიდა პირდაპირი გაყიდვების რეჟიმში;
- სარეკლამო სააგენტოებს გადაეგზავნათ გადაცემების განახლებული სასპონსორო შეთავაზებები განემარტათ ახალი (დროებითი) სამუშაო სტილი;
- განიხილა, შეირჩა და მომსახურეობა გაეწია შემოსულ სოციალურ რეკლამებსა და საინფორმაციო მხარდაჭერებს;
- შედგა მოლაპარაკება ჟურნალ “ფორბსთან” მედია პარტნიორობისა და საბარტერო ურთიერთობის შესახებ 2013 წლის პერიოდისათვის. კონკრეტული მომსახურება ჯერ არ დაწყებულა;
- დეკემბრის თვის მეორე ნახევარი დაეთმო საახალწლო პერიოდს. ასევე, გაიყიდა დილის ზოლის სასპონსოროები და გაფორმდა საბარტერო მომსახურეობა შემდეგ ორგანიზაციებთან (რესტორანი დონ ჯუზეპე, პოპული, გუდ ვილი, 10 ჯგუფი);
- გაფორმდა ბარტერი 8.000 ლარის ოდენობით საქ. საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტთან მედია მენეჯმენტის თრეინინგის შეთავაზების პირობით და ტელევიზიიდან გაიგზავნა 8 თანამშრომელი კვალიფიკაციის ასამაღლებლად;
- მოძიებულ იქნა საბავშვო ევროვიზიის პარტნიორები. მაღაზია „ნექსთმა“ და „ფლაი ჯეორჯიამ“ გაუწია მომსახურება და პარტნიორობა საბავშვო ევროვიზიას თავისი პროდუქციითა და სერვისებით;
- მაღაზია “პარიზი” - თან (შპს. სიხარული) გაფორმდა საბარტერო მომსახურება გადაცემა სამოთხის ვაშლების წამყვანთა ჩაცმულობის უზრუნველყოფის მიზნით;
- დიზაინერ თეონა ელიზბარაშვილთან გაფორმდა საბარტერო მომსახურეობა გადაცემა „დღეს 13.30“ ქალბატონ წამყვანთა ჩაცმულობის უზრუნველყოფის მიზნით და გაეწია სათანადო მომსახურება;
- განახლდა კონტრაქტი კიბერნეტიკულ სისტემებთან 2013 წლის ბოლომდე (პროგრამული უზრუნველყოფა).

ბარტერი

იანვარი		
დამკვეთი	თანხა აშშ დოლარში	თანხა ლარში
სს ` `ბაგრატიონი-1882` `		1550,00
შპს ` `ათი ჯგუფი` `		556,00
შპს ` `ათი ჯგუფი` `		700,00
შპს ` `ათი ჯგუფი` `		1312,50
შპს ` `თბილისის სახ. საკონცერტო დარბაზი` `		4476,50
შპს ` `ათი ჯგუფი` `		4449,33
შპს ` `ათი ჯგუფი` `		875,05
შპს ` `ათი ჯგუფი` `		950,00
შპს მი-ფა-სი		2250,00
ჯამი:		17 119,38
თებერვალი		
შპს ` `ფოტო-პლაზა+` `		750,00
შპს ` `ათი ჯგუფი` `		1500,00
შპს ` `ნიარ ოპერა		100,00
შპს ` `ავიასაწვავსერვისი		100,00
შპს ` `თბილისის სახ. საკონცერტო დარბაზი` `		4476,50
შპს ` `ლიდერ-ფუდი` `		100,00

შპს ``ქეთრინი``		100,00
შპს მი-ვა-სი		1912,00
ჯამი:		9139,00
შპს ``აი-ემ გლობალი``	1900,00	
აიპ ``საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია``	1000,00	
ჯამი:	1900,00	
მარტი		
შპს ``ფოტო-პლაზა+``		250,00
შპს ``ათი ჯგუფი``		550,00
ინდ.მეწ გია ანდლულაძე		1080,00
შპს ``თელიანი თრეიდიინგი``		1100,00
შპს ``თბილისის სახ. საკონცერტო დარბაზი``		4476,50
ჯამი:		7456,50
აიპ ``საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია``	2000,00	
შპს ``აი-ემ გლობალი``	2000,00	
აიპ ``საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია``	6700,00	
ჯამი:	10700,00	
აპრილი		
შპს თბილისის სახელმწიფო საკონცერტო დარბაზი		4476,50
ინდ.მეწ გია ანდლულაძე		720,00
შპს ``ვინივერია``		4643,50
საქ.კალათბურთის ეროვნული ფედერაცია	6000,00	
აიპ ``საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია``	2500,00	
შპს ``აიმ გლობალი``	3640,00	
ჯამი:	12 140,00	9 840,00
მაისი		
შპს თბილისის სახელმწიფო საკონცერტო დარბაზი		4476,50
შპს ``აიმ გლობალი``		2500,00
შპს ``ვინივერია``		4643,50
საქ.კალათბურთის ეროვნული ფედერაცია	8000,00	
აიპ ``საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია``	2500,00	
ჯამი:	10500,00	11620,00
ივნისი		
შპს ათი ჯგუფი		6023,00
შპს თბილისი ივენთ ჰოლი		3000,00
ინდ.მეწარმე დოდო რაზმაძე		2000,00
შპს დიოგენე		231,90
ჯამი:		11254,90
ივლისი		
	0,00	0,00
ჯამი:	0,00	0,00
აგვისტო		
ააიპ საქ. საზოგადოებრივი ინსტიტუტი		1500
საქ.კალათბურთის ეროვნული ფედერაცია	11200	

ჯამი:	11200	1500
სექტემბერი		
ააიპ საქ. საზოგადოებრივი ინსტიტუტი		1000.00
საქ.კალათბურთის ეროვნული ფედერაცია	11200.00	
ჯამი:	11200.00	1000.00
ოქტომბერი		
შპს. დივანი	135.00	
შპს. თ.ნ.მ.გ.	500.00	
საქ. ფეხბურთის ფედერაცია	1500	
შპშ გუდვილი		110
ჯამი	2135	110
ნოემბერი		
შპს. დივანი	1000.00	
შპს. თ.ნ.მ.გ.	1000.00	
შპს.ამერიკულ ქართული განათლების ცენტრი	2000.00	
კალათბურთის ეროვნული ფედერაცია	1000.00	
საქ. ფეხბურთის ფედერაცია	2000.00	
შპრ ფლაი ჯეორჯია		6877.00
შპს ეტალონ მედია		3000.00
შპს ლენდ ლორდ		1706.00
ჯამი:	7000,00	11583,00
დეკემბერი		
შპს. დივანი	1000.00	
შპს. თ.ნ.მ.გ.	2000.00	
შპს.ამერიკულ ქართული განათლების ცენტრი	6000.00	
კალათბურთის ეროვნული ფედერაცია	1500.00	
საქ. ფეხბურთის ფედერაცია		
შპს. ჯი ეფ კომპანი		1370.00
შპს. პოპული		2500.00
შპს სიხარული		5000.00
შპს 10 ჯგუფი		2500.00
შპს თეონა ელიზბარაშვილი		500.00
შპს ფლაი ჯეორჯია		1300.00
შპს ლენდ ლორდი		790.00
ჯამი:	11500.00	21960.00

ტელე-განთავსება

იანვარი		
დამკვეთი	თანხა აშშ დოლარში	თანხა ლარში
ჯენერალ მედია	3360,00	
შპს ``ათი ჯგუფი``		904,00
შპს ``ათი ჯგუფი``		904,00

ჯამი:	3360,00	1808,00
თებერვალი		
სს შატო მუხრანი		12000,00
ჯამი:		12000,00
სს ``ჰიუნდაი ავტო საქართველო``	450,00	
შპს ``ჯენერალ მედია``	9306,73	
შპს ``ინტერკონტინენტალი``	85,00	
შპს ``ათი და ჯგუფი``	250,00	
შპს ``ათი და კომპანია``	100,00	
ჯამი:	10191,73	
მარტი		
სს შატო მუხრანი		15000,00
ჯამი:		15000,00
სს ``ჰიუნდაი ავტო საქართველო``	450,00	
შპს ``ჯენერალ მედია``	42942,67	
შპს ``ინტერკონტინენტალი``	85,00	
შპს ``ათი და ჯგუფი``	250,00	
შპს ``ათი და კომპანია``	100,00	
ჯამი:	43827,63	
აპრილი		
სს ``შატო მუხრანი``		6000,00
ჯენერალ მედია	15 430,37	
სს ``ჰიუნდაი ავტო საქართველო	450,00	
შპს ``ათი ჯგუფი``	250,00	
შპს ``ინტერკონტინენტალი``	85,00	
შპს ``ათი და კომპანია``	100,00	
ჯამი:	16 315,37	6 000,00
მაისი		
სს ``შატო მუხრანი``		3000,00
ჯენერალ მედია	19 958,32	
სს ``ჰიუნდაი ავტო საქართველო	450,00	
შპს ``ათი ჯგუფი``	250,00	
შპს ``ინტერკონტინენტალი``	85,00	
შპს ``ათი და კომპანია``	100,00	
ჯამი:	20 843,32	3 000,00
ივნისი		
შპს ათი ჯგუფი		19 695,00
შპს ათი ჯგუფი		14 181,00
სს ``ჰიუნდაი ავტო საქართველო	675,00	
შპს ``ფრიმედია``	116 000,00	
შპს ``ორიგინალი``	1600,00	
ჯამი:	118 275,00	33876,00
ივლისი		
10 და ჯგუფი		680,00

10 და ჯგუფი		489,00
სს `` ჰიუნდაი ავტო საქართველო	25,00	
შპს. ფრი მედია	4000,00	
10 და ჯგუფი		680,00
ჯამი:	4025,00	1169,00
აგვისტო		
	0,00	0,00
ჯამი:	0,00	0,00
სექტემბერი		
ერთიანი ნაც მოძრაობა		94117,50
საქ.პარ.წევ.ვახანიას საარჩევნო ფონდი		8100,00
ჯენერალ მედია	12887,56	
ჯამი:	12887,56	102,217.5
ოქტომბერი		
ჯპს	700,00	
სს `` ჰიუნდაი ავტო საქართველო	375,00	
ჯენერალ მედია	2880,00	
შპს პიარჯი პლიუსი	1000,00	
შპს კრეატორი		500,0
ჯამი:	4955,00	500,00
ნოემბერი		
დელტამედია	1800,00	
სსჰიუნდაი	375,00	
შპსკრეატორი	2000,00	
შპსმაგისტილი	3600,00	
შპსიუმჯეორჯია	5130,00	
ჯამი	12905,00	
დეკემბერი		
შპს რეალ ესთეით დეველპ. კომპანი	70,00	
სსჰიუნდაი	375,00	
შპს კრეატორი	2000,00	
შპს ნოტა ბენე	100,00	
შპს მულტი პულტი	800,00	
შპსმეგაკოტრეიდო	500,00	
სსცირკი	1000,00	
შპსტვინტერნეშენალი	900,00	
მსოფლიო ბანკის წარმომადგენლობა საქართველოში	200,00	
შპსიუმჯეორჯია	5670,00	
სსიპ ბავშვთა დაახალგ. ეროვნული ცენტრი		3000,00
შპსკრეატორი		400,00
ჯამი:	11615,00	3400,00

რადიო განთავსება

იანვარი		
დამკვეთი	თანხა აშშ დოლარში	თანხა ლარში
შპს გეოპლანტი	250,00	
შპს აიბი ევროკავკასიური უნივერსიტეტი	250,00	
შპს გეოპლანტი	250,00	
შპს კონტრასტი	250,00	
ჯამი:	1000,00	
თებერვალი		
შპს გეოპლანტი	250,00	
შპს გეოპლანტი	250,00	
შპს კონტრასტი	250,00	
შპს ბიო ორგანიკ ჯორჯია	250,00	
ინ.საკ.ერ.ცენტრი საქპატენტი	315,00	
შპს გეოპლანტი	250,00	
ჯამი:	1565,00	
მარტი		
შპს გეოპლანტი	250,00	
შპს გეოპლანტი	175,00	
შპს კონტრასტი	250,00	
შპს ბიო ორგანიკ ჯორჯია	250,00	
ინ.საკ.ერ.ცენტრი საქპატენტი	315,00	
შპს გეოპლანტი	250,00	
ჯამი:	1490,00	
აპრილი		
შპს გეოპლანტი	250,00	
შპს კონტრასტი	250,00	
შპს ბიო ორგანიკ ჯორჯია	250,00	
შპს კამელინი	250,00	
ინ.საკ.ერ. ცენტრი ``საქპატენტი``	315,00	
შპს გეოპლანტი	250,00	
ჯამი:	1565,00	
მაისი		
შპს გეოპლანტი	250,00	
შპს კონტრასტი	250,00	
შპს ბიო ორგანიკ ჯორჯია	250,00	
შპს კამელინი	250,00	
ინ.საკ.ერ. ცენტრი ``საქპატენტი``	315,00	
შპს გეოპლანტი	250,00	
ჯამი:	1565,00	
ივნისი		
შპს გეოპლანტი	250,00	

შპს კონტრასტი	250,00	
შპს ბიო ორგანიკ ჯორჯია	250,00	
შპს კამელინი	250,00	
ინ.საკ.ერ. ცენტრი ``საქპატენტი``	315,00	
შპს გეოპლანტი	250,00	
ჯამი:	1565,00	
ივლისი		
შპს გეოპლანტი	250,00	
შპს კონტრასტი	250,00	
ააიპინოვაციებისადარეფცენტრი	250,00	
შპს კამელინი	250,00	
ინ.საკ.ერ. ცენტრი ``საქპატენტი``	315,00	
შპს გეოპლანტი	250,00	
ტრენერთა საკვ. ცენტრი		330,00
ჯამი:	1565,00	330,00
აგვისტო		
შპს გეოპლანტი	250,00	
შპს გეოპლანტი	250,00	
შპს კონტრასტი	250,00	
შპს კამელინი	250,00	
ჯამი:	1000,00	
სექტემბერი		
შპს გეოპლანტი	250,00	
შპს კონტრასტი	250,00	
შპს კამელინი	250,00	
შპს გეოპლანტი	125,00	
სს. ბანკი კონსტანტა	500,00	
ჯამი:	1375,00	
ოქტომბერი		
შპს გეოპლანტი	250,00	
შპს კონტრასტი	75,00	
შპს კამელინი	250,00	
ბანკი კონსტანტა	500,00	
ჯამი:	1075,00	
ნოემბერი		
შპს გეოპლანტი	250,00	
შპს კამელინი	250,00	
ბანკი კონსტანტა	500,00	
ჯამი:	1000,00	
დეკემბერი		
შპს კამელინი	250,00	
სს. ბანკი კონსტანტა	500,00	
ჯამი:	750,00	

პრომოუშენის სამსახური

1. ყოველდღიური ანონსები : I (აპრილიდან ოქტომბრის ჩათვლით) ცხოვრება მშვენიერა, ბავშობანა, აღმოაჩინე საქართველო, ავტობილოტი, წითელი ზონა, აუდიტორია, პირველი ტელევიზია, მედინფო, ეკონომ მენიუ, აუდიტორია , ჩვენი ეზო, ჩვენი ფერმა, დოკუმენტური ფილმები, ევროპული არჩევანი, გააგრძელე საქართველოს ისტორია, 10+10, სერიალები, სპორტი: კალათბურთი , ფეხბურთი, რაგბი, ჩემპიონთა ლიგის თამაშები, Euro 2012 , ოლიმპიადა, კონცერტები, ფესტივალები.

II. (ოქტომბრიდან იანვრის ჩათვლით) : აქვა ჯორჯია , გურმანია, ახალი ქართული ფილმი, თეატრის დრო, ჩვენი ეზო, დოკუმენტური ფილმი, წითელი ზონა , ჩვენი ფერმა. სერიალები, სპორტი: ჩემპიონთა ლიგა , რაგბი , ჭიდაობა, ფეხბურთი, კალათბურთი, კონცერტები, ფესტივალები.

2. 20 ცალი სარეკლამო ვიდეორგოლები სპონსორებისათვის

3. გადაცემებისათვის პრომო, ქუდი შეფუთვა : ფეხბურთი EURO 2012 _ის პრომო (9 ცალი), დილა , ოლიმპიადის პრომო (5 ცალი), ცხოვრება მშვენიერია, ევროვიზიის დღიურები, სამოთხის ვაშლები, დღეს 13:30 , პირადი ექიმი , ახალი ქართული კინო, ჩემი ოჯახი, დებატები, სპიკერი, გურმანია, მანქანა, აქვა ჯორჯია, აქცენტები, დიალოგი დავით პაიჭაძესთან, მოამბე, ბავშბანა , პეპე და მეგობრები, 10+10, ღამის საუბრები,კომენტატორი, ინტერაქცია, თეატრის დრო , თავისუფალი ტრიბუნა , პრომო ,, ქუთაისის პარლამენტი პირდაპირ ეთერში“

4. კონკურს ევროვიზიის და საბავშვო ევროვიზიის მთლიანი პრომოუშენი (კლიპი, პრომო, დროშის, ბანერის, მთავრების, ჩანთების, დიკის და სარეკლამო გვერდის დიზაინი)

5. ახალი საეთერო შეფუთვა

6. საახალწლო შეფუთვა

7. პრომო რადიო გადაცემებისათვის 4 ცალი

8. სტუდიების დიზაინი : 1. თოქ_ შოუ „მედია მონიტორის“, 2 გადაცემა ,, ჩვენი დილა “ 3. ,,აქცენტები“ 4. ,,სამოთხის ვაშლების“ 5. ,,დღეს 2/30“ 6. ,,პირადი ექიმი “ 7.,, ჩემი ოჯახი“ 8. ,,ახალი ქართული ფილმი“ სტუდიის დიზაინი, ანტურაჟი. 8. სპორტული გადაცემისათვის ოლიმპიადასთან დაკავშირებით _ სტუდიის ფონები , ევროპის ჩემპიონატისათვის სტუდიის დიზაინი. 9. ფონები გადაცემა ,, არენისათვის“ , 10 მეორე არხის გადაცემების სტუდიების დიზაინი ,, ეპიცენტრი“ , ,, თავისუფალი ტრიბუნა“ , ,,დებატების დრო“. სტუდიების დეკორაციის დიზაინი (საახალწლო)

9. დიზაინი : 1. საარჩევნო კამპანია : კონცეპცია, შეფუთვა , ვირტუალური სტუდია, გრაფიკები, ბანერები(ცსკო) 2. საზოგადოებრივი მაუწყებლის მანქანების დიზაინი 3. საახალწლო ელექტრონული მისალოცი ბანერები 4. უეფას ჩემპიონატის კატალოგი (ელექტრონული გზავნილი) 5. დოკუმენტური ფილმებისათვის 12 გვერდიანი კატალოგი , დიზაინით 6. სტიკერები , მაისურის , დროშის , ბლოკნოტის, კალმის, ბეჯის ჭიქების დიზაინი 7. ბანერები, 8. შტენდერი , 9.ფლაერები, 10. სარეკლამო გვერდები ჟურნალებში 11. გადაცემისათვის : კონცეფცია ,ლოგო, ქავერი. 12. რადიო 1 -ქავერი (პიკის საათი, რადიო1 (გაზაფხული) რადიო 2 _ვალენტინობა ქავერი, ინტერნეტტელევიზია _შეფუთვა

ადმინისტრაციული დეპარტამენტი

საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური

2012 წელს საზოგადოებრივმა მაუწყებელმა მედიაპარტნიორობა გაუწია შემდეგ ღონისძიებებს:

- ორგანიზაციის „იმედის-ხელი“ მიერ ორგანიზებული საქველმოქმედო ღონისძიება არტ-ჰოლში.
- კონსერვატორიაში გამართული თანამედროვე მუსიკის კონცერტი (13-15.02.2012);
- იტალიელი საქსაფონისტის, კომპოზიტორის და დირიჟორის ფედერიკო მოდელჩის კონცერტი საქართველოს ეროვნულ სიმფონიურ ორკესტრთან ერთად.
- “Nothing Private-but Jazz!!!”-ივენტ ჰოლი (09.03.2012);
- დაბა ბაკურიანში, ბაკურიანობის დღისადმი მიძღვნილი სპორტული ღონისძიებები (25.02.2012);
- ნინო ანანიაშვილის სასცენო მოღვაწეობის 30 წლის იუბილე (16-18.03.2012);
- გამომცემლობა „ლიბრას“ წიგნების გამოფენა-გაყიდვა (03.03.2012);
- სკოლა „ჯეჯილის“ მეორე კლასის მოსწავლეების ექსკურსია საზოგადოებრივ მაუწყებელში.
- საქართველოს ეროვნულ მუზეუმში გამართული „საფრანგეთის კვირეული კავკასიაში“ (21-24-06.2012);
- მართონი სიცოცხლის გადასარჩენად (28.04.2012);
- „თბილისის ინტერმედია“ (12.06.2012);
- ქუჩის მუსიკის დღეები (19.05.2012);
- აუტიზმის ცნობადობის მსოფლიო დღისადმი მიძღვნილი ფოტოგამოფენა (02.04.2012);
- ჩინეთის საელჩოში საზოგადოებრივი მაუწყებლის თანამშრომლის-რამაზ ბლუაშვილის ფოტო გამოფენა „ჩინეთი საქართველოს თვალთ“ (31.05.2012 დან 07.06.2012 მდე);
- ხათუნა გვენეტაძის ალბომის პრეზენტაცია (18.05.2012);
- შოკოლადის და პოეზიის ფესტივალი (12-13.05.2012);
- ევროპის კვირეული- „სოციალური ტრანსფორმაცია“
- ზაზას თასი (10-19.06.2012);
- თუმანიშვილის თეატრი
- მრავალხმიანობის მეექვსე საერთაშორისო სიმპოზიუმი (24-28.09.2012);
- ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის 161-ე საბალეტო სეზონის გახსნა (28.09.2012);
- ბათუმის საავტორო კინოს საერთაშორისო ფესტივალი (Biaff) (16-23.09.2012);
- ბათუმის ფოლკლორული და კლასიკური მუსიკის ფესტივალი (01-08.09.2012);
- თბილისის საოპერო ფესტივალი (05-26.08.2012);
- აფხაზეთსა და სამაჩაბლოში საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლაში დაღუპულთა ხსოვნის საღამო (10.09.2012);
- შემოდგომის თბილისი (13-30.09.2012);
- "ქართული ბრენდის დღე 2012"
- თანამედროვე მუსიკის კონცერტი (12-14 -15.10.2012);
- პროექტი „არჩევანი შენზეა-2012“
- „ქართველი მსახიობები აზერბაიჯანულ კინოში“

საზოგადოებრივ საქმეთა სამსახურის მიერ, ასევე მისი დახმარებით განხორციელებული ღონისძიებები:

- CIRCOM-ის (ევროპის რეგიონული ტელევიზიების ასოციაცია) კონკურსი რეგიონული სატელევიზიო პროგრამებისთვის. ჩვენმა თანამშრომლებმა რამდენიმე კატეგორიაში მიიღეს მონაწილეობა.
- 21 თებერვალს, სასტუმრო „ამბასადორის“ საკონფერენციო დარბაზში, საზოგადოებრივი მაუწყებლის განვითარების სტრატეგიის პრეზენტაცია გაიმართა.
- 7 მარტს საქართველოს საზოგადოებრივ მაუწყებელს ფინელი სტუდენტების დელეგაცია ესტუმრა.
- 2012 წლის ევროვიზიის კონკურსი
- ევროპის 2012 წლის ჩემპიონატის ფანკლუბი
- ევროვიზიის ტრანსლაცია
- განახლებული Infoletters!
- Infoletters-ის სახალისო კონკურსის გამარჯვებულების დაჯილდოება
- საიმიჯო მასურების და ბანერების დამზადება
- 15 ივნისს საქართველოს საზოგადოებრივ მაუწყებელსა და გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტს შორის, კეთილი ნებისა და თანამშრომლობის სურვილის საფუძველზე, გაფორმებული მემორანდუმი.
- კონკურსის „ქართული კალიგრაფია“ გამარჯვებულს მაუწყებელმა საჩუქარი გადასცა.
- რაგბის სამოყვარულო გუნდ „ხალიბებს“, რომლის სპონსორიც საზოგადოებრივი მაუწყებელია, გადაეცა დაბეჭდილი ბანერი.
- პოპულარული პროექტი „მესტროსთვის“ ახალი სეზონის დაწყებასთან დაკავშირებით დაიბეჭდა კედელის კონსტრუქციის ბანერი.
- დაიბეჭდა შლადი ბანერი პირველი არხის გამოსახულებით
- ლონდონის 2012 წლის ზაფხულის ოლიმპიური თამაშების მიმდინარეობისას დაიბეჭდა ბრენდირებული მასურები პირველი არხის და ოლიმპიადის ლოგოების გამოსახულებით.
- საზოგადოებრივი მაუწყებლის, დოკუმენტური ფილმების სტუდიის მიერ შექმნილი ახალი დოკუმენტური ფილმის - „უღმერთოთა ღამე“- ჩვენება.
- მაუწყებლის ფოიეში მოეწყო მაღაზია "ლიტერატის" წიგნების გამოფენა-გაყიდვა.
- 22 სექტემბერს საქართველოს საზოგადოებრივ მაუწყებლის და გერმანიის საზოგადოებრივ მაუწყებლის საფეხბურთო გუნდებს შორის მატჩი გაიმართა.
- საახალწლოდ დილის და დღის ზოლის გადაცემების სტუმრებისთვის დაიბეჭდა მისალოცი ბარათები, რომლებიც დამაგრდა მათთვის გადასაცემ სასაჩუქრე კალათებზე.
- საგამომცემლო სახლმა „სახე(ლ)ები“, რომელთანაც აქტიურად თანამშრომლობს საზოგადოებრივი მაუწყებელი, წლის საუკეთესო პროექტად დაასახელა და დააჯილდოვა საზოგადოებრივი მაუწყებლის, დოკუმენტური სტუდიის მიერ შექმნილი დოკუმენტური ფილმების სერია „გააგრძელე საქართველოს ისტორია“.

□ საზოგადოებრივი მაუწყებლის ფოიეში მოეწყო გამომცემლობის "პალიტრა ელ" წიგნების გამოფენა-გაყიდვა.

წერილები და მოქალაქეებთან შეხვედრა :

2012 წელს „საზოგადოებრივ მაუწყებელში“ შემოსული წერილები ნათლად ასახავდა ქვეყნის პოლიტიკურ და სოციალურ სპექტრში არსებულ მდგომარეობას.

მოქალაქეთა მისაღებში მოსული ადამიანები პრინციპულად ითხოვდნენ ტელემაყურებლების ინტერესების დაცვას და მათი მოსაზრებების გამოხატვის თავისუფლებას.

შემოსული წერილების ძირითადი თემები იყო:

- 1) ძალადობა ოჯახში - ათეულობით მოქალაქემ მოგვმართა კონფლიქტების მოგვარების რესურსის არქონის გამო. ჩვენ შევძელით რამდენიმე კონფლიქტური პროცესის ეთიკურ ჩარჩოებში მოქცევა (პროგრამა „მოამბით“ გადაიცა სიუჟეტები აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით: კაბარდიანი-რუსთავიდან, მელიქიშვილი-ფასანაურიდან, გარნიკ პეტოიანი-ბათუმიდან, ცხობიძე-თბილისიდან, მარიამ წიკლაური-თბილისიდან).
- 2) ქუჩის ბავშვების პრობლემები.
- 3) განსხვავებული შესაძლებლობების და მზრუნველობამოკლებულ მოხუცთა თავშესაფრები (ეს თემები გაშუქდა საზოგადოებრივი რადიოს გადაცემის „ღია სტუდია“ საშუალებით).
- 4) დევნილთა პრობლემები (საცხოვრებელი ფართების საკუთრებაში გადაცემა, კომპენსაციები, პროტესტი დაკავებული ფართებიდან გამოსახლების გამო, ალტერნატიული ფართების გამოყოფის მოთხოვნა).
- 5) თავშესაფრის მაძიებელი თბილისელები. სოციალურად დაუცველთა ბაზაში რეგისტრირებული ადამიანები, რომელთა იდენტიფიცირება ვერ მოხერხდა. არასწორად მინიჭებული სარეიტინგო ქულები.
- 6) შეწყვეტილი სოციალური დახმარებები, სოციალური აგენტების თვითნებობა და უპასუხისმგებლობა.
- 7) პენიტენციურ სისტემაში შექმნილი ვითარება, მსჯავრდებულების მშობელთა პროტესტი პატიმრების მიმართ არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებით.

სოციალური თემატიკით დაინტერესებულმა ჟურნალისტებმა ეს თემები შეძლებისდაგვარად გააშუქეს პროგრამა „მოამბეში“.

ბევრ თემას კი სჭირდება სპეციალური ჟურნალისტური გამოძიება, რისი ადამიანური და მატერიალური რესურსი სამწუხაროდ არ გვაქვს.

2012 წელს „საზოგადოებრივ მაუწყებელში“ ყოველდღიურად შემოსული ჟურნალ-გაზეთები დამუშავდა და გაეწია კოორდინაცია. პრესის არქივისთვის მომზადდა მასალები, რომლებიც საზოგადოებრივ მაუწყებელში და ქართულ სატელევიზიო მედიაში არსებულ ვითარებას ასახავდა.

საქართველოს რადიოს 88 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიებებისთვის მომზადდა მასალები რადიოს ღვაწლმოსილ თანამშრომლებზე და ოქროს ფონდზე.

ვირტუალური მუზეუმის ვებ გვერდისთვის მომზადდა მასალები ტელე-რადიო მაუწყებლობის პოპულარული გადაცემების რუბრიკებზე და მათ წამყვანებზე.

საერთაშორისო პროექტები:

ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი - გადაცემა „ევროპული არჩევანი“

გადაცემა მზადდება ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის დაფინანსებით, შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს სახსრებით. გადაცემის მიზანია საზოგადოებას მიაწოდოს უფრო მეტი ინფორმაცია ევროინტეგრაციისა და საქართველო - ევროკავშირის ურთიერთობის შესახებ.

• საერთაშორისო კვლევისა და გაცვლების საბჭო (IREX) - რადიო 1

პროექტი ხორციელდება „ქართული მედია აძლიერებს დემოკრატias, ანგარიშვალდებულებას და მოქალაქეთა ინფორმირებულობას“ (G-MEDIA) ფარგლებში და ფინანსდება საერთაშორისო კვლევის და გაცვლების საბჭოს (IREX) მიერ, აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) სახსრებით. პროექტი მიზნად ისახავს ახალი მედიის საშუალებითა და ინტერაქციის შესაძლებლობების გამოყენებით, გააუმჯობესოს მედიის ხარისხი და მეტად ხელმისაწვდომი გახადოს ის საქართველოს მოსახლეობისათვის.

□ **საზოგადოებრივი მაუწყებლის, IFES-ის და USAID-ის ერთობლივი პროექტი**

საზოგადოებრივმა მაუწყებელმა, ამერიკის განვითარების საერთაშორისო სააგენტომ (USAID) და საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდმა (IFES) ერთობლივი პროექტი განახორციელა, კერძოდ, 2012 წლის წინასაარჩევნო ტელედებატების ჩატარება საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში.

□ **2012 წლის საპარლამენტო არჩევნების დროს საზოგადოებრივი მაუწყებლის დაგაგმილი და საერთაშორისო კვლევების ევროპული ლიდერის GfK-ის განხორციელებული ეგზიტპოლი.**

2012 წლის საპარლამენტო არჩევნების დროს, საქართველოში „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ მიერ დაგეგმილი ეგზიტპოლი, რომელსაც საერთაშორისო კვლევების ევროპული ლიდერი GfK (www.gfk.com) საქართველოში უკვე მეორედ განახორციელებს. კონტრაქტის ღირებულება 230 000 აშშ დოლარს შეადგენს.

კონტრაქტი ითვალისწინებს არჩევნების დღეს ეგზიტპოლისა და სექტემბერში ორი სოციოლოგიური კვლევის ჩატარებას. „საზოგადოებრივი მაუწყებელი“ საარჩევნო ეგზიტპოლს უკვე მესამედ უკვეთავს (აქედან მეორედ GfK-ის). ამ მიმართულებით მაუწყებელი ხელმძღვანელობს საზოგადოების ინტერესით.

□ **2012 წლის საბავშვო ევროვიზიის სიმღერის კონკურსი**

საბავშვო ევროვიზიის 2012 წლის კონკურსის ფარგლებში, აქტიურად მიმდინარეობდა საქართველოს წარმომადგენლის PR-აქტივობების დაგეგმვა, მისი სხვადასხვა ღონისძიებებში ჩართვა, წინასაკონკურსო პერიოდში ადგილობრივ და უცხოურ მედიასაშუალებებთან თანამშრომლობა და საქართველოს წარმომადგენლების შესახებ მასალების მომზადება.

2012 წლის საბავშვო ევროვიზიის სიმღერის კონკურსი ჰოლანდიაში, ქალაქ ამსტერდამში ჩატარდა, სადაც საქართველომ მეორე ადგილი დაიკავა.

□ საქართველოს საზოგადოებრივ მაუწყებელსა და თურქეთის საზოგადოებრივ მაუწყებელს (TRT) შორის გაფორმებული მემორანდუმის თანახმად გაწეული მომსახურება

საზოგადოებრივმა მაუწყებელმა და TRT-მ ერთობლივი პროექტი განახორციელეს, კერძოდ, თურქეთის მაუწყებელმა ბათუმზე დოკუმენტური ფილმი გადაიღო. საზოგადოებრივმა მაუწყებელმა TRT-ს გადამღები ჯგუფი ტექნიკური აღჭურვილობით, ოპერატორით, კონსულტანტით, თარჯიმნით და ტრანსპორტირებით უზრუნველყო.

□ საქართველოს საზოგადოებრივ მაუწყებელსა და თურქეთის საზოგადოებრივ მაუწყებელს (TRT) შორის გაფორმებული მემორანდუმის თანახმად გაწეული მომსახურება

საზოგადოებრივ მაუწყებელსა და TRT-ს შორის განხორციელდა საარქივო მასალების გაცვლა, კერძოდ, საზოგადოებრივმა მაუწყებელმა თურქეთის მაუწყებელს გადასცა მეორე მსოფლიო ომის საარქივო მასალა ხოლო TRT-სგან მოწოდებულ იქნა დოკუმენტური ფილმების 14 სერია - „ქართველთა ცხოვრება ოსმალების პერიოდში“.

იურიდიული სამსახური

(“მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 35-ე მუხლის მე-2 პუნქტის “ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად)

“მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 35-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, სამეურვეო საბჭო არაუგვიანეს ყოველი წლის 1 მაისისა საქართველოს პრეზიდენტს, საქართველოს პარლამენტსა და კომისიას წარუდგენს და აქვეყნებს საზოგადოებრივი მაუწყებლის გასული წლის საქმიანობის ანგარიშს.

გამომდინარე აქედან, “მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 35-ე მუხლის თანახმად, წარმოგიდგენთ იურიდიული სამსახურის 2012 წლის ანგარიშს, რომელიც თავისი კომპეტენციის ფარგლებში, შეიცავს მხოლოდ აღნიშნული მუხლის მე-2 პუნქტის “ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ინფორმაციას.

ინფორმაცია სსიპ “საზოგადოებრივ მაუწყებელში“ 2012 წლის განმავლობაში განხილული საჩივრების რაოდენობისა და შინაარსის შესახებ

ა) ადმინისტრაციული საჩივრების შესახებ

2012 წლის განმავლობაში სსიპ “საზოგადოებრივ მაუწყებელში” ადმინისტრაციული საჩივარი არ შემოსულა.

ბ) თვითრეგულირების ორგანოში/კომისიაში წარმოდგენილი საჩივრების შესახებ

“მაუწყებლობის შესახებ” საქართველოს კანონის მე-14 მუხლის 1-ლი პუნქტისა და საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2009 წლის 12 მარტის #2 დადგენილებით დამტკიცებული “მაუწყებელთა ქცევის კოდექსის” საფუძველზე, სსიპ “საზოგადოებრივ მაუწყებელში” შექმნილია თვითრეგულირების მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს ამ კოდექსით გათვალისწინებული საჩივრების განხილვას.

2012 წლის განმავლობაში სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის” თვითრეგულირების მექანიზმის ფარგლებში განხილული იქნა შემდეგი საჩივრები:

1.

2012 წლის 21 თებერვალს სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის” თვითრეგულირების ორგანოს/კომისიას საჩივრით მიმართა ფონდმა “ღია საზოგადოება - საქართველო“-მ, რომლითაც მოითხოვა საზოგადოებრივმა მაუწყებელმა საინფორმაციო პროგრამა “მოამბე“-ში მიაწოდოს საზოგადოებას ზუსტი და დაბალანსებული ინფორმაცია ორგანიზაცია “საზოგადოებრივი პოლიტიკის ინსტიტუტის“ მიერ ჩატარებული კვლევის - ელექტორატის პროფილი: გამოკითხვის ანგარიში, მისი ავტორების და დამფინანსებლების შესახებ და მიუთითოს, რომ საზოგადოებრივმა მაუწყებელმა დაარღვია ეთიკური სტანდარტები და მომხმარებლის უფლებები. ფონდი “ღია საზოგადოება - საქართველო“ თავისი მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველად მიუთითებდა “მაუწყებელთა ქცევის კოდექსის“ მე-6, მე-12 და მე-15 მუხლებზე და აღნიშნავდა, რომ სიუჟეტში არაზუსტი და მიკერძოებული ინფორმაცია იქნა გავრცელებული ზემოთ ხსენებული კვლევის შესახებ.

სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის“ გენერალური დირექტორის 2012 წლის 11 აპრილის გადაწყვეტილებით საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

ფონდი “ღია საზოგადოება - საქართველო“-ს მიერ გადაწყვეტილება გასაჩივრებული იქნა სააპელაციო წესით სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სამეურვეო საბჭოში.

სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სამეურვეო საბჭოს გადაწყვეტილების თანახმად, გაუქმდა სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის“ გენერალური დირექტორის 2012 წლის 11 აპრილის გადაწყვეტილება და სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის“ გენერალურ დირექტორს დაევალა საზოგადოებრივი მაუწყებლის ვებ-გვერდზე ინფორმაციის გამოქვეყნება იმის შესახებ, რომ 2012 წლის 14 თებერვლის პროგრამა “მოამბის“ 20:00 საათიან გამომშვებაში ჟურნალისტის მხრიდან დარღვეული იქნა მიუკერძოებლობის პრინციპი, კერძოდ, არ იქნა წარმოდგენილი ფონდი “ღია საზოგადოება-საქართველოს“ პოზიცია.

2.

2012 წლის 29 თებერვალს სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის“ განცხადებით მიმართა მოქალაქე ნ. გ-მა, რომელმაც მოითხოვა საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში ზუსტი ინფორმაციის გაშუქება

გარდაბნის რ-ნში, სოფელ წალასყურში (თელეთი) განცხადების ავტორს და მის მშობელს შორის არსებულ უთანხმოებასთან დაკავშირებით.

ვინაიდან, განცხადების ავტორის მიერ გაშვებული იქნა "მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის 52-ე მუხლის მე-3 პუნქტის "ა" ქვეპუნქტით დადგენილი ვადა, მოთხოვნის უფლების არარსებობის გამო, სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" მიერ განცხადება განუხილველად იქნა დატოვებული.

ამასთან დაკავშირებით განცხადების ავტორს სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებელში" კანონმდებლობით დადგენილი წესით და ვადებში საჩივარი/სააპელაციო საჩივარი არ წარმოუდგენია.

3.

2012 წლის 10 მაისს სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" თვითრეგულირების ორგანოს/კომისიას საჩივრით მიმართა მოქ. იური ვაზაგაშვილმა და მოქ. ციალა შანავამ 2012 წლის 2 მაისს 16:00 საათიან საინფორმაციო პროგრამა "მომბე"-ში ზურაბ ვაზაგაშვილის გარდაცვალების თარიღთან დაკავშირებით შესაბამისი სიუჟეტის გაშუქებისას საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ "მაუწყებელთა ქცევის კოდექსის" მე-12 მუხლის და მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნების დარღვევის თაობაზე. შესაბამისად, მათ მოითხოვეს საზოგადოებრივი მაუწყებლის 16:00 საათიან საინფორმაციო გამოშვება "მომბე"-ში იმ ფაქტის უარყოფა, რომ ზურაბ ვაზაგაშვილი იყო შეიარაღებული დაჯგუფების წევრი.

სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" გენერალური დირექტორის 2012 წლის 13 ივნისის გადაწყვეტილებით საჩივარი არ დაკმაყოფილდა. მოქ. იური ვაზაგაშვილის და მოქ. ციალა შანავას მიერ გადაწყვეტილება გასაჩივრებული იქნა სააპელაციო წესით სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სამეურვეო საბჭოში.

სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სამეურვეო საბჭოს 2012 წლის 9 ივლისის #232 გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა მოქ. იური ვაზაგაშვილის და მოქ. ციალა შანავას საჩივარი და შესაბამისად, გაუქმდა სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" გენერალური დირექტორის 2012 წლის 13 ივნისის გადაწყვეტილება.

სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სამეურვეო საბჭოს გადაწყვეტილებაში აღინიშნა, რომ საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში 2012 წლის 2 მაისს 16:00 საათიან საინფორმაციო პროგრამა "მომბე"-ში ზურაბ ვაზაგაშვილის შესახებ გასულ სიუჟეტში დარღვეული იყო ჯეროვანი სიზუსტე. შესაბამისად, უარყოფილი იქნა ის ფაქტი, რომ ზურაბ ვაზაგაშვილი იყო შეიარაღებული დაჯგუფების წევრი.

4.

საქართველოს მოქალაქეთა გარკვეულმა ჯგუფმა საჩივრით მიმართა საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" მიერ "მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-16 მუხლის "გ" და "დ" პუნქტების დარღვევის შესახებ.

იმის გამო, რომ მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, საჩივარი განხილული უნდა ყოფილიყო საზოგადოებრივი მაუწყებლის თვითრეგულირების მექანიზმის ფარგლებში, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2012 წლის 7 დეკემბრის #776/23 გადაწყვეტილებით, მოქალაქეთა ჯგუფს უარი ეთქვა მათი საჩივრის განხილვის მიზნით საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ ფორმალური ადმინისტრაციული წარმოების დაწყებაზე.

შესაბამისად, სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებელი“ თვითრეგულირების მექანიზმის ფარგლებში ზემოთ ხსენებულ საჩივარს განიხილავს მხოლოდ მას შემდეგ, რაც კანონიერ ძალაში შევა საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2012 წლის 7 დეკემბრის #776/23 გადაწყვეტილება, რომლის შესახებ სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებელი“ უნდა ეცნობოს წერილობით.

5.

2012 წლის 6 დეკემბერს სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებელი“ საჩივრით მიმართა მოქალაქე ლ. ზ-მემ, რითაც მოითხოვა დაუყოვნებლივ შეწყდეს საბავშვო გადაცემაში “ჩვენი ექსპრესი“ არასრულწლოვანი მაყურებლისთვის შეუფერებელი ვებ-გვერდის <http://www.teentv.ge> რეკლამა და ამოღებულ იქნეს ვებ-გვერდიდან <http://www.teentv.ge> საჩივარში მითითებული სიუჟეტები. კერძოდ, საჩივარში აღნიშნული იყო, რომ საზოგადოებრივი მაუწყებელი კვირას, დილით 11 საათზე ბავშვებისთვის აჩვენებს გადაცემას “ჩვენი ექსპრესი“, სადაც მოზარდები ახდენენ ვებ-გვერდის <http://www.teentv.ge> რეკლამას, რომელზეც განთავსებულია არასრულწლოვანებისთვის შეუფერებელი მასალები.

სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის“ გენერალური დირექტორის მოვალეობის დროებითი შემსრულებლის 2012 წლის 25 დეკემბრის გადაწყვეტილებით, საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

მოქ. ლ. ზ-მის მიერ აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სამეურვეო საბჭოში არ გასაჩივრებულა.

კანცელარია

2012 წელს სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებელი“-ს კანცელარიაში რეგისტრირებულია **4688** წერილი, მომზადდა **1087** მივლინების და **500** საერთო ხასიათის ბრძანება, შეძენილია **274** ავიაბილეთი, დაიჯავშნა **1518** სასტუმროს ნომერი, შეძენილია **42** მატარებლის ბილეთი, გაიცა **3** პირადი საქმე ადამიანური რესურსების მართვის სამსახურისთვის, **6** შრომის წიგნაკი, **7** საარქივო და **3** სახელფასო ცნობა ყოფილ თანამშრომლებზე, მაუწყებლის შენობაში დაშვებულია **5137** სტუმარი.

არქივის სამსახური

ვიდეოფონდის-მონაცემთა ერთიან ბაზაში აღრიცხული და სისტემატიზირებულია (გამიფრული, შინაარსობრივად დამუშავებული, კინო და ძველი ვიდეომატარებლებიდან ციფრულ (DVCAM-DVD) მატარებლებზე გადატანილი, ძველი და მიმდინარე (ახალი), სატელევიზიო პროგრამები და ფილმები), **3502 ჩანაწერი- 2193საათი.**

მათ შორის:

“დიდი ვიდეოფირებიდან” (55 მმ.КАДР-3мм) ციფრულ (DVCAM) მატარებელზე გადატანილია **7** ერთეული აუდიოვიზუალური მასალა **4** სთ;

“პატარა ვიდეოფირებიდან” (КАДР-103) ციფრულ (DVCAM) მატარებელზე გადატანილია **4** ერთეული აუდიოვიზუალური მასალა,**4** სთ.

დაარქივდა (DVD, DVCAM მატარებლებზე) ძველი და მიმდინარე გადაცემები და სხვადასხვა ვიდეო მასალები; ვიდეოფონდის სამონტაჟოებზე ჩაიწერა, – შიდა და გარე ორგანიზაციებისა, თუ მოქალაქეებისთვის, – **2574 სთ**-ზე მეტი ქრონომეტრაჟის აუდიო-ვიდეო მასალები.

კინო-ფოტო ფონდი- კინოფირებიდან (35/16 მმ) ციფრულ (DVCAM) მატარებელზე გადატანილია **217**ერთეული, **71** სთ. მასალა; მათ შორის უნიკალური მონიტორული ფირები.

გაწმენდილი და დახარისხების პროცესშია(ყოფ. ტელეფილმების შენობაში გამოვლენილი) 70-80-იანი წლების საქართველოს ტელევიზიის გადაცემებისათვის დამზადებული უნიკალური ფოტო-სლაიდები, 198 უჯრა; ტელეფილმების სტუდიის ყოფილი შენობიდან კინოსაცავში გადატანილი აღწერილი და დამუშავებულია, 1300 კოლოფი კინომასალა;

აუდიოფონდში ცნობილი ტექნიკური მიზეზების გამო შეჩერებული ძველი მასალების ციფრულ ფორმატში გადატანა განახლდა ნოემბრის თვიდან. აღდგენილ ორ სტუდიაში გადაწერილია **29 GB- 40,6 სთ.** აუდიო მასალა. გადაწერილი და დამუშავებულია**140 სთ.** საეთერო მასალა.

შედგენილია ხალხური სიმღერებისა და რადიოსპექტაკლების სრულყოფილი

კატალოგი.

კერძო პირებისა და ყოფილი თანამშრომლებისაგან არქივში მოზიდულია დაახლოებით **155** სთ-ის აუდიო, ვიდეო, მასალები.

წარმოების სამსახური

მოგახსენებთ, რომ წარმოების სამსახურის მოვალეობაა გადაცემების მომზადების უზრუნველყოფა ადამიანური რესურსებით (რეჟისორი, რეჟისორის ასისტენტი, სუფლიორი, ხმის რეჟისორი, ოპერატორები, მემონტაჟეები), ტექნიკური აღჭურვილობის დაგეგმვა, ყოველკვირეულად და ყოველდღიურად, შესრულებული სამუშაოების მონიტორინგი, ურთიერთობა პროდიუსერებთან და ტრანსლაციების დროს შესაბამის სამსახურთან და ა.შ.

2012 წლის გადაღებული და ტრანსლირებული გადაცემებია:

1. სტუდიური - ჩვენი დილა, პირადი ექიმი, სამოთხის ვაშლები, დიალოგი, აქცენტები, საფეხბუთო მიმოხილვა, არენა (პირდაპირი ეთერი) I
ტელევიზია, სი-ბემოლი, ღამის საუბრები, ჩვენი ეზო, ჩვენი სამართალი, ცხოვრება მშვენიერია, ევროკავშირი და საქართველო, ევროპული არჩევანი, მედია/მონიტორი, საჯარო პოლიტიკა, აუდიტორია, მედ/ინფო, ჩემი ოჯახი, ახალი ქართ./კინო (ჩაწერა)

2. გარე გადაღებები -

მინი-მსს - საბავშვო, უცნობი მუსიკა, ავტოპილოტი, სპიკერი, წითელი საქველმოქმედო ღონისძიებები, სპექტაკლები, მუს./კონცერტები, სამთავრობო ღონისძიებები და ა.შ.

მსს - სპორტული ტრანსლაციები(კალათბურთი, ფეხბურთი, რაგბი, ძიუდო, ფუტსალი, რალი), რელიგიური ტრანსლაციები, მუს./ფესტივალები და ა.შ.

მხოლოდ კამერებით - ვაკაპედია, ჩვენი ფერმა, ეკონომ-მენიუ(გურმანია), ჩვენი ეზო, ჩვენი სამართალი, ცხოვრება მშვენიერია, ევროკავშირი და საქართველო, ევროპული არჩევანი, სპორტი, ეონ/ნარკვევები, სპიკერი

სამონტაჟოების ტექნიკური აღწერა

სამონტაჟოების დაკომპლექტება. მოხდა 3 სამონტაჟოს კომპიუტერებით განახლება, ჩანაცვლება, 1 სამონტაჟოს დამატება.

შედეგად გვაქვს 17 გამართული სამონტაჟო

თანამშრომლობა პროდიუსერებთან

სტუდიური და გარე გადაღებების კონტროლი მათი საათობრივი აღრიცხვა .

გარე გადაღებების დროს ობიექტების ათვისება.

ტელე-ოპერატორების მონიტორინგი

ტელე-ოპერატორებს ჩაუტარდათ ტესტირება

მოხდა საჰონორარო სისტემაზე გადასვლა

4 სადადგმო ჯგუფის მიერ დეკორაციების აღწერა

გაფორმდა მემორანდუმი სსიპ. საზ. მაუწყებელსა და ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან შორის, რის საფუძველზეც სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტს უსასყიდლოდ გადაეცა ყოფილი გადაცემა „აქცენტების“ და „რეაქციის“ დეკორაციის სამი მაგიდა.

ადამიანური რესურსების მართვის სამსახური

საკადრო პოლიტიკის არსი მდგომარეობს მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მოზიდვასა, მოტივაციასა და მათ ადეკვატურ გამოყენებაში, მათი პროფესიული პოტენციალის რეალიზაციისათვის შესაბამისი პირობების შექმნაში, რაც უზრუნველყოფს დაწესებულების ეფექტიან ფუნქციონირებას.

ამ მიზნის მისაღწევად 2010 და 2011 წლებში „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ადამიანური რესურსების მართვის სამსახურმა დაიწყო და განახორციელა მთელი რიგი ღონისძიებებისა რომლებმაც უნდა უზრუნველყონ შემდეგი ძირითადი ამოცანების გადაჭრა:

- თითოეული თანამდებობის (სამუშაოს) ანალიზი, რომელიც უზრუნველყოფს ამ თანამდებობის ფუნქციების, საკვალიფიკაციო მოთხოვნებისა და შესრულებული სამუშაოს შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრას, შესაბამისი სამუშაოს აღწერის შედგენას;
- კადრებზე მოთხოვნილების დაგეგმვა და პროგნოზირება, მისი დაკმაყოფილების წყაროების განსაზღვრა, კვალიფიციური კადრების მოზიდვა;
- პერსონალის შერჩევა თანამედროვე მეთოდების გამოყენებით და მათი სამსახურში მიღება;
- თანამშრომელთა კარიერის დაგეგმვა და განვითარება;
- ცალკეული მუშაკისა და სტრუქტურული ქვედანაყოფის საქმიანობის შეფასების მექანიზმის შემუშავება;
- მოტივაციისა და წახალისების სისტემის ჩამოყალიბება;
- საორგანიზაციო კულტურის ჩამოყალიბება და მისი დანერგვა;
- ახლადმიღებულ თანამშრომელთა ადაპტაცია;
- ქვეყნის განმსაზღვრელი ფაქტორების ანალიზი, ქვეყნის კორექტირება, კონფლიქტების რეგულირება;
- სოციალური გარანტიების დაცვა;
- შრომითი ურთიერთობების განმსაზღვრელი დოკუმენტების შემუშავება და შედგენა;
- პერსონალის აღრიცხვა და ანგარიშგება.

ყოველივე ზემოთთქმულიდან გამომდინარე საანგარიშო პერიოდში შესრულების გარკვეულ სტადიაშია შემდეგი სამუშაოები:

- ✓ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ კონკრეტული პოზიციების სამუშაოს აღწერილობები;
- ✓ შესაბამისი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დადგენა;
- ✓ შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრა;
- ✓ პერსონალის შერჩევის პოლიტიკისა და პროცედურების შემუშავება.
- ✓ შეფასების სისტემის, პროცედურებისა და ფორმების შემუშავება.

„საზოგადოებრივი მაუწყებლის“ განვითარების სტრატეგიული გეგმის თანახმად და ევროპის მაუწყებელთა კავშირის სპეციალური დახმარების პროექტის (SAP)-ის პროექტის მეშვეობით სამსახურმა განახორციელა მთელი რიგი სამუშაოებისა რომელმაც უზრუნველყო ევროპული მაუწყებლების მუშაობის გამოცდილების და პრაქტიკული ცოდნის გაზიარება

ზოგადად, სამსახური ასრულებს სტრატეგიით გათვალისწინებულ ყველა აქტივობებს დამტკიცებული დროის პერიოდის მიხედვით.

„საზოგადოებრივი მაუწყებლის“ მიერ 2012 წელს გაწეულიფინანსური ხარჯების შესახებ**შესავალი**

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებელი“ საქართველოს 2012 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად ფინანსირდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან. 2012 წლის ხარჯებისათვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილ იქნა 50 600 ათასი ლარი. აღნიშნული სახსრების ხარჯვას მაუწყებელი ახორციელებს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის ანგარიშიდან „სახელმწიფო ხაზინის მომსახურებაზე მყოფი ორგანიზაციების მიერ გადახდების განხორციელების წესის შესახებ“ ინსტრუქციის შესაბამისად, ასევე „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ და „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ შესახებ კანონების საფუძველზე გახსნილი აქვს ანგარიში კომერციულ ბანკებში (ს.ს. „კორ სტანდარტ ბანკი“ და ს.ს. „ საქართველოს ბანკი“), რომლებზეც ხორციელდება მაუწყებლის ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების აკუმულირება და მისი ხარჯვა. ამასთან, საბიუჯეტო და ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული სახსრების ხარჯვას ახორციელებს სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული გეგმის შესაბამისად.

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ მიერ 2012 წლის განმავლობაში საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურიდან გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 50,599.2 ათასი ლარი, ხოლო ეკონომიკური საქმიანობიდან 5,969 ათასი ლარი, სულ 56,568.2 ათასი ლარი.

ხელფასები

2012 წელს შრომის ანაზღაურების მიზნით გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა საბიუჯეტო სახსრებიდან 13,467.6 ათასი ლარი, ხოლო ეკონომიკური საქმიანობიდან 2,042.4 ათასი ლარი. სულ 15,510 ათასი ლარი. რაც 2012 წლის გაწეული საერთო ხარჯის 27.42%-ს შეადგენს.

მივლინებები

2012 წელს მივლინებების დასაფინანსებლად გაწეულმა საკასო ხარჯმა სულ შეადგინა 1,434.7 ათასი ლარი, რაც 2012 წელს გაწეული საერთო ხარჯის 2.54%-ს შეადგენს.

მათ შორის:

საბიუჯეტო სახსრებიდან 1,381.7 ათასი ლარი, ხოლო ეკონომიკური საქმიანობიდან 52.7 ათასი ლარი.

სამეურვეო საბჭოს ხარჯები

2012 წელს სამეურვეო საბჭოს ხარჯების დასაფინანსებლად სულ დახარჯული იქნა 303.1 ათასი ლარი. რაც 2012 წელს გაწეული საერთო ხარჯის 0.54%-ს შეადგენს.

საბიუჯეტო სახსრებიდან დახარჯული იქნა - 301.7 ათასი, ლარი ხოლო ეკონომიკური საქმიანობიდან 1.4 ათასი ლარი.

მათ შორის:

- კონორარი - 262.5 ათასი ლარი;
- სამივლინებო ხარჯები - 30.5 ათასი ლარი;
- სხვა ხარჯები (აუდიტორული მომსახურება) -10.1 ათასი ლარი.

ადმინისტრაციული ხარჯები

2012 წელს ადმინისტრაციული ხარჯების დასაფინანსებლად გაწეული საკასო ხარჯმა -2,346.1 ათასი ლარი შეადგინა, რაც 2012 წელს გაწეული საერთო ხარჯის 4.15% შეადგენს. საბიუჯეტო სახსრებიდან დაიხარჯა - 1,979.3 ათასი ლარი, ხოლო ეკონომიკური საქმიანობიდან -366.8 ათასი ლარი.

აღნიშნული ხარჯის ძირითადი ნაწილი მოდის შემდეგ კატეგორიებზე:

- წარმომადგენლობითი ხარჯები - 66.6 ათასი ლარი;
- ბეჭდვა გავრცელება - 41.8 ათასი ლარი;
- ჟურნალ-გაზეთების და წიგნების მიწოდება - 20.0 ათასი ლარი;
- პოლიგრაფიული ხარჯები - 5.5 ათასი ლარი;
- კატრიჯების დატენვა და გამოცვლა, შეძენა - 14.9 ათასი ლარი;
- დაცვის ხარჯები - 247.9 ათასი ლარი;
- გათბობის ღუმელები და გათბობა (გაზის გადასახადი) – 6.2 ათასი ლარი;
- სამეურვეო საქონელი - 22.0 ათასი ლარი;
- ქაღალდი და საკანცელარიო საქონელი - 23.2 ათასი ლარი;
- ელ. ენერგია - 398.1 ათასი ლარი;
- წყალი - 236.7 ათასი ლარი;
- საკურიერო და საბროკერო მომსახურება - 9.9 ათასი ლარი;
- დასუფთავება - 89.6 ათასი ლარი;
- სატელეფონო ხარჯები (მობილური ტელეფონები) - 179.1 ათასი ლარი;
- სატელეფონო ხარჯები - 77.9 ათასი ლარი;

- საწვავი (ბენზინი,დიზელი) – 639.4 ათასი ლარი;
- ანტიფრიზი, ზეთები და სხვა საცხებ საპოხი მასალები - 1.5 ათასი ლარი;
- ავტომანქანების შეკეთება - 59.9 ათასი ლარი;
- ტექდათვალიერება და პარკინგი - 2.1 ათასი ლარი;
- ავტომობილების დაზღვევა - 14.0 ათასი ლარი;
- ავტომობილების სათადარიგო ნაწილები - 15.1 ათასი ლარი;
- იურიდიული მასალების თარგმნა - 3.8 ათასი ლარი;
- ავეჯის გადაზიდვა - 14.4 ათასი ლარი;
- საამშენებლო-სარემონტო სამუშაოები (კაპიტალური შეკეთება და მშენებლობა) – 48.7 ათასი ლარი;

მარკეტინგისა და გაყიდვების სამსახური

საანგარიშო პერიოდში საბიუჯეტო სახსრებიდან მარკეტინგისა და გაყიდვების სამსახურის ხარჯებზე დახარჯული იქნა - 608.9 ათასი ლარი, ხოლო ეკონომიკური საქმიანობიდან - 5.4 ათასი ლარი. სულ გაწეულმა ხარჯმა - 614.3 ათასი ლარი შეადგინა.

მათ შორის:

- მარკეტინგისა და თვითრეკლამის ხარჯები - 103.5 ათასი ლარი;
- სატელევიზიო კვლევები - 510.8 ათასი ლარი.

პროდიუსინგის ხარჯები

მაუწყებლის მიერ 2012 წლის საანგარიშო პერიოდში სხვადასხვა სახის პროდიუსინგის ხარჯებზე საბიუჯეტო დაფინანსებიდან დახარჯული იქნა 5,984.2 ათასი ლარი, ხოლო ეკონომიკური საქმიანობიდან - 696.4 ათასი ლარი. მთლიანმა ხარჯმა 6,680.6 ათასი ლარი შეადგინა, რაც მთლიანი საკასო ხარჯის 11.81%-ს შეადგენს. აღნიშნული ხარჯების ძირითად ნაწილი მოდის შემდეგ კატეგორიებზე:

- პირდაპირი ჩართვებისა და ინფორმაციის გადმოგორება (პერეგონები) – 1 850.7 ათასი ლარი;
- საპარკმახერო, კოსმეტიკური ნაწარმი - 20.0 ათასი ლარი;
- ტანსაცმელი და აქსესუარები ა(წამყვანების) – 33.1 ათასი ლარი;
- ევროვიზია დიდებისა და პატარების - 81.3 ათასი ლარი;
- პიროტექნიკის გამოყენება - 1.5 ათასი ლარი;

- სატელევიზიო თარგმნა-გახმოვანების ხარჯები - 178.2 ათასი ლარი;
- დეკორაციების დამზადება-შეძენა, ავეჯი და რეკვიზიტები - 482.2 ათასი ლარი;
- გადაცემის დამზადება (წითელი ზონა) – 114 ათასი ლარი;
- ფილმების შეძენა (ლიცენზიები) – 855.8 ათასი ლარი;
- სპორტის ლიცენზიები - 2 899.7 ათასი ლარი.

საინფორმაციო სამსახურის ხარჯები

მაუწყებლის მიერ 2012 წლის საანგარიშო პერიოდში საინფორმაციო სამსახურის დასაფინანსებლად საბიუჯეტო სახსრებიდან დახარჯული იქნა - 783.6 ათასი ლარი, ხოლო ეკონომიკური საქმიანობიდან - 63.7 ათასი ლარი. სულ მიიმართა - 847 ათასი ლარი. რაც მაუწყებლის მიერ საერთო გაწეული საკასო ხარჯის 1.50%-ს შეადგენს.

მათ შორის აღნიშნული ხარჯის ძირითადი ნაწილი მოდის შემდეგ კატეგორიებზე:

- სატელიტური ჩართვებისა და საინფორმაციო მასალების გადმოგორების ხარჯები - 352.5 ათასი ლარი;
- დეკორაციებისა და ავეჯის შესყიდვა - 250 ათასი ლარი;
- ინფორმაციის შეძენის ხარჯები - 178.4 ათასი ლარი;
- სინქრონული თარგმანი - 1.8 ათასი ლარი;
- სტუდიების დაქირავება (ტიფლის პალასი) – 51.6 ათასი ლარი.

ტექნიკის ხარჯები

მაუწყებლის მიერ 2012 წლის საანგარიშო პერიოდში ტექნიკის ხარჯებზე საბიუჯეტო სახსრებიდან გაწეული საკასო ხარჯების ოდენობამ შეადგინა - 10 780.5 ათასი ლარი, ხოლო ეკონომიკური საქმიანობიდან - 788.6 ათასი ლარი. მთლიანმა ხარჯმა 11,569.1 ათასი ლარი შეადგინა, რაც მაუწყებლის მიერ გაწეული ხარჯების 20.45%-ს შეადგენს.

მათ შორის აღნიშნული ხარჯის ძირითადი ნაწილი მოდის შემდეგ კატეგორიებზე:

- სერვერული სისტემების შეძენა - 371.6 ათასი ლარი;
- კასეტებისა და ელემენტების შეძენა - 129.1 ათასი ლარი;
- ხმოვანი და ვიდეო ტექნიკის სათადარიგო ნაწილების შეძენა - 219.1 ათასი ლარი;
- სატელიტით მომსახურება - 1 570.1 ათასი ლარი;
- ტელერადიოცენტრი (სიგნალის გავრცელება) – 990 ათასი ლარი;

- კომპიუტერული ტექნიკის შეძენა - 86.0 ათასი ლარი;
- კაბელების შეძენა - 36.5 ათასი ლარი;
- სატელეკომუნიკაციო მოწყობილობები და მარაგები (SONI) – 6 729.1 ათასი ლარი.

სხვა გადასახდელები

2012 წლის საანგარიშო პერიოდში მაუწყებლის სახსრებიდან აღნიშნულ ხარჯებზე გაზეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა - 5 623.9 ათასი ლარი.

მათ შორის აღნიშნული ხარჯის ძირითადი ნაწილი მოდის შემდეგ კატეგორიებზე:

- ბანკის კრედიტის მომსახურება - 2 752.3 ათასი ლარი;
- სხვა კრედიტორული დავალიანებები - 734.8 ათასი ლარი;
- მოგების, ქონების დღგ, მიწის და სხვა გადასახადები - 343.0 ათასი ლარი;
- თანამშრომელთა დაზღვევა - 133.6 ათასი ლარი;
- ევროპის მაუწყებელთა კავშირის (EBU) საწევრო გადასახადი - 333.6 ათასი ლარი;
- ევროპის მაუწყებელთა კავშირის (EBU) დავალიანების დაფარვა - 1 298.4 ათასი ლარი.

მე-3 არხი

- მე-3 არხის ფუნქციონირებისათვის - 11 614.5 ათასი ლარი.